PRIME Time

N19 (320) ორშაბათი, 18 მაისი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL TBILISI 2015

Coca-Cola PROUD PARTNER

ანქვაბი „მედი ქლაბში“ მკურნალობს

რა კომპრომატებს აგროვებდა ლაშა ნაცვლიშვილი თეა წულუკიანზე

„ყოფილა შემთხვევები, რომ ზღვარზე გამივლია, როცა ეს ადამიანი ჩემს უწყებაში ბოგინობდა“

„სასჯელი მან მიიღო ყოფილი პრემიერისგანაც მას აღარ აქვს უფლება, ესტუმროს ბატონ ბიძინას“

SCANDAL

„პრაიმტაიმის“ სკანდალური ინტერვიუ

5 მილიონად შეფასებული თარხან ბათირაშვილის ოჯახი და ცხოვრება სირიაში

„პანკისის ხეობიდან არასრულწლოვანი გოგონა გაიყვანეს სირიაში... ის მისმა სადედამთილომ და ნათესავებმა წაიყვანეს“

EXCLUSIVE

ISIS-ის ნომერ პირველ ქართველ ტერორისტზე

რა მოსწერა სექსუალურმა მანიაკმა ციხიდან „პრაიმტაიმს“

SCANDAL

EXCLUSIVE

35 წლის ქალი მეუღლისთვის მშობლის უფლების შეზღუდვას მოითხოვს

„სასმელის მოყვარული ყოველთვის იყო, მაგრამ ამას დაემატა ჩემი უმიზეზოდ ცემა“

შალვა ნათელაშვილი სკანდალში ეხვევა

EXCLUSIVE

„სოსო თოფურიძე მოდიოდა და ეუბნებოდა, თუ პარლამენტში არ შეხვალ, შენს რომელიმე თანაპარტიელს დავიჭერთო... მისი მოთხოვნით მოხვდნენ პარლამენტში თოფურიძის ნათესავი თევდორაძე და მომღერალი ნუგზარ ერგემლიძე“

ევექსი
სამედიცინო კორპორაცია

აფერა იუსტიციის სამინისტროში

პროკურატურას სპეციალური გამოძიების ჩატარებას ურჩევენ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„თუ თქვენ იზრდებით, სახელმწი

მზრუნველობამოკლებული ბავშვები 18 წლის შემდეგ ქუჩაში რჩებიან

EXCLUSIVE

სალომე ჩადუნელი

მარი წერეთელი, მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური დეპარტამენტის უფროსი, სახელმწიფოს წარმომადგენელია და მიაჩნია, რომ შაბათ დღეს მედიამ არ უნდა შეაწუხოს, ამიტომ საშუალება არ მოგვეცა, დაგვეზუსტებინა საკმაოდ მნიშვნელოვანი დეტალები იმ პოლიტიკის შესახებ, რომელსაც სახელმწიფო მზრუნველობამოკლებული ბავშვების მიმართ ახორციელებს.

ეს პოლიტიკა კი საკმაოდ უცნაურად და სკანდალურადაც ჟღერს. მაგალითად, თუ თქვენ იზრდებით საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლში, 18 წლის შესრულების შემდეგ შეგიძლიათ, ჩაერთოთ სხვადასხვა კერძო პროგრამაში და დასაქმების გარანტიები მიიღოთ. მაგრამ თუ კერძო ოჯახში (კანონის ენაზე, მინდობით აღზრდაში) იმყოფებით, სრულწლოვნობის ასაკის მიღწევისთანავე სახელმწიფო წყვეტს თქვენზე ზრუნვას, ანუ თქვენ ვერ ისარგებლებთ იმ სპეციალური პროგრამით, რომელიც კიდევ ერთი წელი მოგცემდათ დასაქმებისა და თავშესაფრით უზრუნველყოფის საშუალებას.

„ნატახტარი“ არის ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) მსხვილი ფონდი, რომელიც სახელმწიფო მზრუნველობიდან გასულ ბავშვებს ეხმარება, თუმცა პროგრამა ვრცელდება მხოლოდ იმ ბავშვებზე, რომლებიც საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში იზრდებიან. ფონდ „ნატახტარის“ წარმომადგენლის, მანანა ომარაშვილის განმარტებით, ისინი უმეტესობას კი არა, თითქმის ყველას ეხმარებიან: „ჩვენ ვეხმარებით 15-დან 18 წლამდე ყველა იმ ბავშვს, რომლებიც მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში ცხოვრობენ და გახდებიან 18 წლის“.

პრობლემაა, რომ სახელმწიფო ასეთივე შესაძლებლობებით არ უზრუნველყოფს მინდობითი აღზრდის პროგრამიდან გამოსულ ბავშვებს. მეტიც, როგორც ირკვევა, ყველამ არც იცის, რომ მინდობით აღზრდაში თუ იმყოფები, 18 წლის შემდეგ არავინ დაგეხმარება.

„ეთქვათ, რომ, თუ ბავშვთა სახლში ვიქნებოდი 18 წლამდე, მეტი უპირატესობა მექნებოდა და ქუჩაში არ დავრჩებოდი. ანუ რადგან ოჯახში წამოვედი, ქუჩაში ვრჩები და უფლებები ჩემზე აღარ ვრცელდება. მაშინ სულ არ წამოვიდოდი აქ, ვიქნებოდი მანდ და თუ მეცოდინებოდა, რომ დახმარება მექნებოდა და სახლს მიქირავებდნენ, ელემენტარულ სამსახურს დამაწყებინებდნენ. ანუ იმის გამო წამოვედი აქ, რომ მათ ჩემზე ვალდებულება მოვუხსენი? ჩემი ნება იყო წამოსვლა, თუმცა არავის არაფერი აუხსნია. არავის არაფერს უხსნიან, მარტო ისაა მათი ვალდებულება, ეს ბავშვები 18 წლისანი გახადონ. გავხდი 18 წლის, მაგრამ რა გავაკეთო? სად წავიდე, მეგობართან ვიცხოვრო მართლა? ჩემი ბრალი ხომ არ არის, რა ვქნა, ასეთი გავჩნდი“.

მარი წერეთელი იმის მაგვრად, რომ ვითარებაში გაერკვეს და შეამოწმოს, რამდენად თანაბრად ინფორმირდებიან ბავშვები, „პრაიმტაიმისგან“ მკაცრად მოთხოვს იმ არასრულწლოვანი მოზარდის დასახელებას, ვინც ინფორმირებული არ იყო. თუმცა ჩვენ კანონი ანონიმური წყაროების გამხელის უფლებას არ გვაძლევს.

„საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია? ვინ მოგაწოდათ? ეს არის პერსონალური მონაცემები და თქვენ არ გაქვთ უფლება, დაწეროთ ამ ბავშვზე რამე, მეურვის თანხმობის გარეშე. მითხარით მისი სახელი და გვარი“.

მთავარი კითხვა: რატომ აქვს საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებს თუნდაც ფონდ „ნატახტარის“ პროგრამაში ჩართვის საშუალება და მიმღები ოჯახიდან გამოსულ მოზარდებს – არა? მარი წერეთელს მოგვიანებით ისევ დავუკავშირდით. სამწუხაროდ, პასუხი ისევ ვერ მივიღეთ: „შაბათია და, მგონი, მაქვს უფლება, დავისვენო“.

გვრჩება შთაბეჭდილება, რომელიც შესაძლოა, ობიექტური არაა, თუმცა მიღებულ ინფორმაციებსა და კომენტარებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფო მორალურ პასუხისმგებლობას აკისრებს მიმღებ ოჯახებს, რომ მინდობითი აღზრდის პროგრამიდან გასული უსახლკარო ბა-

რა კულუარებზე ალაპა

„არა მგონია, მას საკუთარი ხელფასი ეკმარა იმისთვის, რომ წლების განმავლობაში შვეიცარიაში აცხოვროს ცოლ-შვილი და თვითონაც არაერთხელ ესტუმროს ამ ქვეყანას“

მირიან ბოქოლიშვილი

ლაშა ნაცვლიშვილი თეა წულუკიანის წინააღმდეგ კომპრომატებს ეძებდა... ექსპერტთა ნაწილს ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს იუსტიციის მინისტრის განცხადება აძლევს, როდესაც წულუკიანმა ერთ-ერთ სატელევიზიო ეთერში განაცხადა, რომ ნაცვლიშვილი მის უწყებაში „ბოგინობდა“. ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში ამბობს, რომ ლაშა ნაცვლიშვილს მოქმედ ხელისუფლებასთან ურთიერთობა იმდენად დაეძაბა, რომ ის ივანიშვილის რეზიდენციაში არ შეუშვეს. სანამ ცისკარიშვილის მოსაზრებებს გაგაცნობთ, გაგახსენებთ თეა წულუკიანის განცხადებას.

„ლაშა ნაცვლიშვილი არ იყო ის კაცი, რომელიც სამართლიანობას აღადგენდა. ეს არ იყო მისი პრიორიტეტი. არ მაქვს უფლება, ვისაუბრო იმ კულუარებზე, როგორი დიალოგი გვქონია ჩვენ ამ თემებზე... ყველა მინისტრის შემთხვევაში არის მომენტი, რომ ადგილი აქვს უსამართლობას. მეც ბევრჯერ მქონია ეს განცდა. მინისტრობა არ არის ფუფუნება, ეს არის უდიდესი დისკომფორტი... როდესაც ლაშა ნაცვლიშვილი იყო პროკურორის პირველი მოადგილე, ყოფილა შემთხვევები, რომ ზღვარზე გამივლია, როცა ეს ადამიანი ჩემს უწყებაში ბოგინობდა“, – **განაცხადა თეა წულუკიანმა.**

რა მიზნით ბოგინობდა ნაცვლიშვილი იუსტიციის სამინისტროში? ამის გარკვევას ექსპერტ სოსო ცისკარიშვილთან ერთად შევეცადეთ:

– არც ისე შორეულ წარსულს ეხება ქალბატონი წულუკიანის გამონათქვამი. არა მგონია, ვინმეს დაავიწყდა ის უპირატესობები, რომლითაც ლაშა ნაცვლიშვილი სარგებლობდა. მას ჰქონდა ბევრად უფრო მაღალი უფლებამოსილება, ვიდრე იმდროინდელ მთავარ პროკურორს, ბატონ კბილაშვილს. მან სრულიად აშკარად გადალახა ყველა სამართლებრივი ზღვარი და სიამოვნებით ასრულებდა უსამართლო პოლიტიკურ დავალებას, ვგულისხმობ, თუნდაც, ტრაქტორების საქმეს. სწორედ მასთან მიდიოდნენ უცხოელი ელჩები, ევროკავშირის წარმომადგენელი თომა ჰამერბერგი... მიუხედავად ამისა, ის შეუპოვრად, ყველა მზაკვრული მეთოდის გამოყენებით ცდილობდა, თავისი გაეტანა, რაშიც ჩართული იყო როგორც პროკურატურა, ისე სასჯელაღსრულების უწყების რიგი არაკეთილსინდისიერი თანამშრომელი. ის მოქმედებდა პირადი ინტერესების სასარგებლოდ. კარგა ხნის განმავლობაში ბატონი ივანიშვილი ცდილობდა, ყურადღ-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ᲤᲝ ᲬᲧᲕᲔᲢᲡ ᲗᲘᲥᲕᲔᲜᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲕᲐᲡ“

„ᲔᲗᲘᲥᲕᲐᲗ, ᲠᲝᲛ, ᲗᲣ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲘ 18 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ, ᲛᲔᲢᲘ ᲣᲰᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲐ ᲛᲔᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ“

ვშვები ისევ ამ ოჯახებმა შეიფარონ.

„პრაიმტაიმი“ დაუკავშირდა იმ ოჯახს, სადაც ამ პროგრამაში ჩართული ბავშვი იზრდება. დროებითმა მმობელმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ წლების შემდეგ, თუ მოზარდი ქუჩაში მეთვალყურეობის გარეშე, მარტო აღმოჩნდება, მასზე ზრუნვის პასუხისმგებლობას თავის თავზე აიღებს.

კიდევ უფრო კომიკური ვითარება, როგორც ჩანს, არასამთავრობო სექტორშია. არასამთავრობო ორგანიზაცია „გენეზისი“ ერთადერთია, ვინც პრობლემით დაინტერესდა და საკანონმდებლო ინიციატივითაც კი მიმართა პარლამენტს. თუმცა კანონმდებლებმა პროექტის განხილვა ფინანსური დასაბუთების არარსებობის გამო ვერ შეძლეს.

„ჩვენ მივმართეთ პარლამენტს ინიციატივით. არ გვქონდა ფინანსური გაანგარიშება, ჩავთვალეთ, რომ ბიუჯეტის განერა მომდევნო ეტაპი იქნებოდა. ეს, ალბათ, ჩვენი შეცდომა იყო“, – განაცხადა „გენეზისის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მერი ჩანჩიბაძემ.

დასავლეთში სახელმწიფო პროგრამები მზრუნველობიდან გასულ ბავშვებს 23 წლამდე ეხმარება დასაქმებაში, პროფესიულ განვითარებაში და საჭიროების შემთხვევაში საცხოვრებლითაც უზრუნველყოფს.

ექსპერტების შეფასებით, ამ სფეროს რეფორმირება დაიწყო, თუმცა გადადგმული ნაბიჯები არასაკმარისია და განვითარებას საჭიროებს.

ს.ჩ. მიმღებ ოჯახში იზრდება, ის აგვისტოში18 წლის გახდება და მინდობითი აღზრდის პროგრამიდანაც გავა. რადგან ოჯახში იზრდება და არა ბავშვთა სახლში, ის იგივე „ნატახტარის“ პროგრამაში ვერ ჩაერთვება. შესაბამისად, რა მოხდება ერთი წლის შემდეგ მის ცხოვრებაში, ამაზე წარმოდგენაც არ აქვს და მომავალს შიშით უყურებს:

„18 წლამდე მესმის, რომ კომფორტულად ცხოვრობ, მაგრამ 18 წლის შემდეგ ყველა იცილებს პასუხისმგებლობას, მარტო მე ხომ არ ვარ? მთელ ბავშვთა სახლების პრობლემაზე ვლაპარაკობ, ვინც იქ იზრდება და იქ უნდა გაიზარდოს, ყველა ასეთი პრობლემის წინაშე დადგება. მარტო ჩემზე არ მაქვს ლაპარაკი, ბევრი მეგობარი მყავს თბილისში, რომლებიც მეგობრებთან ცხოვრობენ და არავინ არაფრით არ ინტერესდება“.

მარი წერეთლის განმარტებით, თითოეულ ბავშვთან მუშაობს სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი, რომლებიც ეხმარებიან მათ სამომავლო საჭიროებების განსაზღვრაში. მისი თქმით, 18 წლის შემდეგ ბავშვები უკვე სრულფასოვანი მოქალაქეები არიან და ფლობენ უნარებს, რომლებიც ბავშვთა სახლის დატოვების შემდეგ დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებაში ეხმარებათ.

მერი ჩანჩიბაძე წერეთლის ოპტიმიზმს არ იზიარებს და მიიჩნევს, რომ ბავშვები სერიოზული პრობლემების წინაშე დგებიან: „დამოკიდებულება ასეთია, რომ ისინი უკვე სრულფასოვანი პიროვნებები არიან და ყველა შემთხვევაში საკუთარ თავს თვითონ უნდა მიხედონ. ვფიქრობ, სახელმწიფომ თავისი წილი პასუხისმგებლობა ამ მიმართულებით უნდა გააცნობიეროს“.

სოციალური მომსახურების სააგენტოს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2015 წელს მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში ჩართული ბავშვების სრული რაოდენობა 1643-ია. აქედან მინდობითი აღზრდის პროგრამაში ჩართულია 1205 ბავშვი, ხოლო საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლში 335 ბავშვი ცხოვრობს.

ᲠᲐᲙᲓᲐ ᲗᲔᲐ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲐᲜᲘ

ᲚᲐᲨᲐ ᲜᲐᲪᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲪᲘᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲨᲕᲔᲡ

„ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘ ᲛᲐᲜ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘᲡᲒᲐᲜᲐᲪ ᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲔᲡᲢᲣᲛᲠᲝᲡ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲑᲘᲫᲘᲜᲐᲡ“

ება არ მიექცია ამ ფაქტისთვის, მაგრამ გავიდა დრო და მან დაიჯერა ის, რის დაჯერებაც არ სურდა 2013 წელს. თქვენ მიიღებთ უამრავ ინფორმაციას ამ ადამიანის ავკაცობის შესახებ იმ ადვოკატებისგან, რომელთა დაცვის ქვეშ მყოფი პირები მისი მხრიდან განიცდიდნენ სრულიად უსამართლო ზეწოლას, რაც შეიცავს დანაშაულებრივი ქმედების ნიშნებს. ადვოკატები, მათ შორის უფრო გულადები, არ დაიზარებენ, ისაუბრონ ამ თავგასული ვაიპროკურორის შესახებ. არა მგონია, მას საკუთარი ხელფასი ეკმარა იმისთვის, რომ წლების განმავლობაში შვეიცარიაში აცხოვროს ცოლ-შვილი და თვითონაც არაერთხელ ესტუმროს ამ ყველაზე საოცნებო სტატუსის მქონე ქვეყანას. სასჯელი მან მიიღო ყოფილი პრემიერისგანაც და მას აღარ აქვს უფლება, სახლში ესტუმროს ბატონ ბიძინას.

– გინდათ თქვათ, რომ ნაცვლიშვილს სოლოლაკის რეზიდენციაში მისვლა აუკრძალეს?

– როგორც მე საკმაოდ ინფორმირებულმა ადამიანმა მითხრა, სწორედ ასეთი სანქცია მოქმედებს მის წინააღმდეგ. ის არ შეუშვეს ივანიშვილთან რეზიდენციაში.

– პირადად წულუკიანთან რა პირადი დაპირისპირება შეიძლება ჰქონოდა მას?

– როდესაც მთავარ პროკურორს არ ემორჩილება მისი მოადგილე, რა გასაკვირია, რომ იუსტიციის მინისტრისგანაც არ მიიღოს რაიმე ისეთი წინადადება, რომელიც მის ინტერესებში არ შედის. წარმოუდგენლად განსხვავებული პიროვნებები არიან ქალბატონი წულუკიანი და ამხანაგი ნაცვლიშვილი. ამდენად თეა წულუკიანის ევროპულ მხარეს უნდა მივაწეროთ ის, რომ აქამდე ინფორმაცია საჯაროდ არ გაავრცელა, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერს აქვს დასასრული. ის, რაზეც დამოუკიდებელ ექსპერტთა მთელი ჯგუფი საუბრობდა 2013 წლიდან, კარგია, რომ აღიარა მთავრობის წევრმაც.

– წელან თქვენ ახსენეთ „მზაკვრული მეთოდები“... რას გულისხმობთ, იქნებ დააკონკრეტოთ?

– საინტერესოა, თვითონ თუ გაუჩნდება ეს კითხვა. მე ვსაუბრობ იმ მეთოდებზე, რომელსაც ის იყენებდა ბრალდებულების მიმართ, ის ამისკენ მიდრეკილი იყო ამა თუ იმ საქმის გამოძიების განახლების გადაწყვეტილების მიღების, ან არმიღების დროს. ყველა შემთხვევაში, თუ მას არ ჰქონდა რაიმე პირადი დაინტერესება, საქმე იყო დახურული.

– ფინანსურ დაინტერესებას გულისხმობთ?

– სექსუალური მანიაკი ნამდვილად არ გახლდათ. ამას ჯანმრთელობის სხვა წინაპირობა სჭირდება და არანაირი ნარკოტიკული საშუალება არ აძლიერებს ასეთ ლტოლვას. ეს ისე, ხუმრობით. დასკვნები თქვენთვის მომინდვია.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

„პრაიმტაიმის“ სკანდალური ინტერვიუ ISIS-ის ნომერ პირველი ქართველი ტერორისტის მეგობართან, რომელიც შსს-მ 5 მილიონად შეაფასა

ირაკლი მამალაძე

ვაშინგტონის მიერ ძებნილ თარხან ბათირაშვილს (აბუ ომარ ალ შიშანს) ვაჟი შეეძინა. პანკისის ხეობიდან კი, ბოლო ინფორმაციით, სირიაში არასრულწლოვანი გოგონა გაიყვანეს, „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთ მებრძოლზე (ბექა ტოხოსაშვილი) დაქორწინების მიზნით და როგორც ამბობენ, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა პანკისიდან საპატარძლოები სირიაში, კონფლიქტის ზონაში მიჰყავთ. რაც შეეხება თარხან ბათირაშვილს, რომელიც მსოფლიოსთვის „უღალი გენერლის“ სახელითაც არის ცნობილი, მისი ადგილსამყოფლის დასადგენად 2 კვირის წინ ამერიკის მთავრობამ ჯილდო 5 მილიონი დოლარი დაანესა. აბუ ომარ ალ შიშანი 2014 წლიდან აშშ-ს მიერ საშიშ ტერორისტთა სიაშია შეყვანილი. „პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, ბათირაშვილს ვაჟი მეორე მეუღლესთან, წარმოშობით ჩეჩენ სედა ბერდუკაევასთან შეეძინა. სედა, რომელიც სირიაში აიშას-ს სახელით არის ცნობილი, თარხან ბათირაშვილის თარჯიმნის, ჰამზათ ბორჩაშვილის მეუღლე იყო და მისი გარდაცვალებიდან

რამდენიმე თვეში იქორწინა თარხან ბათირაშვილზე. „პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, ამერიკის მთავრობის მიერ ძებნილ „უღალ გენერალს“, რომელიც 2010 წლიდან სირიაში იბრძვის, ვაჟი ცოტა ხნის წინ შეეძინა. ამ ინფორმაციას ბათირაშვილის უახლოესი გარემოცვაც ადასტურებს. „პრაიმტაიმი“ ესაუბრა ბათირაშვილის ოჯახის ახლობელს ნინო ბურჭულაძეს, რომელიც რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა პანკისის ხეობიდან.

– ნინო, პირველ რიგში, გვაინტერესებს, რა ხდება პანკისის ხეობაში და ხდება თუ არა ისევ ახალგაზრდების გადინება სირიაში?

– ბოლო ინფორმაციით, პანკისის ხეობიდან, კერძოდ სოფელ ჯოყოლოდან, არასრულწლოვანი გოგონა გაიყვანეს სირიაში. ჩემი ინფორმაციით, ის მისმა სადედამთილომ და ნათესავებმა წაიყვანეს. როგორც ადგილობრივები ამბობენ, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა საპატარძლოები პანკისიდან სირიაში მიჰყავთ. უნდა ითქვას, რომ მათი საქმროებიც, ასევე, პანკისელი ახალგაზრდები არიან, რომლებიც სირიაში იბრძვიან.

– ანუ მათ მიჰყავთ გოგონები პანკისიდან და მათზე ქორწინდებიან სირიაში?..

– დიახ, როგორც ჩანს, მებრძოლებს, რომლებიც პანკისის ხეობიდან თავის დროზე სირიაში ბაშარ ასადის რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად წავიდნენ, ოჯახის შექმნის მიზნით, საცოლეები ხშირ შემთხვევაში პანკისიდან მიჰყავთ. ადგილობრივების თქმით, სირიაში, სადაც შედარებით სიმშვიდეა და არ მიმდინარეობს საომარი მოქმედებები, პანკისიდან წასულ მებრძოლებს სწორედ იქ ჰყავთ მეუღლები და ოჯახის წევრები.

– ნინო, როგორც ვიცი, სწორედ ასე დაოჯახდა სირიაში თარხან ბათირაშვილიც, იგივე ომარ ალ შიშანი. რა ინფორმაცია გაქვთ მის ქორწინებაზე და ვაჟზე, რომელიც ცოტა ხნის წინ შეეძინა?

„ვისოლ ჯგუფმა“ თბილისში „ვენდის“ პირველი Drive-thru რესტორანი გახსნა

მაგდა კლდიაშვილი

„ვისოლ ჯგუფმა“, აღმაშენებლის ხეივნის მე-13 კილომეტრზე, „ვისოლის“ ავტოგასამართი სადგურისა და სუპერმარკეტ „სმარტის“ გვერდით, ამერიკული რესტორნების ქსელ „ვენდის“ პირველი 24-საათიანი Drive-thru რესტორანი გახსნა.

ახალი ობიექტის გახსნის საზეიმო ცერემონიალს, „ვისოლ ჯგუფის“ ხელმძღვანელობასთან ერთად, თბილისის მერი, დავით ნარმანია, ამერიკის ელჩი საქართველოში, რიჩარდ ნორლანდი და „ვენდის“ საერთაშორისო დელეგაცია დაესწრნენ.

როგორც „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტმა, სოსო ფხაკაძემ განაცხადა, პირველი 24-საათიანი

Drive-thru რესტორნის გახსნით, „ვენდიმ“ ახალი ფორმატის რესტორნების ქსელის განვითარება დაიწყო საქართველოში.

სოსო ფხაკაძე, „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტი:

- ვისოლ ჯგუფის შვილობილი კომპანიების ქსელის განვითარება ახალ ფაზაში შევიდა. აღმაშენებლის ხეივნის მე-13 კილომეტრზე განთავსებული კომპლექსი უკვე „ვენდის“ პირველი 24 -საათიანი Drive-thru რესტორნის გარდა, „ვისოლის“ ავტოგასამართ სადგურსა და სუპერმარკეტ „სმარტს“ აერთიანებს, რაც მომხმარებელს კიდევ ერთხელ არწმუნებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჩვენთვის სიტყვა „ხარისხი“. მომსახურების სრულყოფისთვის, ერთ სივრცეში განთავსებული „ვენდის“ რესტორანი უგემრიელესი კერძებით, ფროსტის დესერტებით, ყავითა და გამაგრილებელი სასმელებით, რომლებიც მანქანიდან გადმოუსვლელად თან შეგიძლია გააყოლო, „ვისოლის“ საწვავით და „სმარტი“ 20 ათასამდე დასახელების პროდუქტით „ვისოლ ჯგუფის“ კომპლექსს ყველაზე კომფორტულ გარემოდ ქმნის. პირველი 24-საათიანი Drive-thru რესტორნის გახსნით კი „ვენდი“ ახალი ფორმატის რესტორნების ქსელის განვითარებას იწყებს.

როგორც სოსო ფხაკაძე აცხადებს, მათ სიურპრიზიც აქვთ მომხმარებლებისთვის. ის ადამიანები, ვინც „ვისოლის“ ბენზინგასამართ სადგურებზე 20 ლარის საწვავს ჩაასხამენ, საჩუქრად „ვენდის“ ჟეტონს მიიღებენ, რომლითაც ბავშვები რესტორანში არსებულ გასართობ ცენტრში გაერთობიან.

„ვენდის“ პირველი Drive-thru რესტორანი „ვენდის“ ბურგერების, კაფისა და სათამაშო ზონებს აერთიანებს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მომხმარებელს უკვე აქვს შესაძლებლობა, დაზოგოს დრო და მანქანიდან გადმოუსვლელად, 24 საათის განმავლობაში, გზად გააყოლოს „ვენდის“ უგემრიელესი საფირმო კერძები, უგემრიელესი იტალიური „ტრუჩილოს“ ყავა და ფროსტის დესერტები. „ვენდის“ ერთგულ მომხმარებლებს კი, 31 მაისამდე, ქათმის ფესტივალის ფარგლებში, „ვენდის“ უგემრიელესი ქათმის პროდუქტების დაგემოვნება ნახევარ ფასად შეუძლიათ.

„ვენდის“ ამერიკული რესტორნების ქსელის განვითარება „ვისოლ ჯგუფმა“ 2013 წელს დაიწყო და დღეს, „ვენდის“ რესტორნებში, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, ვაკეში, სამების ტაძრის გვერდით, საბურთალოზე და ახლა უკვე აღმაშენებლის ხეივნის მე-13 კილომეტრზე მდებარეობს. რაც მთავარია, ახალი რესტორნის გახსნით, „ვისოლ ჯგუფმა“ 50 ადამიანი დაასაქმა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თარხან ბათირაშვილს მეორე მეუღლესთან, წარმოშობით ჩეჩენ სედა ბერდუკაევასთან ვაჟი შეეძინა

„პანკისის ხეობიდან არასრულწლოვანი გოგონა გაიყვანეს სირიაში... ის მისმა სადედამთილომ და ნათესავებმა წაიყვანეს“

– თარხან ბათირაშვილს პირველი მეუღლისგან ქალიშვილი ჰყავს. 2012 წელს მან ცოლად მოიყვანა თავისივე თარჯიმნის, ჰამზათ ბორჩაშვილის მეუღლე სედა, რომელიც, სხვათა შორის, ჩეჩნეთის პრეზიდენტის რამზან კადიროვის საემიგრაციო სამსახურის უფროსის შვილია. როდესაც რამზან კადიროვმა გაიგო, რომ მისი ერთ-ერთი ჩინოვნიკის გოგო ვაჰაბისტს გაჰყვა ცოლად და თან სირიაში, გაგულისებულმა ბერდუკაევი თანამდებობიდან გაუშვა. მეტიც, დაავალა, სასწრაფოდ მოეძებნათ გოგო და სახლში დაებრუნებინათ. გროზნოში ბიჭის ნათესავებს მიაკვლიეს და აიძულეს, სირიაში ვინმე გაეშვათ, რომ გოგო დაებრუნებინათ, თუმცა სირიაში ჩასულებს სედამ განუცხადათ, რომ ის სახლში დაბრუნებას არ აპირებდა. შემდეგ, კადიროვის ბრძანებით, პანკისის ხეობაში მიაკვლიეს ჰამზათ ბორჩაშვილის დედას – ლეილა აჭიშვილს. რამდენადაც ვიცი, ლეილამ დიდი ხნის განმავლობაში არც იცოდა, რომ მისი ვაჟი სირიაში ომობდა. ჰამზათი ევროპაში ცხოვრობდა მეუღლესთან და შვილებთან ერთად. სწორედ ლეილა ჩავიდა სირიაში შვილთან და დაბრუნება სთხოვა ყოფილ რძალს, თუმცა მანაც უარი მიიღო.

– რატომ გააკეთა არჩევანი ბათირაშვილმა სედაზე – მაღალჩინოსნის შვილზე?

– მიზეზი ნამდვილად არ ვიცი, თუმცა ე.წ. მოჯაჰედური კანონების მიხედვით, ომში მოკლული მოჯაჰედის ცოლის ცოლად მოყვანა ნებისმიერი მოჯაჰედის ერთგვარი ვალდებულებაცაა („ჯიჰადში“ ეთვლებათ).

– ცნობილია, რომ სედას ბათირაშვილზე გათხოვებას თვით კადიროვის განრისხება მოჰყვა. რატომ არ დაბრუნდა ის ჩეჩნეთში, უამრავი შეთავაზების მიუხედავად დღემდე რატომ აფარებს თავს სირიას, სადაც მისი და მისი შვილის სიცოცხლე ყოველ წუთას საფრთხეშია?..

– სავარაუდოდ, მისი ჩეჩნეთში დაბრუნება საფრთხის შემცველია. არავინ იცის, რა ელოდება იქ. რა თქმა უნდა, უსაფრთხოების გარანტიებს ვერავინ მისცემს. თავის დროზე მისი პირველი მეუღლის, ჰამზათის დედაც სთხოვდა, რომ, თუ ჩეჩნეთში არა, პანკისის ხეობაში დაბრუნებულიყო, სადაც ის როგორც შვილს, ისე მიიღებდა და დაიცავდა. თუმცა სედამ მაშინაც სირიაში დარჩენა არჩია. უნდა ითქვას, რომ ჩეჩნეთის მეთაურისა და „ჟღალი გენერლის“ ცნობილი დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი ეს ქორწინებაც გახდა. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, სედა ბერდუკაევამ „ჟღალ გენერალს“ ვაჟი გაუჩინა.

– თქვენი ინფორმაციით, რომლიც ბათირაშვილის ცოლის ნათესავებისგან გაქვთ, და არამხოლოდ მათგან, როგორ ფიქრობთ, თარხან ბათირაშვილი ცოცხალია?

– ჩემი ინფორმაციით, ომარ ალ შიშანი ცოცხალი აღარ არის. მისი სიკვდილის შესახებ მედიამ რამდენჯერმე გაავრცელა განცხადება. 2014 წლის ნოემბერში თავად რამზან კადიროვმა გამოაქვეყნა თავის ინსტაგრამზე ფოტო, სადაც, ერთი შეხედვით, გარდაცვლილი ბათირაშვილი უნდა ყოფილიყო. ბოლო ინფორმაცია მისი სიკვდილის თაობაზე ორიოდე კვირის წინ არაბულმა მედიამაც გაავრცელა. ჩემი ინფორმაციით, თარხან ბათირაშვილი სექტემბერში გარდაიცვალა, თუმცა არის ხალხი, რომელიც საწინააღმდეგოს ამტკიცებს. რაც შეეხება ამერიკის მთავრობის მიერ გამოცხადებულ ძებნას, ეს იქიდან არის გამომდინარე, რომ გენერალი დიდი ხანია აღარ გამოჩენილა. შესაბამისად, მისი ადგილსამყოფლის დადგენა „ისლამური სახელმწიფოს“ ტერიტორიაზე სპეცსამსახურებს ძალიან გაუჭირდებათ, ამიტომ ფულადი ნახალისებით ცდილობენ აშშ-ს შესაბამისი სამსახურები ინფორმაციის მიღებას.

– ქალბატონო ნინო, როგორ ფიქრობთ, ამერიკის ფედერალური ბიურო არ ინტერესდება პანკისის ხეობით და ომარ ალ შიშანის ოჯახის წევრებით?

– ალბათ, ინტერესდებიან კიდეც, თუმცა ცნობილია, რომ მამამისთან თარხანს კავშირი არ აქვს (დედა გარდაცვლილი ჰყავს). მაგრამ რა მეთოდებით მუშაობენ, ჩემთვის ნამდვილად უცნობია. პანკისში ბოლო ხანს განვითარებული მოვლენების გამო, არ არის გამორიცხული პანკისის ხეობა არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი სპეცსამსახურების ყურადღების ქვეშ მოქცეულიყო.

რა არის ცნობილი ამ ეტაპზე ვაშინგტონის მიერ ძებნილ ისლამური სახელმწიფოს ჩრდილოეთის სარდალზე. 29 წლის თარხან ბათირაშვილი პანკისის ხეობაში გაიზარდა, ის საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ირიცხებოდა და მას მონაწილეობა აქვს მიღებული 2008 წლის რუსეთ-საქართველოს საომარ მოქმედებებში. ამის შემდეგ ის შეიარაღებული ძალებიდან დაითხოვეს და მოგვიანებით იარაღის უკანონო ტარებისთვის დააკავეს. სასჯელის მოხდის შემდეგ თარხან ბათირაშვილი სირიაში ბაშარ ალ სადის რეჟიმის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში ჩაერთო, სადაც განსაკუთრებული სისასტიკითა და რელიგიური ფანატიზმით გამოიჩინა თავი. მას მოიხსენიებენ, როგორც აბუ ომარ ალ შიშანს. მოგვიანებით კი მას „ჟღალ გენერალსაც“ უწოდებდნენ. პანკისის ხეობიდან წასულ მებრძოლს მალევე გამოუჩნდნენ მიმდევრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და მათ შორის თავის მშობლიურ კუთხეში. როგორც ცნობილია, თარხან ბათირაშვილის გვერდით 60-მდე პანკისელი ახალგაზრდა იბრძვის. ე.წ. ჟღალ გენერალი ვაჰაბისტი და ჯიჰადის მიმდევარია. 2014 წლის ოქტომბერში ჩეჩნეთის რესპუბლიკის მეთაურმა გაავრცელა ინფორმაცია თარხან ბათირაშვილის გარდაცვალების შესახებ და მან გარდაცვლილის ფოტოებიც გამოაქვეყნა, თუმცა მისი იდენტიფიცირება არ მომხდარა. შესაბამისად, ამ ეტაპზე უცნობია, ლიკვიდირებულია თუ არა ისლამური სახელმწიფოს ჩრდილოეთის სარდალი. თარხან ბათირაშვილის ლიკვიდაციის ფაქტს ეჭვქვეშ აყენებს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაწესებული ჯილდოც. ეს გადაწყვეტილება შეერთებულმა შტატებმა ტეხასში მომხდარი თავდასხმის შემდეგ დააწესეს. ცოტა ხნის წინ ტერორისტები ტეხასში ერთ-ერთ სასწავლო ცენტრს დაესხნენ თავს, სადაც წინასწარმეტყველი მუჰამედის კარიკატურები იყო გამოფენილი. სწორედ ამ ფაქტის შემდეგ მიიღო ვაშინგტონმა გადაწყვეტილება, ბათირაშვილი ტერორისტთა შავ სიაში ჩაესვა.

ამერიკის მთავრობის მიერ ძებნილ „ჟღალ გენერალს“ ვაჟი შეეძინა! ვინ არის აიშა ქალი, რომელმაც თარხან ბათირაშვილზე ჯიჰადის მიხედვით იქორწინა!!



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

აფერა იუსტი

პროკურატურას სპეციალური გამოძიების ჩატარებას ურჩევენ

რატომ გახშირდა თბილისის ცენტრალურ უბნებში გაყალბებული მინდობილობებით ქონების გადაფორმების შემთხვევები?

ნელი თორდია

ვინ და როგორ სარგებლობს წინა ხელისუფლების დროინდელი საკანონმდებლო ხარვეზებით, როგორ ხდება ყალბი მინდობილობებით მილიონიანი ქონების დასაკუთრება და რა ექსპერიმენტის ჩატარებას სთავაზობს ადვოკატი პროკურატურას? „პრაიმტაიმს“ „ზურაბ ვანიშვილის საადვოკატო კომპანიის“ დირექტორი, ადვოკატი ზურაბ ვანიშვილი ესაუბრა:

– სამწუხაროდ, ქართულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები უცხოური ინვესტიციების შემოდინებისთვის ხელისშემშლელი პირობა ხდება. საუბარია იმაზე, რომ ბოლო დროს შეინიშნება ნოტარიულად დამოწმებული ყალბი მინდობილობით მიწის ნაკვეთების გადაფორმების ფაქტები. ადამიანები აკეთებენ ყალბ მინდობილობებს, თუ მინდობილობა უცხოეთშია გაკეთებული, აპოსტილით ამოწმებენ, იფორმებენ მიწის ნაკვეთებს, ყიდიან და კაციშვილი გამკითხავი არაა. პირადად ვაწარმოებ ორ ასეთ საქმეს და მესამეს თქვენთან შესახვედრად რომ მოვდიოდი, მაშინ მიყვებოდნენ. ყველა შემთხვევაში, გადაფორმებული და გაყიდული მიწის

bazarr

გავრცელებული ინფორმაციით, სეპარატისტული აფხაზეთის ყოფილი პრეზიდენტი, ალექსანდრე ანქვაბი, საქართველოში იმყოფება. PTN.GE-ს ინფორმაციით, ის მკურნალობს „მედი ქლაბში“.

საავადმყოფო ალექსანდრე ანქვაბის მკურნალობის ფაქტზე ინფორმაციის გაცემისგან თავს იკავებს.

„ინფორმაციის გაცემის უფლება არ მაქვს.“, – აცხადებს „მედი ქლაბის“ ოპერატორი.

bazarr

გადაცემა „ექიმებზე“ tvbizz-ი წერს

„ექიმები“ - წლის საუკეთესო სატელევიზიო შოუ საქართველოში

„რუსთავი 2“-ის „ექიმები“ საერთაშორისო ინტერნეტ გამოცემებში! - „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს გიორგი ხაბურზანია, არხის მთავარი პროდიუსერი. გადაცემის რეიტინგსა და წარმატებას უცხოური ინტერნეტ გამოცემა tvbizz ეხმიანება.

გადაცემა „ექიმებმა“ საოცრად დიდი პოპულარობა მოიხვეჭა. რეიტინგულ შოუს ჩვენს ქვეყანაში ბევრი მაყურებელი ჰყავს. მას უკვე ჩვენი ქვეყნის გარეთაც ეხმაურებიან. ინტერნეტ გამოცება tvbizz გადაცემა „ექიმებზე“ შემდეგს წერს:

„2014 წლის ზაფხულში „რუსთავი 2“-მა The Doctors-ის ქართული სატელევიზიო ვერსია „ექიმები“ დაიწყო. შოუს რეიტინგი ქვეყანში 10, 1%-ია, რაც ქართული სამედიცინო ტიპის გადაცემების რეიტინგზე ხუთჯერ მეტია. 4 მაისს „ექიმები“ ჟურნალისტურმა საერთაოშისო ფონდმა “ოქროს ფრთამ“ დააჯილდოვა, როგორც „წლის საუკეთესო გადაცემა“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ციის სამინისტროში

„უცხოელ ინვესტორს, რომელმაც მიწის ნაკვეთსა და შენობაში 30 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩადო, ერთიც და მეორეც ცხვირწინ აიცალეს“

EXCLUSIVE

„ზურაბ ადეიშვილის მინისტრობის დროს, სახელმწიფომ მიიღო საჯარო რეესტრის შესახებ კანონი, რომლის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი გაყალბებულ დოკუმენტზე პასუხს არ აგებენ. სავარაუდოდ, იურისტების დახმარებით, ამ მოცემულობით სარგებლობენ „ჭკვიანი ადამიანები“ და მილიონებად შეფასებულ ქონებას განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე იგდებენ ხელში. მთავარია, მარწმუნებელი მაინცდამაინც ჯონ კენედი ნუ იქნება, რომ ტყუილი აშკარა არ იყოს და რაც გინდა ჩაწერე დოკუმენტში და როგორც გინდა, დაათარიღე. ამ რეალობის შედეგია, რომ უცხოელ ინვესტორს, რომელმაც მიწის ნაკვეთსა და შენობაში 30 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩადო, ერთიც და მეორეც ცხვირწინ ააწაპნეს. ორი კვირის წინ მშენებელ ინჟინერთან ერთად მივედით მიწის ნაკვეთზე, რომელზეც ჩემს უცხოელ კლიენტს მშენებლობა უნდა დაეწყო. 6 წლის წინათ ეს მიწა მილიონ 50 000 ლარად იყიდა და ახლა შენობის აგებას აპირებდა. არქიტექტორისთვის ნაკვეთის კოდი რომ მიგვეწოდებინა, საიტზე შევედით და მიწის მფლობელად საქართველოს მოქალაქე ამოგვიგდო. ასე შემთხვევით აღმოვაჩინეთ, რომ ინვესტორს მიწა ცხვირწინ ააცალეს.**

„წარმოიდგინეთ, რომ უცხოელი, რომელიც სულ ორი დღით არის საქართველოში ნამყოფი, ოთარის მიერ წარმოდგენილ „მინდობილობაზე“ ხელს მშვენიერი ქართული ასოებით აწერდა“

ნაკვეთები ქალაქის ცენტრალურ უბნებში მდებარეობს.

– ყალბი მინდობილობით მიწის გადაფორმების კონკრეტული ფაქტების დასახელება შეგიძლიათ?

– შემიძლია, მაგრამ ვინაობების დასახელების გარეშე. 2013 წელს საჯარო რეესტრში მივიდა ვინმე ოთარი და მიიტანა 2008 წლის 6 იანვრით დათარიღებული მინდობილობა, რომელშიც წერია, რომ უცხოელი ამ ოთარს ანდობს მის საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთის გაყიდვას მისთვის მისაღებ ფასად, ნებისმიერ პიროვნებაზე. ამ უცხოელმა თბილისის ცენტრში მდებარე მიწის ნაკვეთი 2008 წლის ომის წინ იყიდა, მილიონი დოლარი გადაიხადა და წავიდა. წარმოიდგინეთ, რომ უცხოელი, რომელიც სულ ორი დღით არის საქართველოში ნამყოფი, ოთარის მიერ წარმოდგენილ „მინდობილობაზე“ ხელს მშვენიერი ქართული ასოებით აწერდა. ამ მინდობილობით შეიარაღებული ოთარი მშვიდად მივიდა ნოტარიუსთან. დაამოწმა გაყალბებული მინდობილობის ნამდვილობა, დოკუმენტის ასლი მიიტანა საჯარო რეესტრში, 2 მილიონ ლარად გაიფორმა მიწის ნაკვეთი თავის საკუთრებაში და მეორე დღესვე გაყიდა მარნეულელ პიროვნებაზე. მეორე შემთხვევა ასეთია: საჯარო რეესტრში მიიტანეს უცხოეთში დარეგისტრირებული ყალბი მინდობილობა, რომელიც ვითომ 2015 წლის 14 დეკემბრით დათარიღებული მინდობილობის საფუძველზე გაიცა. ვინაიდან დეკემბერი ჯერ არ დამდგარა, მინდობილობას აწერია, რომ გაცემულია 2015 წლის 14 დეკემბრის წინასწარი მინდობილობის საფუძველზე. საჯარო რეესტრმა დოკუმენტი დაახარვეზა, – ძალიან ბუნდოვანია და სხვა მინდობილობა მოიტანეთო. სამ დღეში ვითომ ისრაელში დამზადებული სხვა მინდობილობა მიუტანეს – ისევ ყალბი ბეჭდებით, ყალბი ხელმოწერებით, ყალბი აპოსტილით. ტექსტი ებრაულიდან ნათარგმნიც არ იყო, ინგლისურ ნაწილში უამრავი შეცდომა ჰქონდა, მაგრამ საჯარო რეესტრმა მიწის ნაკვეთი ამ შემთხვევაშიც უპრობლემოდ გადააფორმა. შემდეგ მიწა ვიღაცაზე გადაიყიდა...

– იქნებ, აგვიხსნათ, ეს ერთი თაღლითური ჯგუფის მიერაა ორგანიზებული თუ უფრო მასშტაბურ დანაშაულთან გვაქვს საქმე?

– საქმე ის გახლავთ, რომ ზურაბ ადეიშვილის მინისტრობის დროს, სახელმწიფომ მიიღო საჯარო რეესტრის შესახებ კანონი, რომლის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი გაყალბებულ დოკუმენტზე პასუხს არ აგებენ. სავარაუდოდ, იურისტების დახმარებით, ამ მოცემულობით სარგებლობენ „ჭკვიანი ადამიანები“ და მილიონებად შეფასებულ ქონებას განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე იგდებენ ხელში. მთავარია, მარწმუნებელი მაინცდამაინც ჯონ კენედი ნუ იქნება, რომ ტყუილი აშკარა არ იყოს და რაც გინდა ჩაწერე დოკუმენტში და როგორც გინდა, დაათარიღე. ამ რეალობის შედეგია, რომ უცხოელ ინვესტორს, რომელმაც მიწის ნაკვეთსა და შენობაში 30 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩადო, ერთიც და მეორეც ცხვირწინ ააწაპნეს. ორი კვირის წინ მშენებელ ინჟინერთან ერთად მივედით მიწის ნაკვეთზე, რომელზეც ჩემს უცხოელ კლიენტს მშენებლობა უნდა დაეწყო. 6 წლის წინათ ეს მიწა მილიონ 50 000 ლარად იყიდა და ახლა შენობის აგებას აპირებდა. არქიტექტორისთვის ნაკვეთის კოდი რომ მიგვეწოდებინა, საიტზე შევედით და მიწის მფლობელად საქართველოს მოქალაქე ამოგვიგდო. ასე შემთხვევით აღმოვაჩინეთ, რომ ინვესტორს მიწა ცხვირწინ ააცალეს.

– საქართველოს მოქალაქე, რომლის სახელზეც ამჟამად მიწის ნაკვეთი ირიცხება, რას ამბობს?

– ამბობს, რომ კეთილსინდისიერი მყიდველია, თუმცა ამ დროს ქონება დაყადაღებული აქვს, არასახარბიელო პირობებში ცხოვრობს და მგონი, პურის ფულიც არ აქვს. მიწის ნაკვეთი ამ ადამიანზე, უბრალოდ, გააფორმეს, ხოლო იმ ხალხის პოვნისთვის, ვინც ეს დაგეგმა და განახორციელა, გამოძიება მიმდინარეობს. სავარაუდოდ, ყველაფერი გირკვევა, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ სახელმწიფოს ასეთი კანონები არ უნდა ჰქონდეს. საჯარო რეესტრს უწერია, რომ უფლება აქვს, დებილი იყოს და წარმატებით იყენებს ამ უფლებას. აბა, კანონში ეწეროს, არ მიიღო ყალბი მინდობილობაო, ხომ გამოიკვლევდა? საჯარო რეესტრს არ უნდა გადაემოწმებინა, რომ 2008 წლის 6 იანვარს იუსტიციის სამინისტროს მიერ ამ პიროვნებაზე მინდობილობა არ გაცემულა?

– აქ საკანონმდებლო ხარვეზის გარდა, ნოტარიუსთა არაკეთილსინდისიერებისა და ერთი სისტემის შემადგენელი ნაწილების არაკოორდინირებული მუშაობის ფაქტიც იკვეთება.

– კი, მაგრამ ვინ სთხოვთ კოორდინირებულ მუშაობას? შეიძლება ვინმემ თქვას, საჯარო რეესტრი რატომ უნდა ამოწმებდესო, მაგრამ სსიპ საჯარო რეესტრი და სსიპ ნოტარიუსთა პალატა ხომ ერთი სისტემაა და იუსტიციის სამინისტროს ემორჩილება? ნორმალურია, რომ სისტემის ერთ რგოლში დოკუმენტს აყალბებ და მეორე რგოლში არეგისტრირებ? ოთარს რატომ უნდა შეეძლოს, რომ 2008 წლის 6 იანვრის მინდობილობა დღეს დაწეროს, ბეჭედი დაარტყას თუ მოხარშული კვერცხი გადაატაროს, ნოტარიუსთან მიიტანოს და მისი ნამდვილობა დაადასტუროს? რაც შეეხება ნოტარიუსთა არაკეთილსინდისიერებას, ამის გარდა, კანონმდებლობის თანახმად, ნოტარიუსს ამ გაყალბებული დოკუმენტის დამოწმებაზე უარის თქმის უფლებაც შეზღუდული აქვს. ვუჩივლებ, რომ სანოტარო მომსახურებაზე უარი მითხრა და უწყების გენერალური ინსპექცია სამსახურიდან გააგდებს, ან ორი თვით უფლებამოსილებას შეუჩერებს.

– თქვენი თქმით, მოქალაქის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობას არავინ ამოწმებს?

– ზუსტად ასეა, რაც იმას ნიშნავს, რომ საჯარო რეესტრს საკანონმდებლო დონეზე აქვს მიცემული ინდულგენცია, რომ აყალბოს. სანამ თაღლითები პატრონს საკუთრებას არ წაართმევენ და ის პროკურატურაში არ მივა, არავინ არაფერს აკეთებს. ურემი რომ გადაბრუნდება, მერე დასდევენ პროკურატურით და პოლიციით. შეიძლება კანონის იმ სახით მიღება, როგორც დღეს გვაქვს, 2009 წელს გამართლებული იყო, იმიტომ, რომ „ზემოდან“ კონკრეტული დავალება არსებობდა. იყო დაკვეთა, რომ დაჩქარებული წესით გადაეფორმებინათ საკუთრებები და თან ამერიკასთან და მსოფლიო სავალუტო ფონდთან გრანტების მისაღებად თავი ეწონებინათ. აი, როგორ ჩქარა ხდება ჩვენთან საკუთრების რეგისტრაციაო. მაგრამ ახლა ხომ სხვა რეალობაა? ვიღაც ხომ უნდა მიხვდეს, რომ აქ საკანონმდებლო ხარვეზია? კარგ ნაძლევზე შემიძლია გავაყალბო მინდობილობა თქვენი სახელით და თქვენი სახლი 50 ლარად გადავიფორმო. მზად ვარ, პროკურატურის წარმომადგენლებთან და რომელიმე დამოუკიდებელ ტელევიზიასთან ერთად ჩავატარო ექსპერიმენტი, გნებავთ ჟურნალისტური გამოძიება და ზემოთქმული ფაქტებით დავამტკიცო.

რატომ არ ამოწმებენ მარეგისტრირებელი ორგანოს წარმომადგენლები წარმოდგენილი დოკუმენტის ნამდვილობას და ცნობილია თუ არა წულუკიანის უწყებისთვის ზემოჩამოთვლილი ფაქტების შესახებ? ამის გასარკვევად, იუსტიციის სამინისტროს დავუკავშირდით, რომელმაც ჩვენი კითხვებიანად საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროსკენ გადაგვამისამართა. საჯარო რეესტრში გადაგზავნილ კითხვებზე ორდღიანი ლოდინის მიუხედავად, პასუხი ამ დრომდე არ მიგვიღია...



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჩემი კლინიკა

სამედიცინო კორპორაცია ევექსი

„სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ ახალი ამბულატორიული ცენტრი ნუცუბიძის ქ. 201-ში

გვეწვიეთ ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით

09:00-დან 21:00 საათამდე

„ჩემი კლინიკის“ სერვისებით სარგებლობა შეუძლიათ, როგორც დაუზღვეველ, ასევე ნებისმიერი სადაზღვევო პაკეტის მქონე პირებს. დარეგისტრირდით ჩვენს კლინიკაში და მიიღეთ თანამედროვე სტანდარტების სამედიცინო მომსახურება.

ნუცუბიძის ქ. 201

info-evex@evex.ge

+995 32 2 55 05 05

www.evex.ge

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მანიაკის წერილ

რა ინფორმაციას ფლობს მოძღვარი არასრულწლოვანი ბავშვებუის გაუპატიურებაზე

ირაკლი მამალაძე

29 წლის სექსუალური მანიაკი, რომელიც სამი არასრულწლოვანი გოგონას გაუპატიურებისთვის გაასამართლეს, „პრაიმტაიმს“ ციხიდან წერილს უგზავნის. ლევან ახობაძემ 2012 წლის სექტემბერში ბოტანიკურ ბაღში 12 წლის გოგონებზე განსაკუთრებული ცინიზმითა და სისასტიკით იძალადა. „პრაიმტაიმმა“ დეტალურად გამოაქვეყნა ამ უმძიმესი საქმის მასალები. წერილში მოყვანილი ფაქტები რადიკალურად განსხვავდება წინასწარი გამოძიების დროს მის მიერ მიცემული ჩვენებებისგან.

ლევან ახობაძე: „დავიბადე 1987 წელის 5 მაისს ქ. თბილისში. მყავს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი ბავშვი. 2012 წლის 21 ნოემბერს დამაკავეს ტაბახმელაში და დამაბრალეს სექსუალური ძალადობა, რომელიც თითქოს ჩავიდინე რამდენიმე არასრულწლოვნის წინააღმდეგ. ტაბახმელაში დამაკავეს საკუთარ სახლში. წამიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც რამდენიმე საათი დავყავი. ამის შემდეგ შემიყვანეს პოლიციის უფროსის ოთახში, სადაც გავიგე ერთადერთი სიტყვა, – ეს სირი... და დამიწყეს ცემა. რამდენიმე წუთის მანძილზე მირტყამდნენ. ამის შემდეგ გადამიყვანეს მე-7 განყოფილებაში თაბუკაშვილის ქუჩაზე. არ მომცეს დარეკვის უფლება. პოლიციის ერთ-ერთი თანამშრომელი მეუბნებოდა, ხუ გეშინია, მალე გაგიშვებთო. ამის შემდეგ შემიყვანეს ამოცნობის ოთახში, სადაც 2 ბიჭი შემოიყვანეს, რომლებიც საერთოდ არ მგავდნენ. ამოცნობა რომ დამთავრდა, დამადეს ბორკილები, დამსვეს სკამზე და დამიწყეს ცემა, თან მაგინებდნენ. ჩემი ყვირილის ხმა ესმოდა ჩემს ძმას, რომელიც პოლიციის შენობის გარეთ იყო. ცოტა ხანში გარეთ გამომიყვანეს, ჩამსვეს მანქანაში და გადამიყვანეს „კაპეზეზე“, სადაც მეორე დილით შემოვიდა სახაზინო ადვოკატი მერაბ მამულაძე. მან მომიყვა და ამიხსნა ყველაფერი, რაში დამდეს ბრალი. მას მე მაშინვე მოვუყევი სიმართლე, რაც მოხდა სინამდვილეში აღნიშნულ ტერიტორიაზე, მაგრამ მან ვერანაირი პირობა ვერ მომცა ჩემი სიმართლის დამტკიცებაში. ამის შემდეგ შემოვიდა ჩემთან გამომძიებელი გიორგი გამეზარდაშვილი და პროკურორი. მითხრეს, სამუდამო სასჯელი გემუქრებაო და ამის შემდეგ წავიდნენ. სასამართლომ მეორე დღეს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა მომისაჯა. გადამიყვანეს ციხეზე, სადაც კვლავ მოვიდა ადვოკატი. მე მოვუყევი მუქარების შესახებ, მაგრამ ადვოკატმა მითხრა, რომ ვერც სიმართლის მოყოლით და ვერც აღიარების შემთხვევაში ვერაფერს გავხდებოდი. ამის შემდეგ შემოვიდნენ ისევ პროკურორი და გამომძიებელი, გადამიღეს ფოტოები სვირინგებზე და კბილებზე. მე მივეცი ჩვენებაც, სადაც ვთქვი, რომ საერთოდ არ ვყოფილვარ აღნიშნულ ტერიტორიაზე დანაშაულის დღეს. კატეგორიულად უარვყავი, რადგან არ ვიცოდი, სიმართლის აღიარების შემთხვევაში, რა სასჯელით დამემუქრნენ, თან სიმართლე რომ მეთქვა, შემეშინდა, შური არ ეძიათ იმ ბავშვების ოჯახის წევრებს, ჩემს ცოლსა და შვილებზე. ამიტომაც გადავწყვიტე, რომ სიმართლის მოყოლას აზრი არ ჰქონდა. არავინ არ მიწამებია და არც მიძალადია, ამიტომაც გადავწყვიტე, გამოძიებისთვის არ მეთქვა საერთოდ არაფერი და უარვყოფდი ბოტანიკურ ბაღში ყოფნას. მეგონა, დიდ სასჯელს არ მომცემდნენ, მაგრამ ყველანაირად დამიმძიმეს და ხუთივე ნახილში გამამტყუნეს და სასამართლოზე ილაპარაკეს, რომ, რაც შეიძლებოდა დიდი სასჯელი მოეცათ და ასეც მოხდა, მომცეს 18 წელი. ახლა კი რა არ ვთქვი სასამართლოზე, რაც მოხდა სინამდვილეში 2012 წლის 25 სექტემბერს. იმის გამო, რომ ოჯახში ძალიან გვიჭირდა, ფერად ლითონს ვაგროვებდი



მამა საბა: „დაახლოებით 5 თუ 6 ბავშვი შემოვიდა ტაძარში, დაანთეს სანთლები. ჰქონდათ ცრემლიანი თვალები. მითხრეს, რომ ძალიან ცუდად მოექცნენ მათ. მაპატიეთ, ამაზე ღიად და სიღრმისეულად ვერ ვისაუბრებ“

ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე. ამ დღესაც გავედი შესაგროვებლად, რადგან ოჯახს დაუგროვდა მაღაზიის ვალი. წავედი აღნიშნულ ტერიტორიაზე და ჩანჩქერის მხრიდან ავუყევი გზას, თან ვაგროვებდი ლითონის ნივთებს. სწორედ ამ დროს შევნიშნე სამი გოგონა და სამი ბიჭი. ინსტინქტურად სადღაც წუთ-ნახევარი ვუყურებდი, რას აკეთებდნენ სამი გოგო და ორი ბიჭი. ისინი ერთმანეთს სასექსო ორგანოს აჩვენებდნენ, ხელებით ეხებოდნენ და ეფერებოდნენ.

ბათუმის ციხეში პატიმარმა

სასჯელაღსრულების სამინისტრო: „მსჯავრდადებულს უფლება აქვს, აღნიშნულ საკითხზე ჩვენება მისცეს საგამოძიებო უწყებას... თუ რაიმე სახის ზეწოლის შემთხვევა გამოიკვეთება, მიღებული იქნება კანონით დადგენილი ადეკვატური ზომები“

მირიან ბოქოლიშვილი

პრემიების სკანდალში გახვეული სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე, დიმიტრი დარბაისელი, როგორც ჩანს, კვლავაც ინარჩუნებს გავლენას პენიტენციარულ სისტემაზე. ჩვენი რესპონდენტი ყვება, რომ მის ვაჟს დღესაც, პირადად დარბაისელის დავალებით, ავიწროებენ ის ადამიანები, რომლებიც მას 2010-2012 წლებში სასტიკად აწამებდნენ. 23 წლის მიშო ლოლუას დედა „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ მისი შვილი ბათუმის ციხეში იმ ზომამდე მიიყვანეს, რომ სხეულზე 42 ჭრილობა მიიყენა.

რა დაინტერესება აქვს დიმიტრი დარბაისელს ლოლუას მიმართ? ამ კითხვას ბათუმში, 21 წლის წინათ მომხდარ მკვლელობასთან მივყავართ. 1994 წლის 3 ოქტომბერს 30 წლის ასაკში ბათუმში ცნობილი „კანონიერი ქურდი“ ხვიჩა ლოლუა მოკლეს. ხვიჩა ლოლუა ჯერ კიდევ 1989 წელს, 25 წლისა „მონათლეს“, როგორც „კანონიერი ქურდი“ და მას კრიმინალურ წრეებში დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. თუმცა „პერსპექტიული ავტორიტეტი“ 1994 წელს ბათუმში მოკლეს. მას მეუღლე და 2 წლის ვაჟი – მიშო ლოლუა დარჩა, რომელიც ახლა იხდის სასჯელს ბათუმის საპყრობილეში. მაშინ „კანონიერი ქურდის“ მკვლელობაში ასლან აბაშიძესთან დაახლოებულ პირს, ვინმე ეფრემას ადანაშაულებდნენ, რომელიც ზემოხსენებული დიმიტრი დარბაისელის სიმამრი გახლავთ.

მიშო ლოლუას დედა, ნატო სოფრომაძე დარწმუნებულია, რომ დარბაისელი მის შვილს სწორედ ამ მკვლელობის გამო ავიწროებს, რადგან „ციხიდან განთავისუფლების შემთხვევაში შურისძიების ეშინია“.

ნატო სოფრომაძე, მიშო ლოლუას დედა:

– ჩემი შვილი 2010-12 წლებში ერთხელ უკვე იხდიდა სასჯელს, სადაც გამოიარა ის ცემა-წამება, რაც დამკვიდრებული იყო იმ პერიოდში. თმებით ათრევდნენ და რას აღარ უკეთებდნენ. მაშინ მარიხუანის მოხმარებისთვის დააპატიმრეს. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ გამოვიდა ციხიდან, საკმაოდ მძიმე მდგომარეობით. იქ დამართეს ტუბერკულოზი, რამდენჯერმე გადატანილი ჰქონდა ტვინის შერყევა. პრაქტიკულად შოკურ მდგომარეობაში დატოვა ციხე. დავიწყეთ მკურნალობა, დავდიოდით პროფესორებში, მაგრამ, სამწუხაროდ, 3 თვეში ისევ ციხეში მოხვდა. საერთოდ არ ახსოვს ის დღე, რა გააკეთა, ყაჩაღობისთვის მიუსაჯეს 6 წელი. გვეგონა, რომ ამჯერად მაინც აღარ იქნებოდა ის პირობები, მაგრამ სულ ტყუილად. დარბაისელი გვემტერება განსაკუთრებით, ეს ცალკე საკითხია. მის დროს გადაიყვანეს ქუთაისში და მიუსაჯეს კრიტი. საქართველოში არ აღმოჩნდა ისეთი ადამიანი, ვინც დარბაისელის მიერ მისჯილ კრიტს გაუქმებდა ერთი თვით მაინც, ვინ აღარ ჩავაყენე საქმის კურსში, ავიყვანეთ ექსპერტიც. მაია ნიკოლეიშვილმა დადო დასკვნა, რომ ამ ახალგაზრდის ყოფნა კრიტში არ შეიძლება. ამ ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე მიშო ვითომ წაიყვანეს, სინამდვილეში გააკატავეს და უკან დააბრუნეს. ანალიზები, რომლის ჩატარებასაც მინიმუმ 20 დღე სჭირდება, 5 დღეში ვითომ ჩაუტარეს

ნატო სოფრომაძე

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE



ერთ-ერთი გოგო ეუბნებოდა, შენც გაიხადე საცვალიო, ნუ გრცხვენიაო. ერთი ბიჭი, რომელიც მაღალი იყო და სათვალე ეკეთა, არაფერს არ აკეთებდა, უბრალოდ, ეხვეწებოდა დანარჩენებს, გეხვეწებით, ნავიდეთ, გეყოფათო, უკვე რამდენი ხანია, აქ ვართო. ესენი ისევ იგივეს აკეთებდნენ და უთხრეს, ცოტა ხანს კიდევ ვიყოთო. მე გაოგნებული ვუყურებდი, ვფიქრობდი, ასეთ საშინელებებს როგორ აკეთებდნენ, ან ამსიმორეზე ბავშვებს რა უნდა-თქო. ვიფიქრე, შევაშინებ, მეორეჯერ რომ არ გააკეთონ-თქო და გადავწყვიტე, გამოვსულიყავი. როგორც კი დამინახეს, შეეშინდათ და საცვლები ჩაიცვეს. ყველანი ერთად დავსვი და მორალის წაკითხვა დავუწყე. რას აკეთებთ?! ვინ გასწავლათ?! ტელევიზორს არ უყურებთ, არ იცით, რომ ბავშვს იტაცებენ, აუპატიურებენ და კლავენ-მეთქი. ახლა სხვას რომ ენახეთ, ხომ შეიძლებოდა, დაეხოცეთ-მეთქი. ვუთხარი, ახლა წადით ეკლესიაში, მოძღვარს მოუყევით ყველაფერი და თქვენს მშობლებს კი საღამოს მე ვნახავ და ყველაფერს მოვუყვები-მეთქი. შეშინების მიზნით ვუთხარი, რომ მსგავსი რამ აღარ ჩაედინათ და მე დავაპირე წასვლა, მაგრამ მითხრეს, გზა არ ვიცით და ვერ გავაგნებთო. მე ვუთხარი, აბა, აქ როგორ მოხვედი-თქო? ავდექი და მაინც წამოვიყვანე. ამის შემდეგ გზაზე დავინახე სურათი, რომელზეც სახელები ეწერა. მე მიუთითე, აი, ეს ბავშვებიც თქვენნაირად იქცეოდნენ და მე დავხოცე-მეთქი და სახელები მივანერე-თქო და თუ კიდევ დაგინახავთ, თქვენც დაგხოცავთ და ასე დავაწერ თქვენს სახელებსაც-თქო. რა თქმა უნდა, ესეც შეშინების მიზნით ვუთხარი. ამის შემდეგ გასასვლელამდე გამოვიყვანე და გავაფრთხილე, საღამოს თქვენს მშობლებს ვნახავ და დანარჩენს თვითონ გეტყვიან-თქო. ეს იყო და ეს. შემდეგ რაც აგროვებული მქონდა, ავკრიფე ჯართი და წამოვედი სახლში. როცა დავბრუნდი, ჩემი მეუღლე, ჩემი ძმა, რძალი და უახლოესი მეგობარი დამხვდნენ. ჩემს მეგობარს ვუამბე, რაც თავს გადამხდა, ირაკლი ქუხილავას. ირაკლიმ მითხრა, მე რომ მენახა, ალბათ, მოვკლავდიო. ვხუმრობდით. მე უთხარი, მოკვლა არა, მაგრამ ისე შევაშინე, მგონი, ცხოვრებაში დაავინყდებათ ასეთ რამეზე ფიქრი-მეთქი. ღამე რომ დავწექით, ჩემს მეუღლეს მოვუყევი ამის შესახებ, მაგრამ ჩემმა მეუღლემ არ დამიჯერა. ისიც ვუთხარი, ვიდეოს გადაღება მინდოდა, მაგრამ იქ ტელეფონი საერთოდ არ იჭერს. იქ საერთოდ სულ კლდეებია. სამწუხარო ის არის, რომ ჩემი შეიძლება არ სჯეროდეთ, მაგრამ ასეთი რაღაცები ჩვენი სახლების წინ ხდება და ყურადღებას არავინ აქცევს. მე თითოეულ ქართველზე შემტკივა გული და ამიტომაც შევეწირე ჩვენს ტრადიციებს. მათი მშობლები დამცინოდნენ სასამართლოში, ციხეში დალპებიო. ახია ჩემზე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მათ მშობლებს მადლობა უნდა ეთქვათ ჩემთვის, რადგან ჩემს ადგილზე მართლაც შეიძლებოდა ვიღაცას ენამებინა და დაეხოცა. ღირსებიც იქნებოდნენ. ერთი მეტრიც კი არ მივახლოებივარ და რომც რამე მდომებოდა, სახეს რატომ ვაჩვენებდი?!“

შეგახსენებთ, ლევან ახობაძე ექვსივე დაზარალებულმა არასრულწლოვანმა ამოიცნო. ლევან ახობაძის წერილში არის რამდენიმე შეუსაბამობა. ჩვენ მამა საბას დავუკავშირდით, რომელსაც ვთხოვეთ, მოზარდების მონათხრობი და მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა გაეხსენებინა.

– დიახ, ნამდვილად ჰქონდა ადგილი ასეთ ფაქტს. დაახლოებით 5 თუ 6 ბავშვი, ზუსტად არ მახსოვს, შემოვიდა ტაძარში, დაანთეს სანთლები. ჰქონდათ ცრემლიანი თვალები, ვკითხე, რატომ ტირიხართ-მეთქი და მიპასუხეს, რომ ბოტანიკურ ბაღში შეაშინეს. მითხრეს, რომ ძალიან ცუდად მოექცნენ მათ. მაპატიეთ, ამაზე ღიად და სიღრმისეულად ვერ ვისაუბრებ.

– თქვენ რა გზას მიმართეთ ამის შემდეგ?

– იცით, რა? იმდენად შეშინებულები იყვნენ, რომ ამ ფაქტს ვერ ყვებოდნენ და ჩემთან ბოლომდე არ გახსნილან ეს ბავშვები. მაგრამ ძალიან აღელვებულები იყვნენ და მე მათ ვურჩიე, რომ მშობლებისთვის მოეყოლათ და არ დაემალათ არაფერი. ამის შემდეგ, როგორც ვიცი, ერთ-ერთის მშობელი იყო და გავიგე, რომ დაიჭირეს ეს პიროვნება.

– მამა საბა, დაკავებული პიროვნების მშობელი, კერძოდ დედა, აცხადებდა, რომ თითქოს თქვენ იცით სიმართლე და რეალურად არ ჰქონია ადგილი არანაირ სექსუალურ ძალადობას და ეს ისტორია ბავშვებმა თავად გამოიგონეს?

– მე ის ვიცი, რაც ვნახე. ეს ბავშვები იყვნენ აღელვებულები. იმდენად შეშინებულები, რომ ვერ გაიხსნენ და ისინი საუბრობდნენ, რომ შეაშინეს, ემუქრებოდნენ და თავს გადახდათ რაღაც საშინელება, რომლის თქმაც ძალიან უჭირდათ და ვერ საუბრობდნენ დეტალებზე.

42 ჭრილობა მიიყენა?!

ქსანში და სასწრაფოდ, სპეციტაპით, ღამის პირველ საათზე ბათუმის მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში გადმოიყვანეს.

– ბოლოს როდის ნახეთ თქვენი შვილი და რა მდგომარეობაშია ამჟამად?

– წინა კვირას შევედი პაემანზე, სახე საერთოდ აღარ ეტყობოდა. მითხრა, დედა შენ რომ დაგყავდი ექიმებში, თავზე ტომოგრაფიებს რომ მიღებდი, ეს ყველაფერი აი, ამ ადამიანის დამსახურებააო, – ხელით მანიშნა ციხის თანამშრომელზე. ანუ ბათუმის ციხეში დაახვედრეს სპეციალურად ის ხალხი, ვინც ასეთ დღეში ყრიდა პატიმრებს. საუბარი რომ დავასრულეთ, გაუყვანია მიშო ცალკე, დამცინავი სიცილით დალაპარაკებია, შელაპარაკება მოსვლია და კიდევ ერთხელ გაუსწორდნენ. ისევ მიიყენა თვითდაზიანება. ადვოკატმა გამოიტანა ინფორმაცია, რომ 42 ჭრილობა ქვს მიყენებული.

– კონკრეტულად, როდის მიიყენა ეს დაზიანებები?

– 6 მაისს. პირადად ვინც სცემდა მიშიკოს 2010-12 წლებში, ის ადამიანი დაახვედრეს იქ. ეს ხალხი ისევ ამ სისტემაშია დარჩენილი და იყენებს იგივე მეთოდებს, რასაც საკაშვილის დროს იყენებდა. იმ დონემდე მიიყვანეს, რომ თვითდაზიანება მიიყენა, არადა კარცერში ჰყავდათ მოთავსებული და ძალიან საინტერესოა, იქ ბრიტვა როგორ აღმოჩნდა. გვაქვს ეჭვი, რომ სპეციალურად დაუდეს ბრიტვა, დაზიანება რომ მიეყენებინა. ეს მეთოდი დამკვიდრებულია იქ.

– კონკრეტულად ვისზე მიგითითათ თქვენმა ვაჟმა?

– ესენი არიან ოლეგ ტარიელაძე და ზვიად მიქელაძე. მიშომ იცნო, რომ მისი მწამებლები კვლავ მუშაობენ. რესპუბლიკურ საავადმყოფოში ითხოვს გადაყვანას და არ გადაჰყავთ. დარეკვის უფლებასაც კი არ აძლევენ. ჩვენ ვითხოვთ მის გადაყვანას ქუთაისში, ან რომელიმე სხვა დაწესებულებაში, იმ მწამებლებთან რომ აღარ ჰქონდეს შეხება. წინააღმდეგ შემთხვევაში რაღაც უბედურება მოხდება და მერე გვიანი იქნება.

– რას გეუბნებიან, დეპარტამენტის ხელმძღვანელობა რატომ არ რეაგირებს?

– დეპარტამენტში დავრეკეთ, ამბობენ, გენინსპექციაა ჩარეულიო, მაგრამ რეაგირებას ჯერჯერობით ვერ ვხედავ. გამოდის, რომ დეპარტამენტი მფარველობს ამ მწამებლებს.

– დარბაისელს რა დაინტერესება ჰქონდა?

– ეს ძველი ისტორიაა. მიშოს მამა ხვიჩა ლოლუა იყო „კანონიერი ქურდი“, რომელიც 1994 წელს მოკლეს. მის მკვლელობაში გარეული იყო ეფრემა, რომლის სიძე გახლავთ დიმიტრი დარბაისელი. ალბათ, შურისძიების ეშინიათ, მაგრამ მინდა დავამშვიდო ისინი, რომ ჩემი შვილი არანაირ შურისძიებას არ აპირებს. ეს მკვლელობა მოხდა 21 წლის წინათ ბათუმში, მაშინ მიშო 2 წლის იყო. ვიცი, რომ დარბაისელი ქსანში ურეკავდა ექიმებს და ითხოვდა, ლოლუას ყურადღება არ მიაქციოთო. მას პირადად ჰყავდა კონტროლზე აყვანილი, რომ მიშიკო რაც შეიძლება მძიმე მდგომარეობაში ყოფილიყო. ამაში 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული.

დიმიტრი დარბაისელი

– კი მაგრამ, ახლა ხომ აღარ არის დაბრაისელი სად-ში?

– დარბაისელი აღარ არის, მაგრამ მისი ლეკვები არიან დარჩენილნი. იგივე გახარია მისი კაცრი და პროტეჟეა. ეს ის გახარიაა, 39-ათასლარიანი პრემია რომ გამოუწერა. შესაბამისად, ისინი კვლავაც მის ბრძანებებს ასრულებენ. იგივე ოლეგ ტარიელაძე, რომელიც სულს ხდიდა პატიმრებს.

– თუ თქვენი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და მიშო სხვა დაწესებულებაში არ გადაიყვანეს, რას აპირებთ?

– დავიწყებთ პერმანენტულ აქციებს. ციხესთან დავიდგამთ კარვებს და არ დავიშლებით, სანამ სხვა ციხეში არ გადაიყვანენ.

ხორციელდება თუ არა ზეწოლა პატიმარ მიხეილ ლოლუას მიმართ? ამის გარკვევას „პრაიმტაიმი“ სასჯელაღსრულების სამინისტროში შეეცადა. უწყების პრესსამსახურში განგვიმარტეს, რომ ხსენებული პატიმრის მიმართ ამჟამადაც მიმდინარეობს გამოძიება და საკუთარი პრეტენზიების შესახებ შეუძლია, საგამოძიებო ორგანოს აცნობოს.

„მოცემული მსჯავრდადებულის მიმართ მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით. გამოძიების პროცესში მსჯავრდადებულს უფლება აქვს, აღნიშნულ საკითხზე ჩვენება მისცეს საგამოძიებო უწყებას და თუ აღნიშნული პიროვნების ბრალეულობა ან რაიმე სახის ზეწოლის შემთხვევა გამოიკვეთება, მიღებული იქნება კანონით დადგენილი ადეკვატური ზომები“, – განაცხადეს სასჯელაღსრულების სამინისტროში.

„მკვლელობაში გარეული იყო ეფრემა, რომლის სიძე გახლავთ დიმიტრი დარბაისელი“

ხვიჩა ლოლუა

ვინ აცდენს ზეწოლას 23 წლის მიშო ლოლუაზე და რა კავშირი აქვს ამ საქმესთან „კანონიერი ქურდის“ მკვლელობას?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბერკლისა და სტენფორდის უნივერსიტეტებში

ამერიკის პრესტიჟულ სასწავლებლებში ქართველი ეთნომუსიკოლოგის მასტერკლასები იგეგმება

my View
თამარ გონგაძე

ეთნომუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი გია ბაღაშვილი გასულ კვირას ამერიკიდან მეუღლესთან ერთად დაბრუნდა. კალიფორნიის ორ პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში - ბერკლისა და სტენფორდის უნივერსიტეტებში ორი ლექცია ჩაატარა და დიდი ფურორიც მოახდინა. „მუსიკალური სარკმლიდან დანახული საქართველო“ - ასე ერქვა გიას ლექციებს, რომელიც ქართული სიმღერის მრავალხმიანობასა და ზოგადად ჩვენს ფოლკლორზე იყო. მიწვევას წინ ათწლიანი ურთიერთობა უძღოდა. ჩვენს ეთნომუსიკოლოგს საერთაშორისო სიმპოზიუმებზე ბერკლისა და სტენფორდის უნივერსიტეტების პროფესორებთან შეხება არაერთხელ ჰქონია. ამ კონკრეტული ორი ლექციისთვის მიწვევაში განსაკუთრებულად დიდი როლი ორმა პიროვნებამ ითამაშა. ესენია - ბერკლის უნივერსიტეტის პროფესორი იზალი ზემცოვსკი და სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, იზალის მეუღლე - ალმა კუნამბაევა. მიწვევის მიზეზი ქართული მრავალხმიანობის ფენომენია. პროფესორების ოჯახს სურდა სწორედ გია ბაღაშვილს გაეცნო ის ამ ორი სასწავლებლის პროფესორთათვის და არამხოლოდ მათთვის.

„ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საგანძურის ღირსება რომ უნდა დაიცვა, ვერ გეტყვით ეს როგორი ამაღელვებელი შეგრძნებაა“

ჩვენი ფოლკლორის შესახებ ჩვენი ანსამბლების - „სუხიშვილების“, „რუსთავისა“ და „ერისიონის“ წყალობით კარგად იციან. იზალი ზემცოვსკი ეთნომუსიკოლოგიაში ცოცხალ ლეგენდად ითვლება, მთელ მსოფლიოში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მის მიერ გაწეული რეკომენდაცია იყო წონიანი და საიმედო. თუმცა მეცნიერი ქართველი კოლეგის გამოსვლისას მაინც ღელავდა, რამეთუ ეს ლექცია ერთგვარად მის რეპუტაციასაც ეხებოდა. სტენფორდელი სნობი მეცნიერების თვალში რეკომენდაციის გამწევი ზემცოვსკი „გამართლდა“, გია ბაღაშვილის ლექციებმა დიდი მოწონება და ოვაცია გამოიწვია. ამაყი იყო მომწვევიც და მიწვეული მეცნიერიც.

სტენფორდის უნივერსიტეტის მუსიკალური დეპარტამენტის ცენტრალურ დარბაზში „Campbell Recital Hall“- ში, უცხოელი სპეციალისტები ლექციის ჩასატარებლად ასე მარტივად ვერ ხვდებიან. თავიდან პირდაპირ უთქვამთ, მთელი გრაფიკი ორ წელინადნახევრით ადრე შევსებულიაო. თუმცა დაინტერესება იმხელა იყო, მიუხედავად ამისა, გიას ლექციები ექვს თვეში დაიგეგმა. გამგზავრება კულტურის სამინისტრომ დააფინანსა. ამ ამერიკულ წარმატებაზე გია ბაღაშვილი გვიყვება.

ფურორი
გია ბაღაშვილი:

- ექვს თვეში დაგეგმილი ლექციების მიზეზი ქართული მუსიკის მიმართ ინტერესი და რეკომენდატორების ავტორიტეტია. სამეცნიერო კუთხით უმნიშვნელოვანესი აკადემიური ცენტრები - სტენფორდისა და ბერკლის უნივერსიტეტები არა ერთ სფეროში ქმნიან ამინდს, მათ შორის მუსიკაშიც. დასავლეთში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ იმ აზრს, რომელიც აკადემიურ წრეებში ყალიბდება. მათ პოზიციას ფართო აუდიტორიაზე დიდი ზეგავლენა აქვს.

პირველი ლექცია 8 მაისს სტენფორდის უნივერსიტეტში ჩატარდა. ორგანიზატორი სილქროუდ ჰაუსი გახლდათ, რომელსაც ჩემი მიმწვევი ორი ცნობილი პროფესორი ხელმძღვანელობს.

შოკისმომგვრელ შთაბეჭდილებას ახდენს სტენფორდის უნივერსიტეტი ფენომენალური სილამაზის არქიტექტურითა და ულამაზესი პარკით. ზოგადად კალიფორნია ჰგავს საქართველოს - ბუნებით, ღვინის კულტურით, ჰავით. წალკოტში მოვხვდით. შესვლისთანავე იგრძნობთ, რომ ცოდნის ოაზისში ხართ, სადაც ფანტასტიკური

პირობებია არა მხოლოდ მეცნიერთათვის, არამედ სტუდენტებისთვისაც. იქ ასწავლის კონდოლიზა რაისი, სწავლობს ჩელსი კლინტონი, ბილ კლინტონის ქალიშვილი. ელიტარული სასწავლებელია, სადაც სწავლისა და წიგნის კულტია. ღრმად ცდება ყველა, ვინც კი იმ აზრს აჟღერებს, რომ თითქოს ამერიკას კულტურა არ გააჩნია და იქ კულტურის დეფიციტია. მას სიძველე არ გააჩნია, თორემ წიგნის სიყვარულის, სწავლების ხარისხის ან, თუ გნებავთ, სხვისი კულტურის დაფასების მხრივ, სამაგალითო ქვეყანაა.

„როდესაც გუნდი დგას და მღერის, ზემოქმედების ძალა დიდია. როდესაც ეს ვიდეო ჩანაწერის სახით იყო ნაჩვენები, მეგონა განსაკუთრებულ ეფექტს ვერ მოახდენდა. გასაოცარი ზემოქმედება ჰქონდა. ოვაციებით დასრულდა ორივე ლექცია. ეს ქართველი ხალხის მუსიკალური გენიის დამსახურება გახლდათ“

პირველად ბიბლიოთეკა დაგვათვალიერებინეს. ეს მათი სიამაყეა. შენთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი წიგნი, თუ პერიოდული გამოცემა, რაც კი შეიძლება თავში მოგივიდეს. გავეცანით დეპარტამენტების მუშაობის სპეციფიკას. მუსიკალური ბიბლიოთეკები ორივე უნივერსიტეტს უნიკალური აქვს. ამდენად არ შეიძლება იქ ადამიანები ინფორმაციის დეფიციტს განიცდიდნენ. ლოგიკური იყო, რომ ჩვენს მრავალხმიანობას ყურადღება მიაპყრო დასავლური ბაროკოთი დაინტერესებულმა მუსიკის დეპარტამენტმა. მეც ამ ნიშნით ავაგე ეს ლექციაპრეზენტაცია, რომელმაც საათ-ნახევარს გასტანა ვიდეო მასალით, აუდიო მასალის გაჟღერებითა და ცოცხალი შესრულებით. მე და ჩემმა მეუღლემ შევასრულეთ რამდენიმე ფოლკლორული ნიმუში. თამუნა ჩემი თანაპრეზენტატორი გახლდათ. მან ხევსურული ცეკვის ფრაგმენტი შესრულდა, მე შევასრულე „ურმული“. ვიდეო და აუდიო მასალამ უდიდესი გავლენა მოახდინა აუდიტორიაზე. ისეთ ნიუანსებს ამჩნევდნენ, რომ ჩანდა მათი ინტერესიცა და წინასწარი მომზადებაც. მეც ისეთი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გია ბაღაშვილის ლექციებმა ფურორი მოახდინა

გია ბაღაშვილი: „არასდროს ისე თავაწეული და ბედნიერი არ მიგრძნია უცხოეთში თავი, როგორც ამ ლექციების შემდეგ“

თამუნა ტაბატაძე: „მადლობა გიას, რომ ამ ყველაფერში მცირე წვლილი მეც შევიტანე. ხევსურული ცეკვის ფრაგმენტი შევასრულე. ვიმღერე „ხევსურული ნანა“ და ქალაქური ფოლკლორის ერთ-ერთი ნიმუში“

„კოლეგების აღიარებით მე ბედნიერი ვარ. პირველი გამოსვლის ასეთი მასშტაბით ჩატარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა“

„ასე მგონია, თამუნა გუშინ მოვიყვანე ცოლად. სხვისი შვილები მალე იზრდებიანო, რომ ამბობენ, თურმე საკუთარიც მალე იზრდება. ბედნიერებაა ის, რომ პატარები ჩვენი ჭკუისანი არიან“

EXCLUSIVE

განცდით ვიყავი ლექციაზე, ოლიმპიადაზე რომ მიდის სპორტსმენი. შენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საგანძურის ღირსება რომ უნდა დაიცვა, ვერ გეტყვით ეს როგორი ამაღელვებელი შეგრძნებაა.

ლექციები

გია ბაღაშვილის ლექცია იყო შემდეგ თემებზე: კონტრასტი - ქართული მუსიკალური ფოლკლორის მთავარი სააზროვნო პრინციპი, მრავალფეროვნება ქართული მრავალხმიანობის ფორმებისა, მუსიკალური ენის ერთიანობა და კონტრასტულობა სხვადასხვა მუსიკალურ დიალექტში.

„ეს ყველაფერი სრულიად გამაოგნებელი იყო მათთვის. როდესაც ერთმანეთის მიყოლებით გაჟღერდა, სვანური, გურული, ქართლ-კახური მრავალხმიანი სიმღერები. რაც უფრო რთულია პოლიფონიის ტიპი, მით უფრო ძნელი გასაგებია ნეიტრალური მსმენელისთვის, სამაგიეროდ სპეციალისტის აღფრთოვანებას იწვევს. მნიშვნელოვანი იყო ამ ყველაფრის წარდგენა თანამედროვე სამეცნიერო მეთოდოლოგიისა და საერთაშორისო სტანტარტების შესაბამისად. ჩემდა სასიხარულოდ, ისეთ დეტალებს ჩავუღრმავდით, რომ ბოლოს „კრიმანჭულის“ სხვადასხვა ტიპებსა და მათ სტილურ თავისებურებებს ვანალიზებდით. „როდესაც სცენაზე გუნდი დგას და მღერის, ზემოქმედების ძალა დიდია. ვინაიდან ჩემს ლექციებში ფოლკლორული ნიმუშები ვიდეო და აუდიო ჩანაწერების სახით იყო წარმოდგენილი, ვშიშობდი, ემოციური ზემოქმედების ძალა არ შემცირებულიყო. აღმოჩნდა პირიქით! თითოეულმა ჩანაწერმა უდიდესი ეფექტი მოახდინა. თანაც ეს გახლდათ ქართული მუსიკალური აზროვნების შედეგრების: სვანური საფერხულო სიმღერების, კახური მრავალჟამიერის, „ჩაკრულოს“, „ხასანბეგურას“, „შემოქმედურას“ და ა.შ. საგანგენოდ შერჩეული, უნიკალური საარქივო ჩანაწერები. ოვაციებით დასრულდა ორივე ლექცია. ეს, რა თქმა უნდა, ქართველი ხალხის მუსიკალური გენიის დამსახურება გახლდათ,

არასდროს ისე თავაწეული და ბედნიერი არ მიგრძნია უცხოეთში თავი, როგორც ამ ლექციების შემდეგ. აუდიტორიის 90 პროცენტი 50 წელს გადაცილებული პროფესურა გახლდათ. ვინაიდან დასწრება ღია იყო, სხვადასხვა დეპარტამენტის პროფესორები ესწრებოდნენ ლექციას. მათზე მკაცრი შემფასებელი ძნელია მსოფლიოში იპოვო. ბერკლიში საპრეზენტაციო ნაწილი ცოტათი მოკლე იყო, სამაგიეროდ მეტი იყო კითხვა-პასუხი. იქაურმა ლექციამ ორ საათ-ნახევარს გასტანა, რაც, როგორც ამიხსნეს, იქ წარმოუდგენელი რამ არის. როგორც წესი, ამერიკელი საკუთარ დროს ზედმეტად არ დაგითმობს. ქართულ მრავალხმიანობასა და ზოგადად, ქართულ ფოლკლორზე არასდროს არაფერი ყოფილა წარმოდგენილი ამ უნივერსიტეტებში, კონცერტებს არ ვგულისხმობ. რამდენიმე წლის წინათ, ბერკლიში ანსამბლ „რუსთავის“ კონცერტი ჩატარდა დიდი წარმატებით. მაგრამ სამეცნიერო ასპარეზი სულ სხვაა და კოლეგების ასეთი აღიარებით მე ბედნიერი ვარ. პირველი გამოსვლის ამ მასშტაბით ჩატარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

თამუნა ტაბატაძე:

- ნამდვილად სასიხარულოა, რომ სამეცნიერო წრეებში ქართული ხელოვნებით აღფრთოვანებულ საზოგადოებას ხედავ. ეს მაშინ, როდესაც ისინი კრიტიკულად უდგებიან და ყველა დეტალს მნიშვნელობას ანიჭებენ. კარგია, რომ გიამ ერთ ლექციაში ამდენად ოსტატურად ჩაატია ქართული მუსიკალური კულტურის მრავალფეროვანი ბუნება. ეს იმაში აისახა, რომ ორივე უნივერსიტეტში დადებითი ემოციებით განისმჭვალენ და სამომავლო გეგმებზე დაიწყეს საუბარი. ეს დიდი წარმატების ნიშანია და მნიშვნელოვანია ქართული კულტურის პოპულარიზაციისთვის. მადლობა გიას, რომ ამ ყველაფერში მცირე წვლილი მეც შევიტანე. ხევსურული ცეკვის ფრაგმენტი შევასრულე. ვიმღერე „ხევსურული ნანა“ და ქალაქური ფოლკლორის ერთ-ერთი ნიმუში. მეცვა სტილიზებული კოსტიუმები.

გია ბაღაშვილი:

- ბერკლიში საბოლოო შეფასების სახით ერთ-ერთმა პროფესორმა თქვა, ეს იყო საუკეთესო პრეზენტაცია, რომელიც ამ დარბაზში ოდესმე ჩატარებულაო. თავის ქებაში არ ჩამომართვათ, ამბის მომტანად ჩაგვთვალეთ :) ბედნიერები ვართ, რომ ჩვენი რეკომენდატორები ძალიან კმაყოფილები დარჩნენ და გვასახელეთო, გვითხრეს. ჩვენც დავიჯერეთ.

გიამ უნივერსიტეტებიდან შემოთავაზებები მიიღო. ბერკლისგან კონკრეტულად ასეთი ტიპის წინადადება აქვს - ლექცია თემაზე, ახალი წელი მართლმადიდებლურ მრავალხმიან კულტურებში. სტენფორდთან დაკავშირებით საუბარია ბაღაშვილის მასტერკლასებზე.

მოქიშპე უნივერსიტეტები

„ამ ორ უნივერსიტეტს ერთმანეთის მიმართ შინაგანი ქიშპი აქვს. ერთ-ერთი პროფესორი, რომელიც ამაყობდა - მე თხემით ტერფამდე სტენფორდელი ვარო, ამბობდა, თქვენს მეორე ლექციას დავესწრები და სად ტარდებაო? ბერკლიში-მეთქი რომ ვუთხარი, სახე შეეცვალა, ნირი წაუხდა, ჩემი ფეხი არ იქნება ბერკლიშიო. ამ დროს ბერკლი გახსნილი, დემოკრატიული, თავისუფალი უნივერსიტეტია. სტუდენტური რევოლუცია - პაციფისტური იდეებითაა და ჰიპების მოძრაობით, სწორედ ბერკლიში დაიწყო. ეს სული ამ უნივერსიტეტში მაშინვე იგრძნობა. მის ულამაზეს ხეივანში არის თაღი, რომლის ქვეშ ორმეტრიანი წრეა, რომელიც კანონმდებლობით დედამიწაზე არც ერთ სახელმწიფოს არ ეკუთვნის, მათ შორის არც ამერიკის შეერთებულ შტატებს. იქ არ ვრცელდება არც ერთი ქვეყნის იურისდიქცია. სტუდენტები მას საუნივერსიტეტო თავისუფალ ტრიბუნად იყენებდნენ და რომ არ დაეჭირათ, ამ თაღის ქვეშ იდგნენ და იქიდან ნებისმიერ ანტისამთავრობო, მარგინალურ იდეებს აფრქვევდნენ. ნაბიჯს რომ გადმოდგამდნენ, თაღის გარეთ არაფერს ამბობდნენ და პოლიციაც ვერავითარ პრეტენზიას ვერ უყენებდა. სტენფორდი აკადემიური, კონსერვატიული და ცოტათი სნობურია. ეს სნობიზმი კი ნელ-ნელა დაიმსხვრა ქართული მრავალხმიანობის წინაშე და საბოლოოდ, ოვაციებში გადაიზარდა. ბერკლიში კი თავიდანვე დაგვხვდა ახლის მიღების მზაობა და ღრმა ჩართულობა. ეს ყველაფერი ერთმანეთისგან 40 კილომეტრის სიშორით ხდება. ადგილებს შორის კლიმატური სხვაობაც არის, ბერკლი მოღრუბლულია, სტენფორდი - უფრო მზიანი.

ამერიკაში ყოველ ჩასვლაზე ვიღებ კულტურულ შოკს. უკლებლივ ყველა გიღიმის, თან უმიზეზოდ. იქ ღიმილი მნიშვნელოვანია. რა აცინებსო - ფიქრობ. არაფერი, უბრალოდ, პოზიტიურ დამოკიდებულებას გამოხატავს და წინასწარ მტრულად არ არის განწყობილი. ეს გადამდებია, მაგრამ უკან რომ ბრუნდები, საქართველოში, ხვდები, რომ სრულიად არაადეკვატურად იღიმები“ :) .

ექვსი წელი ერთად

ექვსი წელია თამუნა ტაბატაძე და გია ბაღაშვილი ერთად არიან. ეს დრო ისე გავიდა, ვერც ერთი ვერ გრძნობს. წყვილს სამი ქალიშვილი ჰყავს - ხუთი წლის ნინი, სამი წლის ლიზა და ექვსი თვის მარიამი. ამერიკაში წასულებმა პატარები პირველად დატოვეს ათი დღით.

„ჩვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეტაპი დადგა, ერთმანეთს კიდევ უფრო მეტად ვუფრთხილდებით. პატარებმა უდიდესი სიხარული შემოიტანეს ჩვენს ცხოვრებაში“, - ამბობს თამუნა.

„ასე მგონია, თამუნა გუშინ მოვიყვანე ცოლად. სხვისი შვილები მალე იზრდებიანო, რომ ამბობენ, თურმე საკუთარიც მალე იზრდება. ბედნიერებაა ის, რომ პატარები ჩვენი ჭკუისანი არიან, უყვართ სტუმრები და მხიარულება“, - ამატებს გია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გორის „დილამ“ ჩემპიონობა მოკრძალებულად აღნიშნა

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატს ახალი გამარჯვებული ჰყავს. გორის „დილამ“ არსებობის განმავლობაში პირველად მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. 25 წლის სპეციალისტის, უჩა სოსიაშვილის შეგირდებმა სამტრედიაში, „სამტრედიას“ ალექსანდრე კვახაძის გოლით სძლიეს, პარალელურ მატჩში კი, ბოლნისის „სიონმა“ „დილას“ უშუალო მდევარი და კონკურენტი, ბათუმის „დინამო“ 1:0 დაამარცხა და სეზონის დასრულებამდე ორი ტურით ადრე შიდა ქართლელთა გუნდი გაჩემპიონდა.

როგორც „პრაიმტაიმმა“ გაარკვია, ჩემპიონის ტიტული გორელმა ფეხბურთელემა საკმაოდ მოკრძალებულად აღნიშნეს.

მიმდინარე სეზონის ბომბარდირი, ირაკლი მოდებაძე ამბობს, რომ შეხვედრის დასრულების შემდეგ გუნდმა წარმატება და ტიტული რესტორანში მოკრძალებულად აღნიშნეს და სიმბოლურად, მცირე ალკოჰოლიც დალიეს. შემდეგ კი გორში გამოეშურენ, სადაც მთელი ქალაქი შესასვლელში ელოდებოდა მათ.

„თამაშის დასრულების შემდეგ ყველა ერთად მივედით რესტორანში, ვივახშმეთ, სიმბოლურად აღვნიშნეთ და მივულოცეთ ერთმანეთს გამარჯვება, შემდეგ კი გორში დავბრუნდით, სადაც ქალაქის შესასვლელთან დაგხვდნენ დროშებით გულშემატკივრები და მიგვაცილეს სტადიონზე, სადაც მთელი მოსახლეობა გველოდებოდა, ასევე ქალაქის ხელმძღვანელობა, გუბერნატორი, მერი და სრულიად ადმინისტრაცია. მოგვეფერენ, იყო ფოიერვერკიც, დიდი ზეიმი არ ყოფილა, რადგან წინ კიდევ არის თამაშები, ამიტომ მალევე დავიშალეთ და უფრო პომპეზურად „ვიტ ჯორჯიასთან“ თამაშის შემდეგ აღვნიშნავთ ჩემპიონობას“, - ამბობს ირაკლი მოდებაძე.

„ზუგდიდი“ ფეხბურთელებს და მწვრთნელს უშვებს

საფეხბურთო კლუბ „ზუგდიდს“ ბევრი მოთამაშე დატოვებს.

საფეხბურთო კულუარებში ამბობენ, რომ ამის მიზეზი თბილისის „დინამოს“ სამარცხვინო წაგება გახდა. მეგრელებმა თბილისში, ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი 7:0 დათმეს, რის გამოც, კლუბს ბევრი მოთამაშე და მათ შორის, მთავარი მწვრთნელიც, ბესიკ შეროზიაც დატოვებს.

ჯერჯერობით, უცნობია, ვის ჩააბარებენ „ზუგდიდს“, საფეხბურთო სეზონის დასრულებამდე ერთი ტურიღაა დარჩენილი.

35 წლის ქალბატონი მეუღლის

„მეუღლემ ჩემი ფინანსური პრობლემებით ისარგებლა და ბავშვზე კონტროლი მთლიანად თავის ხელში აიღო“



ნელი თორდია

როდის შეიძლება გახდეს მშობელი შვილისთვის საფრთხის შემცველი, რა შეიძლება გახდეს მშობლის უფლების შეზღუდვის ან ჩამორთმევის საფუძველი, რატომ გახდა იძულებული 35 წლის ქალბატონი, რომ მეუღლისგან შვილის დაცვის მიზნით, პროკურატურისა და სასამართლოსთვის მიემართა და როგორ იცავს სახელმწიფო ბავშვს, რომელიც მშობლის მხრიდან განხორციელებული ძალადობის მსხვერპლი გახდა? „პრაიმტაიმს“ 35 წლის ქალბატონი ესაუბრა, რომლის ვინაობას, გასაგები მიზეზების გამო, არ გავასაჯაროებთ.

„სანამ დავქორწინდებოდით, ჩემს მომავალ მეუღლეს წლების მანძილზე ვხვდებოდი და უგონოდ შეყვარებულიც გახლდით, მაგრამ, როგორც კი ერთად ცხოვრება დავიწყეთ, ამ ადამიანმა ხასიათის ისეთი თვისებები გამოავლინა, როგორსაც ვერასოდეს წარმოვიდგენდი. სასმელის მოყვარული ყოველთვის იყო, მაგრამ ამას დაემატა ჩემი უმიზეზოდ ცემა. საშინლად ეჭვიანი იყო. ერთხელ, ეზოში მანქანა ვილაცას უსიგნალებდა და ჩათვალა, რომ მე მისიგნალებდნენ. ისე სასტიკად მცემა, რომ თვალიც დამილურჯა და მხარსაც კარგა ხანს ვერ ვამოძრავებდი. ფიზიკურმა შეურაცხყოფამ რომ სისტემატური ხასიათი მიიღო, მეუღლის შიში გამიჩნდა და სახლში გავიქეცი. ამ დროს რვა თვის ორსული ვიყავი. მიუხედავად ყველაფრისა, არ მინდოდა, ბავშვი უმამოდ დაბადებულიყო და მეუღლეს შევურიგდი“.

ქალბატონი ირმას მონაყოლიდან ირკვევა, რომ მეუღლეს ხასიათი არც შვილის გაჩენის შემდეგ შესცვლია. ალკოჰოლის სიყვარულს მალე ნარკოდამოკიდებულებაც დაემატა და დედა-შვილისთვის ცხოვრება გაუსაძლისი გახდა. ქალბატონი ირმას მეუღლე რამდენიმე წლის წინათ, ნარკოტიკების მოხმარების ფაქტზე დააკავეს, თუმცა საპროცესო გარიგების შემდეგ, ყველაფერი ძველებურად გაგრძელდა. მოგვიანებით, მეუღლემ ირმას ფინანსური პრობლემებით ისარგებლა და ბავშვზე კონტროლი მთლიანად თავის ხელში აიღო. მალე მამაკაცმა ფიზიკური ძალადობა შვილზეც განახორციელა. როცა მამამ ბავშვი რამდენჯერმე დალურჯებამდე სცემა, დედამ სამართალდამცავ ორგანოებს მიმართა და შვილი თავის სახლში წამოიყვანა. ამჟამად მიმდინარეობს სასამართლო პროცესი, რომელზეც ირმა თავისი შვილის მამისთვის მშობლის უფლებების შეზღუდვას ითხოვს.

„მეუღლე გამუდმებით ალკოჰოლური ან ნარკოტიკული თრობის ქვეშ იმყოფებოდა. ამის გამო, ერთხელ ცოტა ხნით დააკავეს კიდეც, თუმცა ყველაფერი ამით დასრულდა. შემდეგ მეუღლემ ჩემი ფინანსური პრობლემებით ისარგებლა და ბავშვზე კონტროლი მთლიანად თავის ხელში აიღო. ბავშვი მისთვის სასურველ სკოლაში შეიყვანა და კაცმა, რომელსაც ერთი დღეც კი არასოდეს უმუშავია, გამომიცხადა, ბავშვს მე მივაქცევ ყურადღებასო. ამ დროს ჩვენი ურთიერთობა უკვე დისტანციური იყო. თუ რაიმე არ მოეწონებოდა, სახლიდან გამომაგდებდა, მერე დამირეკავდა, ისევ მირიგდებოდა და ასე დაუსრულებლად. ჩემი ტელეფონის კარტა საკუთარ სახელზე გააფორმა და გამუდმებით მამოწმებდა, ვინ მირეკავდა და რატომ. გამორიცხული იყო, სახლიდან მისი ნებართვის გარეშე ფეხი გამედგა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე საკუთარი მშობლების სახლში ვცხოვრობდი. მთვრალი საშინლად აგრესიული ხდებოდა, თუმცა დალურჯებამდე აღარ მცემდა, მაგრამ ყველაზე ცუდი ისაა, რომ მალე ბავშვზეც დაიწყო ძალადობა. იმ პერიოდში, როცა ბავშვი მასთან იყო, ჩემთან ურთიერთობას უშლიდა. შვილთან საკონტაქტოდ, მობილური ტელეფონი ვიჩუქე, მაგრამ ჩემთან რომ არ ესაუბრა, მამა სკოლაში არ ატანდა. ერთხელ ბავშვმა მაინც წაიღო და ამის გამო დალურჯებამდე სცემა. ეს კაცი ვერ ხვდება, რომ ფსიქიკურად ავადაა და უნდა იმკურნალოს, ამიტომ როცა მსგავსი ფაქტი მეორედ მოხდა, პოლიციაში ვუჩივლე და ბავშვი ჩემთან წამოვიყვანე. მანამდე რამდენჯერმე ვიყავი სოციალური მომსახურების სააგენტოში. ვამბობდი, რომ მამა მსმელი იყო, ბავშვს უხეშად ექცე-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...თვის მშობლის უფლების შეზღუდვას მოითხოვს

„სასმელის მოყვარული ყოველთვის იყო, მაგრამ ამას დაემატა ჩემი უმიზეზოდ ცემა“

„ბავშვი ისეთ დღეში ჩავარდა, რომ მამის შიშით სკოლაში ვერ მიდიოდა. მთელი დღე სკოლის კართან ვმორიგეობდი, რომ მამისა და მისი ახლობლების თავდასხმებისგან დამეცვა. მერე იძულებული გავხდი, სასამართლოსთვის მიმემართა და პროკურატურაში მეჩივლა“

EXCLUSIVE

მანანა ფურცხვანიძე

ოდა და დაცვა სჭირდებოდა, მაგრამ პოლიციამ რომ არც ბავშვის ექსპერტიზა ჩაატარა და არც შემაკავებელი ორდერი გამოსცა. მდგომარეობა სრულიად აუტანელი გახდა. მამასთან დაბრუნებაზე რომ დაეთანხმებინათ, მეუღლე და მისი ახლობლები დელეგაციებით ჩემს შვილს სკოლაში აკითხავდნენ. ბავშვი ისეთ დღეში ჩავარდა, რომ შიშით სკოლაში ვერ მიდიოდა. მთელი დღე სკოლის კართან ვმორიგეობდი, რომ თავდასხმებისგან დამეცვა. მერე იძულებული გავხდი, სასამართლოსთვის მიმემართა და პროკურატურაში მეჩივლა. მოვითხოვ, ჩემს ყოფილ მეუღლეს მშობლის უფლება შეეზღუდოს. კერძოდ, ბავშვი მასთან ერთ დღეზე დიდი ხნით არ იყოს. ეს არის ადამიანი, რომელიც 20 წლიდან მოყოლებული გადაბმით სვამს, არის არაადეკვატური, სასმელისკენ და ნარკოტიკებისკენ მიდრეკილი და გამორიცხულია, ამას თავი დაანებოს. ბავშვის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მინდა სასამართლოზე დავაყენო საკითხი, რომ უბნის ინსპექტორი იქნება თუ სხვა, პერიოდულად შემამოწმოს მე და ჩემი ოჯახის წევრები. ვინ რას აკეთებს, ვინ როგორ იქცევა და შემდეგ ის და მისი ოჯახი შეამოწმოს. როცა ბავშვის წასაყვანად მოვა, უნდა დავინახო, მთვრალია თუ ფხიზელია, იმიტომ, რომ მთვრალს ბავშვს არ გავატან. მოვითხოვ, რომ სახელმწიფომ ჩემი შვილის უსაფრთხოება დაიცვას.

ქალბატონმა ირმამ შვილის უფლებების დაცვის მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციას „ძალადობისგან დაცვის ეროვნულ ქსელს“ მიმართა, ამიტომ მის საქმეზე კომენტარისთვის, ორგანიზაციის იურისტს მანანა ფურცხვანიძეს დავუკავშირდით.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალბატონი ქმრის მხრიდან განხორციელებული ძალადობის მსხვერპლია, ამავე დროს უძლიერესი პიროვნებაა. მისი ქმედებები ქმრის მიმართ გაღიზიანებით ან შურისძიებით არ არის განპირობებული. ამ ქალბატონის ერთადერთი მიზანი შვილის უფლებების და უსაფრთხოების დაცვაა. ჩვენს ორგანიზაციას მხოლოდ მაშინ მიმართა, როცა ქმრის ოჯახიდან დიდი ხნის წამოსული იყო და უკვე მისი კი არა, ბავშვის უფლებები იყო დასაცავი. თავიდან ბავშვი მამის კონტროლისა და გავლენის ქვეშ იყო და მისი შიშით დედასთან ყოფნაზე უარს ამბობდა, მაგრამ რაღაც პერიოდის შემდეგ თავად წამოვიდა მამისგან. ამის მიზეზი მამის მხრიდან ხელის გარტყმა გახდა. ბავშვი ისეთი დათრგუნული და შეშინებულია, რომ არა მარტო მამის ხსენებაზე, არამედ მცირეოდენ ხმაურზე ან ყვირილზეც კი რეაგირებს და იბუზება, ამიტომ დედა ყველანაირად ცდილობს, მამასთან კონტაქტს მოარიდოს. დედაშვილის წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეც იყო აღძრული, მაგრამ ქალბატონის თქმით, როგორღაც „მიაფუჩეჩეს“. ამჟამად ბავშვის ნახვის დღეების განსაზღვრის მიზნით, დედა სამოქალაქო პროცესს აწარმოებს. ქალბატონი ირმას თქმით, ბავშვი ისეთი შეშინებული უყურებს მამას, რომ არ სურს, დამატებითი სტრესი მიაღებინოს. ბავშვისთვის უკეთესი იქნება, თუ მამასთან შეხვედრის დღეებს სასამართლო განსაზღვრავს და როცა მას მოუნდება, მაშინ არ მოგვადგეს კარზეო.

იურისტის თქმით, მშობლის უფლებების შეზღუდვის ან ჩამორთმევისთვის, მოდავე მხარე სასამართლოზე ძალიან სერიოზული არგუმენტებით უნდა წარდგეს. მანანა ფურცხვანიძე მიიჩნევს, რომ ირმასა და მისი შვილის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ მამასთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა, პრობლემას მოაგვარებს.

მშობლის უფლების ჩამორთმევის საკითხი რომ დადგეს, ძალიან მძიმე ფაქტებს უნდა ჰქონდეს ადგილი. არათუ ჩამორთმევა, მშობლის უფლების შეზღუდვაც კი ძალიან სერიოზული მტკიცებულებებით უნდა იყოს გამყარებული. ფაქტია, რომ არსებობენ მშობლები (მამებიც და დედებიც), რომლებიც შვილის აღზრდა-განვითარებაში არ მონაწილეობენ, დაკისრებულ ალიმენტებს არ იხდიან, მაგრამ მშობლობის პრეტენზია მაინც აქვთ. ეს ქალბატონი იბრძვის იმისთვის, რომ ამ ეტაპზე მაინც, სანამ ბავშვი ასეთ მდგომარეობაშია, ის მამასთან ურთიერთობისგან დაიცვას. დედას გარკვეული პრეტენზიები აქვს სოციალური სამსახურის მიმართაც და აცხადებს, რომ, როცა საქმე ბავშვზე ძალადობას ეხება, ცოტა სხვა მიდგომები და მეთოდებია შესამუშავებელი. ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას გამოიტანს სასამართლო.

მშობლის მხრიდან განხორციელებული რომელი ქმედებები შეიძლება გახდეს მისთვის მშობლის უფლების ჩამორთმევის ან შეზღუდვის საფუძველი? ამ კითხვით არასამთავრობო ორგანიზაცია „კავშირი საფარის“ ხელმძღვანელს ბაია პატარაიას დავუკავშირდით. აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყდეს ბავშვისა და არა მშობლის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. ზოგადად, ბავშვისთვის უკეთესია, რომ ურთიერთობა ორივე მშობელთან შეინარჩუნოს, ამიტომ სასამართლოები ცდილობენ, თანაბრად გადაანაწილონ მეურვეობის საკითხი და დრო, რომელსაც ბავშვები თითოეულ მშობელთან გაატარებენ. რა თქმა უნდა, ხდება გათვალისწინება, არის თუ არა საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფილი ორივე მშობელი და სად უკეთესია, იცხოვრონ ბავშვებმა. ხშირად ჩვენთან მოდიან ძალადობის მსხვერპლი ქალები, რომლებიც მოითხოვენ მეუღლისთვის მშობლის უფლებების ჩამორთმევას. სასამართლოს მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღება ხდება უკიდურეს შემთხვევაში, თუ მშობელი ძალიან სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს უშუალოდ ბავშვისთვის. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მშობლები ერთმანეთისთვის საფრთხეს წარმოადგენენ, ეს არ ნიშნავს, რომ ბავშვისთვისაც საზიანოა მშობელთან ურთიერთობა, შეიძლება ერთ-ერთი მშობელი არის მოძალადე, ნარკოტიკების მომხმარებელი, კრიმინალი ან სოციალურ ქცევაში აქვს რაღაცა ტიპის პრობლემა, მაგრამ ეს ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ ცუდი მშობელია და ცუდ გავლენას ახდენს საკუთარ შვილზე. თუ კონკრეტული ინციდენტი არ მომხდარა, პრევენციულად, იმის შიშით რომ მშობელმა შეიძლება რამე დაუშავოს საკუთარ შვილს, მშობლის უფლების ჩამორთმევა არ ხდება. ბაია პატარაიას განმარტებით, ბავშვი, რომელზეც ოჯახში პირდაპირ არ ძალადობენ, მაგრამ ის სერიოზულ კონფლიქტებს ან მშობელზე ძალადობის შემსწრეა, მაინც ძალადობის მსხვერპლად ითვლება. მიუხედავად ამისა, ესეც არ არის საკმარისი, რომ მშობლის უფლება შეიზღუდოს. თუ კონფლიქტი წარმოიქმნა ერთად მყოფ ორ ზრდასრულ ადამიანს შორის, მისი აღმოფხვრა ამ ადამიანების დაშორებით შეიძლება მოხდეს. ამდენად მშობლებს შორის ძალადობა ვერ იქნება მშობლის უფლების შეზღუდვის საფუძველი. რაც შეეხება, ბავშვთან მშობლის ურთიერთობის რეგულირებას, სასამართლომ უნდა შეაფასოს ყველა გარემოება და გაითვალისწინოს გადაწყვეტილების მიღების დროს. სასამართლომ უნდა შეისწავლოს თითოეული შემთხვევა და გაარკვიოს, რა ურთიერთობაში არიან მშობლები და შვილები ერთმანეთის მიმართ, ძალადობის რა ინციდენტს ჰქონია ადგილი, შეიძლება თუ არა ამ ყველაფრის კონტროლი და პრევენცია და გადაწყვეტილება ამ შეფასების საფუძველზე მიიღოს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

ფოტო: ზიზუ გიორგი ჯიქია

თათია შარანგია

დათუნა სულიკაშვილი

თინა დალაქიშვილი

თინა დალაქიშვილი და მიშა მესხი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

ლელა მეგურიშვილი

გიო მგელაძე

ნინო იოსელიანი

მიშა მესხი

მარგო ლუჩკო

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ფულის გათეთრებაში მხი

გიორგი კუხიანიძე „ტორპედოს“ უბრუნდება

ქობულეთის „შუქურას“ 22 წლის ნახევარმცველი, გიორგი კუხიანიძე მშობლიურ ქალაქ ქუთაისს უბრუნდება.

როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი, ახალგაზრდა ფეხბურთელი ისევ ქუთაისის „ტორპედოს“ ღირსებას დაიცავს. რადგან საქართველოში ახალი რეგულაციები უნდა ამოქმედდეს ზაფხულიდან, სავარაუდოა, რომ კუხიანიძე მშობლიური ქალაქის გუნდის ღირსებას მინიმუმ ერთი წლით დაიცავს.

როგორც ფეხბურთელმა „პრაიმტაიმს“ განუცხადა, ჯერჯერობით გარკვეული არ აქვს მომავალი გუნდის საკითხი, მაგრამ დიდი ალბათობით, ერთი წლით „ტორპედოში“ დაბრუნდება, სადაც 2011-დან 2014 წლამდე თამაშობდა.

გიორგი დარასელია ქუთაისში რჩება

ქუთაისის „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელი, გიორგი დარასელია გუნდთან თანამშრომლობას ახანგრძლივებს.

„პრაიმტაიმმა“ შეიტყო, რომ 46 წლის სპეციალისტს კონტრაქტს ერთი წლით გაუხანგრძლივებენ.

იმერული გუნდი, დარასელიას პირველი წრის დასრულების შემდეგ ჩააბარეს, იმ დროს, როდესაც „ტორპედო“ სატურნირო ცხრილში არასახარბიელო პოზიციას იკავებდა. დარასელიას ხელში კი ქუთათურები მეშვიდე ადგილამდე აღზევდნენ და სწორედ ნაჩვენები შედეგის გამო, კლუბის ხელმძღვანელობამ დარასელიასთან თანაშრომლობის გაგრძელება ისურვა.



არჩილ ბენიძე: „სოსო თოფურიძე მოდიოდა შალვა ნათელაშვილთან და ეუბნებოდა, თუ პარლამენტში არ შეხვალ, შენს რომელიმე თანაპარტიელს დავიჭერთ, მერე პანიკას ატეხო და ა.შ., პარლამენტში მისი მოთხოვნით მოხვდნენ თოფურიძის ნათესავი თევდორაძე და მომღერალი ნუგზარ ერგემლიძე“

მირიან ბოქოლიშვილი

ფულის გათეთრებაში მხილებული ყოფილი ლეიბორისტი დუმილს არღვევს. არჩილ ბენიძე შალვა ნათელაშვილის წინააღმდეგ სკანდალურ განცხადებებს აკეთებს და „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერს ვანო მერაბიშვილთან გარიგებაში ადანაშაულებს.

„პრაიმტაიმის“ ინტერვიუს წინ უძღოდა სასამართლოს შეტყობინება, რითაც არჩილ ბენიძეს ამცნეს, რომ „თბილისის საქალაქო სასამართლომ განაახლა ფულის გათეთრების საქმეზე სისხლის სამართლის საქმის განხილვა“. პროცესი 19 მაისს არის ჩანიშნული და როგორც ბენიძის ადვოკატებმა თამარ აბესაძემ და ზურაბ მამულაშვილმა გვითხრეს, პირველ შუამდგომლობად სასამართლოში შალვა ნათელაშვილის დაკითხვის საკითხს დააყენებენ, ვინაიდან ბენიძის მიმართ გამოტანილ საბრალდებო დასკვნაში ნათელაშვილი „დანაშაულის ორგანიზატორად“ არის მოხსენიებული, თუმცა საგამოძიებო ორგანოს არც ერთ ეტაპზე ლეიბორისტების ლიდერი არ დაუკითხავს.

რატომ ადანაშაულებს არჩილ ბენიძე ნათელაშვილს ვანო მერაბიშვილთან გარიგებაში? როგორ ხვდებოდნენ უცნობი პირები ლეიბორისტების სარჩევნო სიის სათავეში და რა დაპირისპირება მოხდა პარტიაში ნათელაშვილის მეუღლის, ბელა ალანიას გამო? სანამ ამ თემებზე უშუალოდ არჩილ ბენიძე ისაუბრებს, მანამდე ორიოდე სიტყვით თავად ამ სისხლის სამართლის საქმეზე გიამბობთ, რომელსაც პირობითად „ჰარი პოტერის საქმესაც“ უწოდებენ.

მოკლედ, „ლეიბორისტული პარტიის“ გლდანის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი არჩილ ბენიძე შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა 2008 წლის 25 ივლისს დააკავა. 26 ივლისს ბენიძეს წარედგინა ბრალდება ორგანიზებული ჯგუფის მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება. 27 ივლისს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეეფარდა, თუმცა 8-თვიანი პატიმრობის შემდეგ ის 2000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს და ქვეყნის დატოვების შესაძლებლობაც მისცეს. ბრალდების თანახმად, შალვა ნათელაშვილმა 2007 წლის შემოდგომაზე, ისრაელის მოქალაქე ანატოლი მოტკინს (ეს უკანასკნელი ბადრი პატარკაციშვილის ბიზნესპარტნიორი და ახლო მეგობარი გახლდათ), კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, 100 ათასი აშშ დოლარის გადმორიცხვა შესთავაზა.

„შალვა ნათელაშვილმა დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად, თავისი პირადი ავტორიტეტითა და სამსახურებრივი მდგომარეობით არჩილ ბენიძეზე არამართლზომიერი ზემოქმედება მოახდინა და 100 ათასი დოლარიდან 15 ათასის გათეთრებაში დახმარება სთხოვა. დარჩენილი 85 ათასი დოლარის ლეგალიზაცია შალვა ნათელაშვილმა ვალერიან დავითურის, დავით ვერძეულისა და სხვათა ხელშეწყობით მოახდინა. არჩილ ბენიძე დასთანხმდა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაში თანამონაწილეობას და შალვა ნათელაშვილს ანგარიშის რეკვიზიტები მიაწოდა, რაც ნათელაშვილმა ინტერნეტის მეშვეობით გაუგზავნა ანატოლი მოტკინს, რომელთანაც ის წინასწარ იყო შეთანხმებული, რომ სატელეფონო საუბრისას, თანხის მაგივრად წიგნები (ჰარი პოტერი) უნდა მოეხსენიებინათ. 2007 წლის 31 ოქტომბერს, ანატოლი მოტკინის მითითებით, უცხოურმა კომპანიამ არჩილ ბენიძეს 15 ათასი აშშ დოლარი ჩაურიცხა“, – წერია საბრალდებო დასკვნაში.

დღეს უკვე არჩილ ბენიძე ამბობს, რომ აღნიშნული თანხა მას ნამდვილად ჩაერიცხა, თუმცა არ ჰქონდა ინფორმაცია, ვისგან მოდიოდა თანხები.

არჩილ ბენიძე, „ლეიბორისტული პარტიის“ გლდანის ორგანიზაციის ყოფილი თავმჯდომარე:

– ერთადერთი საუბარი შედგა ჩემსა და შალვას შორის. მან მითხრა, არსებობს კეთილი ადამიანი, რომელსაც შეუძლია, დაგეხმაროსო. მე მქონდა ჩემი პატარა ბიზნესი, რომელიც იმ პერიოდში გარკვეული მიზეზების გამო მნიშვნელოვნად დაზარალდა. მას ჩემთვის არ უთქვამს, ვინ იყო ეს პიროვნება. მოგეხსენებათ, მაშინ ყველა ბიზნესმენი თავს არიდებდა ოპოზიციური პარტიის დაფინანსებას. პირადად ჩემი სახსრებით ჩავატარე არაერთი აქცია, მათ შორის სტრასბურგის სასამართლოსთან, რაც, მოგეხსენებათ, გარკვეულ ფინანსებს საჭიროებდა. ეს თანხები მე ჩემი ჯიბიდან გავიღე და ამიტომ, ჩავთვალე, რომ ამ ვალდებულებას გრძნობდა ნათელაშვილი და სწორედ ამის გამო შემომთავაზა თანხის ჩარიცხვა. გადმომერიცხა 15 ათასი დოლარი, თუმცა აქ არანაირ გათეთრებას ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან ეს თანხა მე პარტიაში არ მიმიტანია და ის ჩემი საჭიროებისამებრ მოვიხმარე. ვფიქრობდი, რომ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლეგენდარული არჩილ ბენიძე დუმილს არღვევს

ადვოკატი: „ვაპირებთ, დავაყენოთ შუამდგომლობა შალვა ნათელაშვილის დაკითხვის შესახებ“

თამარ აბესაძე

EXCLUSIVE

„საარჩევნო სიის მე-10 ნომრად შეყვანილი ჰყავდა ბელა ალანია, რამაც პარტია ლამის დაშლის პირას მიიყვანა“

მერაბიშვილის მიერ ეს საქმე წამოწეული იყო იმ მიზნით, რომ მოეხდინა ოპოზიციაზე ზეწოლა, რომელიც არჩევნებს ბოიკოტს უცხადებდა.

– არჩევნებზე ბოიკოტი კი გამოაცხადა, მაგრამ საბოლოოდ „ლეიბორისტულმა პარტიამ“ მაინც აიღო მანდატები...

– მოხდა გარიგება. იმ პერიოდში შალვა ნათელაშვილი მიხეილ სააკაშვილთან და ვანო მერაბიშვილთან უკვე გარიგებაში იმყოფებოდა. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების პირველად სიაში, რომელიც ნათელაშვილმა ცესკოში წარადგინა, მე-10 ნომრად შეყვანილი ჰყავდა თავისი მეუღლე ბელა ალანია, მერე ამის გამო დიდი აურზაური მოხდა პარტიის შიგნით, რამაც პარტია ლამის დაშლის პირას მიიყვანა. მაშინ შალვას ვანოსგან და მიშასგან მიღებული ჰქონდა გარანტიები, რომ პარტია გადალახავდა იმ ბარიერს, რომელიც უზრუნველყოფდა იმას, რომ მისი მეუღლე პარლამენტის დეპუტატი გამხდარიყო. სიაში, ასევე, იყვნენ ადამიანები, რომლებიც პირდაპირ ხელდასხმულნი იყვნენ ვანო მერაბიშვილისგან. მაგალითად, ვინმე თევდორაძე, რომელიც სიაში მერაბიშვილთან შეთანხმებით ჩასვეს. შეგიძლიათ, მოიძიოთ ინფორმაცია, ვინ არის თევდორაძე ვანო მერაბიშვილის. ანალოგიური გარიგება შედგა 2012 წელსაც, რის შემდეგაც ნათელაშვილს პარტიის ლიდერები განუდგნენ. კომისიის ნევრები, რომლებიც ერთგულად ემსახურებოდნენ პარტიას, ამოყარეს და მათ ადგილას ჩასვეს „ნაციონალური მოძრაობის“ ნარმომადგენლები.

– დღეს თქვენ კვლავ ბრალდებულის სტატუსი გაქვთ... საპროცესო გარიგებას ხომ არ აპირებთ?

– ჩემი დაჭერის დღიდან არაერთი შემოთავაზება იყო, რომ მეღიარებინა არჩადენილი დანაშაული და მეორე დღესვე ვიქნებოდი სახლში. იმის გამო, რომ უარი ვთქვი, 8 თვე გავატარე გლდანის საპყრობილეში, შემდეგ ჩემთვისაც მოულოდნელად გამომიშვეს 2-ათასლარიანი გირაოს სანაცვლოდ, მაშინ როდესაც თავის დროზე მოსამართლემ უარი თქვა 20-ათასლარიანი გირაოს სანაცვლოდ განთავისუფლებაზე. როგორც მერე ირკვევა, ეს იყო პიარის ნაწილი, რომელიც კარგად გამოიყენა შალვა ნათელაშვილმა და ჩაგრულის იმიჯი მოირგო – აი, ნახეთ როგორ დევნიან ჩემს თანაპარტიელებს, გარიგებული როგორ ვიქნებიო. პირადად, სოსო თოფურიძე მოდიოდა შალვა ნათელაშვილთან და ეუბნებოდა, თუ პარლამენტში არ შეხვალ, შენს რომელიმე ერთ თანაპარტიელს დავიჭერთ, მერე პანიკას ატეხ და ა.შ. მიდიოდა ტიპური თამაში. საბოლოოდ,

გიორგი გუგავა: „ეს ყველაფერი ორგანიზებულია სპეცსამსახურების მიერ ივანიშვილის დავალებით... რაც უფრო ძლიერდება შალვა ნათელაშვილისა და „ლეიბორისტული პარტიის“ კრიტიკული დამოკიდებულება ივანიშვილის მიმართ, უფრო და უფრო გორდება სიბინძურის ტალღები“

პარლამენტში მისი მოთხოვნით მოხვდნენ თოფურიძის ნათესავი თევდორაძე და მომღერალი ნუგზარ ერგეგლიძე. რა დამსახურებით მოხვდნენ ისინი პარტიის სიებში, ვინ დაავალა ნათელაშვილს მათი სიაში ჩასმა, ძალიან საინტერესოა, იმ ფონზე, როცა პარტიის ლიდერები ნესტან კირთაძე და პაატა ჯიბლაძე გამსვლელი სიის მიღმა დარჩნენ. ეს იყო გარიგების ნაწილი, პარლამენტში შევიდნენ ერგეგლიძე და თევდორაძე, რის შემდეგაც მათ „ლეიბორისტული პარტია“ დატოვეს.

ზურაბ მამულაშვილი, ბენიძის ადვოკატი:

– სასამართლო პროცესზე ვაპირებთ, დავაყენოთ შუამდგომლობა შალვა ნათელაშვილის დაკითხვის შესახებ. არსებობს ორი ვარიანტი: პროკურატურამ ან მთლიანად უნდა გაითხოვოს სასამართლოდან ეს სისხლის სამართლის საქმე, ან ბრალი წაუყენოს ნათელაშვილს, რომელიც საბრალდებო დასკვნაში დანაშაულის ორგანიზატორად მოიხსენიება, არჩილ ბენიძე კი – მხოლოდ შემსრულებლად. ამ ხნის განმავლობაში, არც წინა და არც მოქმედი ხელისუფლების დროს ნათელაშვილი არც კი დაუკითხავთ მაშინ, როცა საბრალდებო დასკვნა იწყება ასე: „შალვა ნათელაშვილმა ჩამოაყალიბა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი“... ამ ჯგუფში, პროკურატურის მტკიცებით, შედიოდნენ არჩილ ბენიძე და კიდევ 4 პირი, რომლებსაც დაერიცხათ 15-15 ათასი დოლარი. დაკავეს მარტო არჩილ ბენიძე, მხოლოდ იმის გამო, რომ უარი თქვა დანაშაულის აღიარებაზე. თავის დროზე, როდესაც ბენიძეს აღმკვეთი ღონისძიება შეუფარდეს, სასამართლო პროცესს ესწრებოდა თვითონ ნათელაშვილი, რომელსაც პროკურატურა დანაშაულებრივი ჯგუფის ორგანიზატორად ასახელებდა, თუმცა არც ერთი კითხვა მის მიმართ არ დასმულა. უფრო მეტიც, თუ დანაშაული მოხდა, ბენიძე იყო ბოლო რგოლი, რომელსაც, დიდი ალბათობით, არც ეცოდინებოდა დანაშაულის შესახებ.

– დანარჩენებს რა ბედი ეწიათ?

– სხვათა შორის, ამ საქმეში, ასევე, ფიგურირებს ვინმე გიორგი დავითური, რომელიც საკმაოდ შეძლებული ოჯახიდან გახლავთ. მასაც ჩაერიცხა თანხა, ოღონდ, როგორც გავარკვიეთ, ეს იყო ვალის ნაწილი, რომელიც ნათელაშვილს ამ ოჯახის მიმართ ჯერ კიდევ 2003 წლიდან ჰქონდა.

– რა ვალზეა საუბარი?

არჩილ ბენიძე:

– ნათელაშვილი სრულიად მოულოდნელად საკმაოდ უცნობ ხალხს საეჭვოდ სვამდა საარჩევნო სიებში. სავარაუდოდ, ადგილი ჰქონდა ფინანსურ გარიგებას. ვვარაუდობთ, რომ ასე მოხდა დავითურის შემთხვევაშიც 2003 წელს, ის ჩასვეს საარჩევნო სიაში, დავითური მართლაც გავიდა პარლამენტში. მაგრამ შემდეგ ეს არჩევნები რევოლუციის შედეგად ჩაიშალა და დაინიშნა ხელმეორე არჩევნები, სადაც „ლეიბორისტულმა პარტიამ“ 5-პროცენტიანი ბარიერიც ვერ გადალახა და, შესაბამისად, ვერც დავითურმა მიიღო მანდატი, არადა თანხა გადახდილი იყო. სწორედ იქიდან მოყოლებული ჰქონდა ეს ვალი ნათელაშვილს და მას სულ სთხოვდნენ ამ თანხას.

თამარ აბესაძე, ადვოკატი:

– შალვა ნათელაშვილმა არ გადაუხვია ჩვეულ სტილს, „კუ და მორიელის“ იგავის არ იყოს, ჩვენ დაგვიწყო კბენა უმადურად, რადგან არ შევასრულეთ მისი პოლიტიკური მითითებები, აშკარად ხელს ვუშლიდით, არადა არაჯანსაღი „ლეიბორისტული პარტიის“ იმედად ჩვენი მეგობრის არჩილ ბენიძის დატოვება ყოვლად დაუშვებელი იყო. ვიცავდით არჩილს და ახლაც დავიცავთ, მაქვს დიდი იმედი, რომ მის მიმართ სასამართლო გამამართლებელ განაჩენს გამოიტანს და ამას დიდი სიამოვნებით მივიღებთ.

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა კი ყოფილი თანაპარტიელის ბრალდებებს აბსურდს უწოდებს და შალვა ნათელაშვილის წინააღმდეგ წარმოებულ შავ-პიარზე საუბრობს, რის უკანაც, გუგავას თქმით, სპეცსამსახურები დგანან.

გიორგი გუგავა, „ლეიბორისტული პარტია“:

– უზნეობად მიმაჩნია, რასაც ეს ადამიანები მიზანმიმართულად აკეთებენ. ეს ყველაფერი ორგანიზებულია სპეცსამსახურების მიერ ივანიშვილის დავალებით. მანამდე ამ ჭორების კულტივაციას ახდენდა კუდ-ი. ახლა, რაც უფრო ძლიერდება შალვა ნათელაშვილისა და „ლეიბორისტული პარტიის“ კრიტიკული დამოკიდებულება ივანიშვილის მიმართ, უფრო და უფრო გორდება სიბინძურის ტალღები.

– ანუ თქვენი ყოფილი თანაგუნდელების უკან ბიძინა ივანიშვილი დგას?

– რა თქმა უნდა.

– არჩილ ბენიძის საქმეზე რას იტყვით?

– რა უნდა ვთქვა? ალოგიკურია, რომელ გარიგებაზე შეიძლება ყოფილიყო ლაპარაკი, როდესაც შალვა ნათელაშვილის მიმართ ვანო მერაბიშვილმა აღძრა სისხლის სამართლის საქმე. თან გარიგებაში იყო და თან მოსაკლავად დასდევდნენ 2007 წლის მოვლენების შემდეგ? სად არის აქ ლოგიკა? რა ბრალდებებსაც თავის დროზე უყენებდა სააკაშვილი-მერაბიშვილის რეჟიმი შალვა ნათელაშვილს, დღეს ეს ხალხი იგივე ბრალდებებს იმეორებს. ნათელაშვილის დაკავება, უფრო მეტიც, მისი ლიკვიდაცია გადაწყვეტილი იყო, რომ არა ამერიკის ელჩის ჩარევა. ე.ი. კაცი უნდა მოეკლათ, რომ დადასტურებულიყო ამ ბრალდებების აბსურდულობა?

– ბენიძე იმასაც ამბობს, რომ უშუალოდ სოსო თოფურიძე სტუმრობდა ხოლმე ნათელაშვილს, რომელთანაც საარჩევნო სიას ათანხმებდა...

– სრული აბსურდია. რაც უფრო ძლიერდება ჩვენი დაწოლა ხელისუფლებაზე და ივანიშვილის მხილება, მით უფრო ძლიერდება ეს სიბინძურის კამპანიაც. თავად ბენიძის ადვოკატები პირდაპირ კუდ-ის თანამშრომლები იყვნენ. პირდაპირ მოდიოდნენ და გვთხოვდნენ ხელისუფლებასთან გარიგებას.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

წლის ყველაზე ლამაზ წყვილად აღიარებული ოჯახი ბავშვს ელოდება

ფეხბურთელი ლაშა კალანდაძე, რომლის ქორწილის და მეუღლის ფოტოებმა მთელი ქვეყანა და სოციალური ქსელი აალაპარაკა, ბავშვს ელოდება.

კალანდაძე მეუღლესთან, მარიამ ხორგუაშვილთან ერთად მცხეთაში, „ვიტ ჯორჯია“ - „შუქურას“ დაპირისპირებაზე გამოჩნდა. სწორედ ქობულეთის გუნდში ირიცხება კალანდაძე, მაგრამ ტრავმის გამო ის საწვრთნელ პროცესშიც არ მონაწილეობს.

ფეხბურთელის ცოლს მუცელი უკვე ეტყობა და შესანიშნავადაც გამოიყურება.

ლევან ცქიტიშვილი ტოტალიზატორში გამოიჭირეს

ვეტერანი ფეხბურთელი და ფუტსალის ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტი, ლევან ცქიტიშვილი ტოტალიზატორში გამოიჭირეს.

ცქიტიშვილს პაპარაცმა ფოტო იმ დროს გადაუღო, როდესაც ის ტოტალიზატორ „ევროპაბეთში“ ფსონს დებდა. ვეტერანმა ფეხბურთელმა 1000 ლარი დადო მადრიდის „რეალის“ მოგებაზე ტურინის „იუვენტუსის“ წინააღმდეგ, თუმცა მადრიდელები ტურინელებთან ფრეს დასჯერდნენ, ცქიტიშვილმა კი 1000 ლარი წააგო.

ირინა ბაირამაშვილი ქორწინების ერთი წლისთავს აღნიშნავს

ერთი წელი გავიდა, რაც მომღერალი ირინა ბაიარამაშვილი ცოლად ერთი თვის გაცნობილ 4 წლით უმცროს მიხეილ ღაღაშვილს გაჰყვა. 25 წლის მიკა სამი წელია პარიზში ცხოვრობს. „ლორეალის“ კომპანიაში სუპერვაიზერის პოზიციაზე დაიწყო მუშაობა. პარფიუმერია თავზე საყრელი მაქვსო, ხუმრობს ირინა. წყვილი პარიზში გეგმავდა გამგზავრებას, თუმცა ერთი წლის თავზე გეგმები შეეცვალათ.

ირინა ბაირამაშვილი:

- ერთი წელი გავიდა, მაგრამ არაფერი შეცვლილა. უფრო მეტადაც გვიყვარს ერთმანეთი. არის პატარ-პატარა ცხოვრებისეული პრობლემა, რომელიც გა-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბახუტა ცოლის მშობიარობას უნდა დაესწროს



მსახიობ გიორგი ბახუტაშვილს გადაწყვეტილი აქვს, რომ თავისი ცოლის მშობიარობას დაესწროს. ეს მსახიობის სურვილიც არის და მისი მეორე ნახევრისაც. წყვილმა შარშან აპრილში დაიწერა ჯვარი. მსახიობი გოგონას მამა ხდება, ქალიშვილს 14 ივნისამდე ელოდება. სახელი ჯერ არ შეურჩევიათ.

გიორგი ბახუტაშვილი:

- სახელი მოფიქრებულიც არ გვაქვს. თაკოს იდეები აქვს, მაგრამ ჯერ არ ამბობს. მე გადავწყვიტე, რომ თაკომ დაარქვას. შანსი არ არის, ჯერ არ იტყვის, რას ფიქრობს.

- პატარასთვის მზადება დაიწყეთ?

- ფაქტობრივად, ყველაფერი ვიყიდეთ.

- მშობიარობას დაესწრები?

- აუცილებლად. მეც ძალიან მინდა და ეს თაკოს იდეაც იყო.

ხვედრებს ამ პრობლემების მიღმა როგორ გიყვარს შენი მეორე ნახევარი. თაფლობის თვე ისევ გრძელდება ჩვენს ცხოვრებაში. ისევ გაცნობის პროცესში ვართ. ყველაზე მეტად რაც გაგვილამაზებს ცხოვრებას ეს შვილია, ღვთის ნება როცა იქნება, მაშინ გვეყოლება შვილიც.

- ქორწინების ერთი წელი უნდა აღნიშნოთ?

- აუცილებლად, მეგობრების წრეში.

- პარიზში აღარ მიდიხართ?

- ჯერჯერობით გადავდეთ. ამ ზაფხულს შეიძლება ინგლისში წავიდეთ. მე არ შემიძლია ჩემების და ჩემი სახლის გარეშე ცხოვრება. პატრიოტი ვარ.

სოფო გელოვანს ზაზა ორაშვილმა ვარცხნილობა შეაცვლევინა

სოფო გელოვანი რიგით მეოთხე კლიპის გაადაღებას ერთ კვირაში იწყებს. მომღერალმა რეჟისორის, ზაზა ორაშვილის თხოვნით ვარცხნილობაც შეიცვალა. გალაკტიონის ლექსზე „მთვარის ნაამბობიდან“ მელოდია მარინა გოჩიტაშვილმა დაწერა, ხოლო მისი არანჟირება ზვიად ბოლქვაძეს ეკუთვნის.

სოფო გელოვანი:

- მძიმე და ტკივილით სავსე სიმღერაა საქართველოზე. კლიპს თბილისშიც და მის გარეთაც გადავიღებთ. ჯერ არ ვამხელთ სიუჟეტს. ზაზა ბევრს ფიქრობს, რომ კლიპი საინტერესო და განსხვავებული გამოვიდეს. მე და ზაზას ათი წლის წინ გვიმუშავია და ვიცნობ მისი მუშაობის სტილს.

- სად იტრიალებს კლიპი, მუსიკალური არხი ჩვენ არ გვაქვს.

- ამას რომ უყურო, გაჩერდები მომღერალი, არც სიმღერას ჩაწერ და არც კლიპს გადაიღებ. ინტერნეტით, რომელიმე ტელევიზიით გაკეთდება მისი პრეზენტაცია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ როგორ პასუხობს სა

მირიან
ბოქოლიშვილი

„ენდიაის“ ბოლო კვლევის შედეგები ექსპერტებისთვისაც საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა. „ქართული ოცნების“ რეიტინგის ასეთ მკვეთრ კლებას თვით ნაციონალებშიც კი არ ვარაუდობდნენ. რამ განაპირობა ხელისუფლების პოპულარობის შემცირება? რატომ გაიზარდა ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების მომხრეთა რაოდენობა? შეინარჩუნებს თუ არა „ქართული ოცნება“ ხელისუფლებას **2016** წელს და რა მოთხოვნით გეგმავს „ნაციონალური მოძრაობა“ აქციების დაწყებას? ამ თემებზე „პრაიმტაიმი“ მანანა კობახიძეს, დავით ბერძენიშვილსა და ნუგზარ წიკლაურს ესაუბრა.

„არ მჯერა, რომ ალასანიას უფრო მეტად ენდობა საზოგადოება, ვიდრე ირკალი ღარიბაშვილს. არათანმიმდევრული და პირად წყენებზე აგებული ოპოზიციონერობა საზოგადოების მოწონებას არ იმსახურებს“

მანანა კობახიძე, „ქართული ოცნება“:

– ჩვენ ვაფასებთ ამერიკული ინსტიტუტების, მათ შორის NDI-ს საქმიანობას და იმ მხარდაჭერას, რომელიც დემოკრატიის განვითარებისკენ არის მიმართული, თუმცა, რა თქმა უნდა, კვლევებთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები და ეჭვები არსებობს. გვახსოვს 2012 წლის არჩევნებამდე პერიოდში, NDI-ს გათვლებით, უპირობოდ ლიდერობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და, წესით, ხელისუფლებაში კვლავ ეს პარტია უნდა მოსულიყო, თუმცა არჩევნებზე სრულიად სხვა შედეგი დაიდო. აქედან გამომდინარე, გვაქვს ეჭვის საფუძველი, რომ ადგილი აქვს სერიოზულ ცდომილებას. ვფიქრობთ, რომ ეს მონაცემები ახლოს არ არის ობიექტურობასთან.

– თუმცა ლოგიკურია, რომ სოციალურმა პრობლემებმა, ან თუნდაც ლარის გაუფასურებამ შეცვალა საზოგადოებრივი განწყობა...

– ბუნებრივია, ლართან დაკავშირებული პრობლემები ახდენს გავლენას საზოგადოების განწყობაზე. ბევრს ეს პრობლემა მძიმე ტვირთად დააწვა, განსაკუთრებით ბანკებთან ურთიერთობაში. ეს პრობლემა არსებობს, ამას მთავრობა ადეკვატურად აფასებს და გეგმის მიხედვით ახორციელებს იმ ღონისძიებებს, რომელმაც ვითარება უნდა დაასტაბილუროს. ეს არის მთავრობის ნომერ პირველი ამოცანა. არ გამოვრიცხავ, საზოგადოების ეს წუხილი ნამდვილად ასახულიყო კვლევაში, თუმცა ცოტა ძნელი წარმოსადგენია, საზოგადოებას ისე მეტად აღარ აღელვებდეს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, როგორც წინა წლებში. ეს ყოველთვის ნომერ პირველი პრობლემა იყო. არა მგონია, ამ მნიშვნელოვანი პრობლემის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება და განწყობა შეიცვალოს...

– ეს ხომ არ არის ე.წ. დათბობის პოლიტიკის გამოძახილი, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან მიმართებაში ატარებს?

– ჩვენი ხელისუფლების პოზიცია და დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი ცალსახაა. ჩვენ ვართ შეურიგებელნი ოკუპაციის ფაქტის მიმართ. ეს არის ჩვენი როგორც საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც ყოველთვის პრიორიტეტულია, ნებისმიერ საერთაშორისო ფორმატში. დეოკუპაცია და არაღიარების პოლიტიკის გაგრძელება – ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა. ვნახეთ, რომ აგრესიულმა რიტორიკამ არავითარი პოზიტიური შედეგი არ გამოიღო, პირიქით. დღეს ეს რიტორიკა შეცვლილია, თუმცა დამოკიდებულება ოკუპაციის ფაქტის მიმართ, რა თქმა უნდა, ცალსახა და მკაფიოა. ჩვენ არამც და არამც, არასოდეს შევურიგდებით საოკუპაციო რეჟიმის ქმედებებს. ჩვენ ვართ დეესკალაციისა და პრობლემის მშვიდობიანად, აგრესიისა და რადიკალიზმის გარეშე მოგვარების მომხრე. ამას იწონებენ ჩვენი დასავლელი პარტნიორებიც. მაგრამ საზოგადოების დამოკიდებულება როგორ შეიძლება იყოს შეცვლილი?! არ მგონია, ლარის კურსი უფრო პრიორიტეტული იყოს, ვიდრე ტერიტორიული მთლიანობა.

– წეღან თქვით, რომ არსებობს ეჭვები ამ კვლევასთან დაკავშირებით... ეჭვები NDI-ს მიმართ გაქვთ თუ იმ ორგანიზაციის, რომელიც უშუალოდ საველე სამუშაოებს ატარებს?

– არ მინდა წარმოვიდგინო, რომ NDI დაინტერესებულია არასწორი შედეგების გამოქვეყნებით. ის უნდა იყოს დაინტერესებული კვლევის ობიექტურობით, ამიტომ ვფიქრობ, პრობლემა იმ ორგანიზაციების საქმიანობაშია, რომლებიც ამას ველზე ასრულებენ. ფაქტია, რომ ძალიან ხშირად სახეზეა სერიოზული ცდომილება.

– ამავე კვლევით, ყველაზე პოპულარულ პოლიტიკოსთა შორის პრეზიდენტი და ირაკლი ალასანია ლიდერობენ... მათ საგრძნობლად ჩამორჩებათ ირაკლი ღარიბაშვილი... რით ხსნით ამას?

– საერთოდ, ყველაფერზე, რაც ქვეყანაში ხდება, პასუხისმგებელია მთავრობა და, შესაბამისად, პრემიერ-მინისტრი. ზოგადად, ყველაზე მეტი კრიტიკა მოდის მთავრობის მისამართით. საზოგადოება ყოველთვის არის და უნდა იყოს კიდეც მთავრობის მიმართ კრიტიკული. რა თქმა უნდა, ოპოზიციაში ყოფნა ბევრად კომფორტულია. ზოგჯერ, ამინდი რომ შეიცვლება, იმასაც მთავრობას აბრალებენ ხოლმე. ამიტომ გარკვეული განწყობები, ბუნებრივია, შესაძლოა, რაღაც დონით შეცვლილია. ზოგადად, ხელისუფლებაში ყოფნიდან სამი წლის შემდეგ მმართველ გუნდს ვერ ექნება ის რეიტინგი, რაც არჩევნების პირველ, ან მეორე დღეს ჰქონდა. ეს ყოველთვის ასეა, მაგრამ რეიტინგში ასეთი მასშტაბის ცვლილების არ მჯერა. ეჭვი მეპარება, რომ ალასანიას უფრო მეტად ენდობა საზოგადოება, ვიდრე ირკალი ღარიბაშვილს. ეს არ ასახავს იმ რეალობას, რაც არის.



– ფიქრობთ, რომ ალასანიას რეიტინგი გაბერილია?

– გამომდინარე მისი ბოლოდროინდელი ნაბიჯებიდან, არ მგონია, მას ასეთი ტიპის მხარდაჭერა ჰქონდეს. ვიღაცამ ჩემი ეს ნათქვამი შეიძლება სუბიექტურად მიიჩნიოს, მაგრამ საკმაოდ არათანმიმდევრული და პირად წყენებზე აგებული ოპოზიციონერობა არა მგონია, საზოგადოების მოწონებას იმსახურებდეს. ამას ხალხი ძალიან მარტივად ატყობს. არ მგონია, მის მიმართ ნდობა გაზრდილიყო, მით უმეტეს, რაც ოპოზიციაში გადავიდა.

– როგორ ფიქრობთ, 2016 წელს კვლავ მოახერხებს „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში დარჩენას?

– ძალიან დიდი ამოცანებია ჩვენს წინაშე. საზოგადოებას ძალიან ბევრი დანაპირები მივეცით და შეიძლება გარკვეულწილად გადაჭარბებული მოლოდინებიც გაჩნდა თავის დროზე, მაგრამ აბსოლუტურად ვიაზრებთ იმ პასუხისმგებლობას, რაც გვაქვს აღებული. ბევრი რამ არის გასაკეთებელი და ვფიქრობ, მთავრობამ და საპარლამენტო უმრავლესობამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოვყენოთ სწორედ იმ პრობლემების დასაძლევად, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი მოქალაქეებისთვის. არიან ოჯახები ვისთანაც ხელისუფლება ჯერ ვერ მივიდა და პოზიტიური შედეგები არ ასახულა. სამწუხაროდ, არ არის ცოტა ასეთი ოჯახების რაოდენობა, თუმცა უნდა გვესმოდეს, რომ ეს არის წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემები, რომელთან გამკლავებაც ასე ადვილი არ არის. ჩვენ დაგვხვდა რეალობა, რომ სოციალურ დახმარებასაც კი პოლიტიკური ნიშნით აძლევდნენ. ჩვენ ეს რეალობა უკვე გამოვიარეთ. ახლა ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ ქვეყანაში შემოვიდეს ინვესტიციები, გაჩნდეს სამუშაოები და, უპირველესად, მივხედოთ ყველაზე სოციალურად დაუცველ ადამიანებს. ის მილიარდობით დახარჯული თანხა, იქნება ეს ჯანდაცვა, სოციალური პროექტები, თუ სოფლის მეურნეობა, მიმართულია სწორედ ამ ადამიანების დაკმაყოფილებაზე. ბუნებრივია, ეკონომიკას გაჯანსაღება სჭირდება და ამისთვის 24-სათიანი მუშაობაა საჭირო და იმედი მაქვს, მთავრობა გაათმაგებული ენერგიით იმუშავებს ამ გამოწვევების გასამკლავებლად. სკამზე ჯდომა ჩვენი თვითმიზანი არ არის.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ზოგადოების განწყობას?

„უბედურების ზარმა ჩამოჰკრა და საზოგადოებრივ აქტიურობას თავი დაანება რესპუბლიკელების დაუძინებელმა „მეგობარმა“ რეზო ამაშუკელმა. „რესპუბლიკური პარტიის“ ლანძღვა-გინება პერსპექტიული აღარ არის“

დავით ბერძენიშვილი, „რესპუბლიკური პარტია“:

– ჩვენ ორიენტირებულნი ვართ, რომ ხელისუფლება იყოს წარმატებული და 2016 წლის არჩევნებზე „ქართულ ოცნებასთან“ ერთად კოალიციურად მოვიდეთ კვლავ ხელისუფლებაში.

– არცთუ დიდი ხნის წინ ამბობდით, რომ რესპუბლიკელების წინააღმდეგ მიზანმიმართული კამპანია მიმდინარეობს ღარიბაშვილის მხარდამჭერების მხრიდან... დღესაც ფიქრობთ, რომ შავი პიარის მსხვერპლი ხართ?

– რამდენიმე დღის წინ უბედურების ზარმა ჩამოჰკრა და საზოგადოებრივ აქტიურობას თავი დაანება რესპუბლიკელების დაუძინებელმა „მეგობარმა“ რეზო ამაშუკელმა. ეს ხუმრობით, სერიოზულად კი გეტყვით, რომ დღეს არ არის პერსპექტიული და აქტუალური „რესპუბლიკური პარტიის“ ლანძღვა-გინება.

– NDI-ს გამოკითხვა, სადაც მოსახლეობის 31 პროცენტი ევრაზიულ კავშირს ემხრობა, თქვენთვის მოულოდნელი იყო?

– ეს ნამდვილად მაღალი ციფრია წინა წლებთან შედარებით, თუმცა ორი მესამედია იმ ადამიანთა რაოდენობა, ვინც ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციას უჭერს მხარს. ამიტომ ქვეყანაში რაიმე არსებითი განწყობების ცვლილება, საგარეო ორიენტაციის თვალსაზრისით, არ შეიმჩნევა. საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მყარად დგას ევროპულ და ევროატლანტიკურ გზაზე. მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე რაიმე სერიოზულ ცვლილებებს პროევრაზიული და პროდასავლური ძალების გადანაწილების თვალსაზრისით არ ველოდები. პროევრაზიული ორიენტაციის ძალებმა, როგორც საპრეზიდენტო, ისე ადგილობრივ არჩევნებში, გარკვეული შედეგები მიიღეს, მაგრამ ეს არის მათი ნიშა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში და, საერთო ჯამში, ვფიქრობ 20 პროცენტს არ აღემატება.

– ამავე გამოკითხვით, გაიზარდა იმ ადამიანთა რაოდენობა, ვინც მიიჩნევს, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდება...

– ვფიქრობ, პირველად მივიღეთ ხელისუფლების დანაწილების პრინციპი ისეთი მასშტაბის, რომელიც არასდროს ყოფილა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. ზვიად გამსახურდიას დროს აღმასრულებელი ხელისუფლება უპირობოდ მისი იყო, საკანონმდებლო ხელისუფლება, ასევე, მისი იყო, სრული კონტროლი იყო თვითმმართველობებზეც და სასამართლოც მისი გახლდათ. მედიის მხრივ, ერთი-ორი პატარა კუნძული არსებობდა, გაზეთი „დრონისა“ და „საქართველოს“ სახით, დანარჩენი, მათ შორის „პირველი არხი“, იყო მონოპოლიზებული. შევარდნაძის მმართველობის დროს თავისუფალი მედია გაჩნდა, მაგრამ აღმასრულებელი, საპარლამენტო, თვითმმართველობაც და სასამართლოც ერთი ვერტიკალის ქვეშ იყო მოქცეული. სააკაშვილის მმართველობის დროს, ასევე, მივიღეთ ორი პატარა კუნძული მედიაში, ვგულისხმობ „კავკასიასა“ და „მაესტროს“, მთელი დანარჩენი ტელემედია მონოპოლიზებული იყო ხელისუფლების მიერ, ბეჭდური მედია ცდილობდა, ამას შეწინააღმდეგებოდა, მაგრამ მისი შესაძლებლობები მცირე იყო. პარლამენტიც, მთავრობაც და სასამართლოც სააკაშვილის ხელში გახლდათ. დღეს კი ჩვენ გვყავს ყველასგან დამოუკიდებელი პრეზიდენტი, მათ შორის მისი წარმდგენი პოლიტიკური გუნდისგან, აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი სასამართლო, მთავრობა აგებს საქმეებს სასამართლოებში და ეს ამის უტყუარი ნიშანია. გვაქვს მთავრობასა და პარლამენტს შორის პარტნიორობა-კონკურენციის რეჟიმი და ყველაფერი არ გადის ისე, რასაც მთავრობა შემოიტანს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი ინსტიტუციონალიზმის მიმართულებით. ამასთანავე, მედია დღეს არის დამოუკიდებელი.

– თუმცა ხშირად საუბრობენ, რომ დღესაც ივანიშვილი მართავს ქვეყანას, ოღონდ არაფორმალურად?

– მართვა ნიშნავს 24-საათიან რეჟიმში ხელისუფლების კონტროლს. ივანიშვილის რჩევები და პოზიციები საჯაროა ხოლმე. გავლენიან პირებს, იქნებოდა ეს ბილ კლინტონი თუ მამა ბუში, გარკვეული შესაძლებლობები რჩებათ მათი ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ. როდესაც ჰილარი კლინტონი იყო სახელმწიფო მდივანი, მაშინაც ისმებოდა კითხვები, რა დოზით მონაწილეობს მისი მეუღლე, ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი ბილ კლინტონი გადაწყვეტილებების მიღებაში. იგივე ითქმის მამა ბუშზეც. ასე რომ, აქ გასაკვირი არაფერია, თუმცა უნდა ითქვას, რომ დასამთავრებელი გვაქვს ინსტიტუციონალიზმის გამტკიცების პროცესი.

– რისი ხაზგასმა სურდა ხელისუფლებას, როცა თავდაცვის მინისტრის პოსტზე თქვენი თანაპარტიელი, თინა ხიდაშელი წარადგინა?

– ამით მოხდა იმის ხაზგასმა, რომ დღეს აღმასრულებელი ხელისუფლება არის კოალიციური. 2012 წლიდან ჩვენ გვაქვს მრავალპარტიული პარლამენტი, შექმენით მრავალპარტიული თვითმმართველობები, მაგრამ არ გვყავდა კოალიციური მთავრობა. ამიტომ ამ განაცხადით პრემიერმა თქვა, რომ ჩვენ გვეყოლება კოალიციური მთავრობაც. გადაწყვეტილება მიიღო პრემიერ-მინისტრმა უსუფაშვილისა და რესპუბლიკელების შეთავაზებით. ამით სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა ინსტიტუციონალიზმის მიმართულებით.

„ნაციონალები“ სააკაშვილის დაბრუნების მოთხოვნით აქციებს იწყებენ?!

„ნაციონალური მოძრაობა“ მიიჩნევს, რომ NDI-ს კვლევებმა რეალობა ასახა. როგორც „პრაიმტაიმს“ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა ნუგზარ წიკლაურმა განუცხადა, აღნიშნულ კვლევებში ადეკვატურად აისახა ის მდგომარეობა, რაც ქვეყანაშია. წიკლაური ვარაუდობს, რომ უახლოეს ხანში „ქართული ოცნების“ რეიტინგი კიდევ უფრო დაეცემა.

„მმართველი გუნდის რეიტინგის ასეთი კატასტროფული ვარდნა პირადად მე არ მახსენდება. მნიშვნელოვანია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი ამაღლდა, რადგან ჩვენ გვაქვს კონკრეტული გეგმა ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად. ვფიქრობ, მმართველი გუნდის რეიტინგი კიდევ უფრო შემცირდება და „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი ამაღლდება“, – აცხადებს წიკლაური.

„რეიტინგის ასეთი კატასტროფული ვარდნა პირადად მე არ მახსენდება“

მისივე თქმით, ამ კვლევამაც აჩვენა, რომ ოპოზიციურ პროდასავლურ ფლანგზე ერთადერთი ანგარიშგასაწევი ძალა „ნაციონალური მოძრაობაა“. ამის დასტურად, ნუგზარ წიკლაურს „თავისუფალი დემოკრატების“ რეიტინგის (5%) კლება მოჰყავს.

„ნაციონალური მოძრაობა“ მიხეილ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნების მოთხოვნით აქციების გამართვასაც გეგმავს. „საქართველოს დღეს ჰყავს პოლიტიკური პატიმრები ბაჩო ახალაიას, ვანო მერაბიშვილის, გიგი უგულავასა და სხვათა სახით. ასევე, პოლიტიკური ნიშნით არ აძლევენ საქართველოში ჩამოსვლის საშუალებას ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტს. ვფიქრობ, „ქართულმა ოცნებამ“ უნდა გადადგას მისთვის მტკივნეული, მაგრამ ერთადერთი გონივრული ნაბიჯი და ქართულ პოლიტიკურ სივრცეში დაუშვას ის ადამიანები, რომლებსაც ამჟამად პოლიტიკური ნიშნით დევნის. ამ მოთხოვნით საკმაოდ სერიოზული აქციები იგეგმება“, – აცხადებს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას წიკლაური.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ალექსი ახვლედიანმა მედიას ახალგაზრდული ფესტივალის გახსნა-დახურვის ცერემონიის საორგანიზაციო ჯგუფი წარუდგინა

მაგდა კლდიაშვილი

„თბილისი 2015“-სთვის მზადება აქტიურ ფაზაში შევიდა. ახალგაზრდული ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, ალექსი ახვლედიანმა მედიას ფესტივალის გახსნა-დახურვის ცერემონიის საორგანიზაციო ჯგუფი წარუდგინა. გარდა საორგანიზაციო ჯგუფისა, საქართველოში სპეციალურად ქართული დიზაინით შექმნილი ოლიმპიური ჩირაღდანიც ჩამოვიდა.

„26 მაისს საბერძნეთში აინთება ოლიმპიური ცეცხლი, რომელიც შემდეგ ჩამოვა საქართველოში. 700-მდე მეჩირაღდნე შემოატარებს ოლიმპიურ ცეცხლს მთელ საქართველოში და ამისთვის უკვე დაწყებულია მზადება“

EXCLUSIVE

საქართველოს მთავრობისა და ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი 2015“-ის გახსნისა და დახურვის საზეიმო ცერემონიალს ორგანიზებას გაუწევს საქართველოს კულტურის პალატა. საორგანიზაციო ჯგუფს, საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტი, დავით ოქიტაშვილი უხელმძღვანელებს

საქართველოს კულტურის პალატამ აღნიშნულ ღონისძიებების რეჟისორად, მსოფლიოში აღიარებული რეჟისორი, დევიდ ზოლკვერი მოიწვია.

ზოლკვერს უმუშავია ისეთ პროექტებზე, როგორიცაა: 1997 წლის ჰონგ კონგის დიდი ბრიტანეთისგან ჩინეთისთვის გადაცემის ცერემონია, 2002 წლის Commonwealth თამაშების გახნითი ცერემონია. 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშების გახსნითი ცერემონია, 2008 წლის პეკინის ოლიმპიური თამაშების გახსნითი ცერემონიის შემოქმედებითი კონსულტანტი, 2009 წლის FIFA კონფედერაციის თასის გახსნითი ცერემონია, 2010 წლის FIFA მსოფლიო თასის გახსნითი ცერემონია, დიდი ბრიტანეთის სამეფო ქორწილის შემოქმედებითი რეჟისორი და ბევრი მრავალი ღონისძიებების რეჟისორი და ორგანიზატორი. Zolkwer არის დაჯილდოებული საპატიო დოქტორის ხარისხით ლონდონის უნივერსიტეტში. wikipedia.org/wiki/David_Zolkwer

„თემატურად ჩვენი პირველი მოთხოვნა იყო, რომ დეტალურად წარმოჩენილიყო ჩვენი ქვეყნის მართლაც საამაყო ისტორია, და იმ პროექტში, რომელიც კულტურის პალატამ და ბატონმა დევიდმა წარმოადგინეს, ვთვლი, რომ ზუსტად არის ასახული ის ისტორიული მომენტები, დანარჩენზე, სამწუხაროდ, მე ვერაფერს გეტყვით, 26 ივლისს უნდა დაველოდოთ“

დევიდ ზოლკვერს აღნიშნული ღონისძიებების ორგანიზებაში დახმარებასა და კონსულტაციას რეჟისორი, დავით დოიაშვილი, ბასა ფოცხიშვილი და მხატვარი თამარ ფოცხიშვილი გაუწევენ.

ალექსი ახვლედიანმა საორგანიზაციო ჯგუფის წარდგენისას გახსნა-დახურვის ცერემონიალის დეტალები გაასაიდუმლოა, მაგრამ აღნიშნა, რომ პროექტში ზუსტად არის ასახული ისტორიული მომენტები.

ალექსი ახვლედიანი:

„თემატურად ჩვენი პირველი მოთხოვნა იყო, რომ დეტალურად წარმოჩენილიყო ჩვენი ქვეყნის მართლაც საამაყო ისტორია, და იმ პროექტში, რომელიც კულტურის პალატამ და ბატონმა დევიდმა წარმოადგინეს, ვთვლი, რომ ზუსტად არის ასახული ის ისტორიული მომენტები, დანარჩენზე, სამწუხაროდ, მე ვერაფერს გეტყვით, 26 ივლისს უნდა დაველოდოთ“.

14 მაისს კი საქართველოში სპეციალურად ქართული დიზაინით შექმნილი ოლიმპიური ჩირაღდანი ჩამოიტანეს. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ფესტივალის თილისმა, ხოხობი, პიკმა, სიმბოლურად გადასცა „თბილისი 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს ალექსი ახვლედიანს. ოლიმპიური ჩირაღდნის პრეზენტაციასა და გადაცემის ცერემონიალში „თბილისი 2015“-ის მოხალისეები მონაწილეობდნენ.

ალექსი ახვლედიანი:

„6 თვის განმავლობაში მზადდებოდა ქართული ჩირაღდანი ოლიმპიური ფესტივალისთვის, რომელიც უკვე თბილისშია. ეს არის ქართული ორნამენტით, ვაზით გაფორმებული ჩირაღდანი. თქვენ იცით, რომ 26 მაისს საბერძნეთში აინთება ოლიმპიური ცეცხლი, რომელიც შემდეგ ჩამოვა საქართველოში. 700-მდე მეჩირაღდნე შემოატარებს ოლიმპიურ ცეცხლს მთელ საქართველოში და ამისთვის უკვე დაწყებულია მზადება“.

ოლიმპიური ცეცხლის ანთების და გადაცემის ცერემონია საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს, პანათენაიკოსის სტადიონზე სპეციალური რიტუალით მოხდება. მისი საზეიმო დახვედრა ბათუმში მოეწყობა, საიდანაც დაიწყება ცეცხლის მასშტაბური ესტაფეტა.

ოლიმპიური ჩირაღდანი მოივლის მთელ საქართველოს, ჩავა 67 ქალაქსა და რაიონულ ცენტრში, სადაც მოეწყობა ოლიმპიური ცეცხლის დახვედრისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტები.

ახალგაზრდული ფესტივალი თბილისში 26 ივლისს გაიხსნება და 1 აგვისტოს დაიხურება. ახალგაზრდულ ფესტივალში 49 ქვეყნის 3 800 სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას.

„საქართველოს კულტურის პალატამ აღნიშნულ ღონისძიებების რეჟისორად, მსოფლიოში აღიარებული რეჟისორი, დევიდ ზოლკვერი მოიწვია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ციფრული მიწისზედა ღია საეთერო ტელემაუწყებლობა - რა ვიკითხოთ სამომხმარებლო ტექნიკის მაღაზიებში?

2015 წლიდან საქართველო ციფრულ მიწისზედა საეთერო მაუწყებლობაზე გადადის. რეფორმის განხორციელება საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) წევრი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, საერთაშორისო ვალდებულებას წარმოადგენს, რომელიც ჟენევის 2006 წლის ხელშეკრულებით განისაზღვრა.

მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით არაერთი აქტივობა განხორციელდა, მათ შორის ერთ-ერთი ცხელი ხაზის ამოქმედებაა. დღეს მოსახლეობას შეუძლია დარეკოს ნომერზე 14 80 და დღე-ღამის ნებისმიერ დროს მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით.

მოსახლეობის მხრიდან სწორედ ცხელ ხაზზე შემოსული კითხვების მონიტორინგის შედეგად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ციფრული მაუწყებლობის სააგენტომ შეარჩია მნიშვნელოვანი თემები, რომლებსაც მოსახლეობას ამჯერად პრესის საშუალებით ვთავაზობთ.

ციფრული ღია საეთერო მაუწყებლობის მისაღებად თანამედროვე ტელევიზორის ან სეთ-თოფ ბოქსის შეძენისას მნიშვნელოვანია, მომხმარებელი ტექნიკის მაღაზიაში ინფორმირებული მივიდეს. მან უნდა იცოდეს, თუ რა ფუნქციონალის ტელევიზორი ან მიმღები დასჭირდება ანალოგური მიწისზედა სიგნალის გათიშვის შემდეგ.

საქართველო, რადიო სიხშირეების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენების მიზნით, ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელების დასანერგად გამოიყენებს დღეისათვის ერთ-ერთ ყველაზე დახვეწილ და აპრობირებულ DVB-T2 სტანდარტს, მონაცემთა შემჭიდროვების MPEG 4 ტექნოლოგიით, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, ერთი მულტიპლექსპლატფორმისათვის გამოყოფილი სიხშირული რესურსის ფარგლებში, გავრცელდეს საშუალოდ 15-მდე სტანდარტული გარჩევადობის (SD) ან 4-დან 6-მდე მაღალი გარჩევადობის (HD)სატელევიზიო პროგრამა.

რა უნდა იკითხოს მომხმარებელმა, როდესაც ყიდულობს ციფრული ღია საეთერო მაუწყებლობისთვის საჭირო სეთ-თოფ ბოქსს?

თუ მომხმარებლის ტელევიზორი ვერ აკმაყოფილებს საქართველოში ციფრული ტელევიზორებისთვის განკუთვნილ ტექნიკურ მოთხოვნებს, DVB-T2 სტანდარტის მხარდაჭერის მქონე ციფრული სიგნალის ინდივიდუალური მიმღები მოწყობილობის - სეთ-თოფ ბოქსის შეძენა მოუწევს. სასურველია, სეთ-თოფ ბოქსის ფუნქციონალი აკმაყოფილებდეს საქართველოში ინდივიდუალური მიმღები მოწყობილობისთვის შემუშავებულ ტექნიკური მოთხოვნების დოკუმენტს.

ციფრული ღია საეთერო მაუწყებლობისთვის განკუთვნილი სეთ-თოფ ბოქსის შერჩევის შემდეგ, მოქალაქემ უნდა სთხოვოს მაღაზიის კონსულტანტს, რომ აღნიშნული მიმღები მიაერთოს ტელევიზორს და ღია საეთერო სამაუწყებლო ანტენას, რათა დარწმუნდეს, რომ პარალელური მაუწყებლობის რეჟიმში (2015 წლის 17 მარტიდან 17 ივნისამდე) იღებს არანაკლებ 8 პროგრამას. მათ შორის: საზოგადოებრივი მაუწყებლის I და II არხები, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, „რუსთავი 2“, „იმედი“, „კომედი არხი“, „ტაბულა“ და „GDS“.

მყიდველი აუცილებლად უნდა დაინტერესდეს, რომ სეთ-თოფ ბოქსს შეუძლია ელექტრონული პროგრამების გზამკვლევის ჩვენება და აგრეთვე, ქართული შრიფტის აღქმა, მაგალითად, საზოგადოებრივი მაუწყებლის I და II არხების (GPB 1 და GPB 2) გადაცემის შინაარსი უნდა იკითხებოდეს ქართულ ენაზე.

სასურველია, მოქალაქემ შეამოწმოს, რომ მიმღებს მოჰყვება ქართულენოვანი სამომხმარებლო ინსტრუქცია.

რეკომენდებულია, სეთ-თოფ ბოქსს თან ახლდეს RoHS და CE სერთიფიკატები იმის დასადასტურებლად, რომ საქონელი აკმაყოფილებს ევროკავშირის მიერ დადგენილ მომხმარებელთა უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მოთხოვნებს.

თუ გაქვთ სურვილი, რომ აღნიშნული სეთ-თოფ ბოქსის საშუალებით მიიღოთ მაღალი გარჩევადობის (HD)პროგრამები, უნდა შეამოწმოთ, აქვს თუ არა მიმღებს HDMI კაბელის შესაერთებელი ინტერფეისი (პორტი).

დამატებით სხვა აქსესუარებთან ერთად ტელევიზორთან მისაერთებლად სეთ-თოფ ბოქსს დასჭირდება HDMI, RCA ან SCART კაბელი.

სეთ-თოფ ბოქსის შეძენისას მნიშვნელოვანია მომხმარებელმა იკითხოს, თუ როგორ მიიღებს ის აპარატის მონტაჟის სერვისს.

მყიდველმა აუცილებლად უნდა შეამოწმოს, მოყვება თუ არა სეთ-თოფ ბოქსს საგარანტიო პირობები.

რა უნდა იკითხოს მომხმარებელმა ტექნიკის მაღაზიაში, როდესაც ტელევიზორს ყიდულობს იმისთვის, რომ მიიღოს ციფრული ღია საეთერო პროგრამები?

(ასეთ ტელევიზორს ინტეგრირებულს ან iDTV-ს უწოდებენ)

მომხმარებემა, რომელსაც სურს შეიძინოს ახალი, თანამედროვე ტელევიზორი იმისთვის, რომ მიიღოს ციფრული ღია საეთერო პროგრამები, უნდა შეარჩიოს DVB-T2 სტანდარტის მხარდაჭერის მქონე ტელევიზორი. სასურველია, აღნიშნული ტელევიზორის ფუნქციონალი აკმაყოფილებდეს საქართველოში ციფრული ტელევიზორებისთვის შემუშავებულ ტექნიკური მოთხოვნების დოკუმენტს.

ტელევიზორის შერჩევის შემდეგ მომხმარებელმა უნდა სთხოვოს მაღაზიის კონსულტანტს, რომ აღნიშნული ტელევიზორი მიაერთოს ღია საეთერო სამაუწყებლო ანტენას, რათა დარწმუნდეს, რომ პარალელური მაუწყებლობის დროს (2015 წლის 17 მარტიდან 17 ივნისამდე) იღებს არანაკლებ 8 პროგრამას. მათ შორის: საზოგადოებრივი მაუწყებლის I და II არხები, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, „რუსთავი 2“, „იმედი“, „კომედი არხი“, „ტაბულა“ და „GDS“.

რეკომენდებულია, ტელევიზორს თან ახლდეს RoHS და CE სერტიფიკატები იმის დასადასტურებლად, რომ საქონელი აკმაყოფილებს ევროკავშირის მიერ დადგენილ მომხმარებელთა უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მოთხოვნებს.

მომხმარებელი აუცილებლად უნდა დაინტერესდეს, რომ აღნიშნულ ტელევიზორს შეუძლია ელექტრონული პროგრამების გზამკვლევის ჩვენება და აგრეთვე, ქართული შრიფტის აღქმა, მაგალითად, საზოგადოებრივი მაუწყებლის I და II არხების (GPB 1 და GPB 2) გადაცემის შინაარსი იკითხება ქართულ ენაზე.

სასურველია, ტელევიზორს თან ახლდეს ქართულენოვანი სამომხმარებლო ინსტრუქცია.

მყიდველმა აუცილებლად უნდა შეამოწმოს, მოჰყვება თუ არა ტელევიზორს საგარანტიო პირობები.

როგორ მივიღოთ გარანტირებულად ციფრული ღია საეთერო სიგნალი, თუ გვაქვს თანამედროვე, DVB-T2 სტანდარტის მხარდაჭერის მქონე ტელევიზორი?

თუ სარგებლობთ DVB-T2 სტანდარტის მხარდაჭერის მქონე ტელევიზორით (ე.წ. iDTV), ციფრული მიწისზედა ღია საეთერო სიგნალის მისაღებად დაგჭირდებათ:

· ანტენა - მოსახლეობას გამოადგება იგივე მეტრული და დეციმეტრული დიაპაზონის მქონე ანტენა, რომელსაც ანალოგიური სიგნალის მიღებისას იყენებდა. ეს შეიძლება იყოს შენობის სახურავზე დამონტაჟებული ან, ცალკეულ შემთხვევებში, სატელევიზიო ანძისკენ მიმართული სახლის ანტენა.

ანტენის დიაპაზონები უნდა იყოს 174-230 მჰც სიხშირეები VHF სიხშირულ ზოლში და 470-694 მჰც სიხშირეები UHF სიხშირულ ზოლში.

· კაბელი -ციფრული საეთერო სიგნალის მისაღებად დაგჭირდებათ: სტანდარტული 75 ომი ტალღური წინაღობის მქონე კოაქსიალური კაბელი, ე.წ. „სატელევიზიო კაბელი“.

სახელმწიფო მულტიპლექს პლატფორმის სიხშირეები და არხის ნომრები მთელი საქართველოსთვის ნაჩვენებია ბმულზე:
http://gncc.ge/uploads/other/0/499.xls

შეერთების სქემა და ტექნიკური პარამეტრების გადაწყობის თანმიმდევრობა იხილეთ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე: www.digitaltv.ge, სოციალურ ქსელში www.facebook.com/digitaltv.ge ან დარეკეთ ცხელ ხაზზე: 1480

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სისხლის ჯგუფით ადამიანზე უფრო მეტი ინფორმაციის მიღება შეიძლება, ვიდრე თქვენ ფიქრობთ

ადამიანის სისხლის ჯგუფი განისაზღვრება შემადგენლობით - კონკრეტული ნახშირწყლები და ცილები ახდენენ სისხლის ჯგუფის ფორმირებას. სისხლის ჯგუფებად დაყოფა ჯერ კიდევ 1900 წელს მოხდა. არსებობს ოთხი ძირითადი სისხლის ჯგუფი. მათ შორის ყველაზე გავრცელებული მეორე სისხლის ჯგუფია. ნებისმიერმა ადამიანმა უნდა იცოდეს საკუთარი სისხლის ჯგუფი, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანია და, რაც მთავარია, აუცილებლობის შემთხვევაში ზუსტად უნდა იცოდე რომელი ჯგუფის სისხლი უნდა გადაისხა.

სწორედ ამიტომ მებრძოლებს უკეთებდნენ სპეციალურ სამაჯურებს, რომელზეც მათი სისხლის ჯგუფის ნომერია პლუსით და მინუსით, რაც რეზუსდადებით ან რეზუსუარყოფით ჯგუფს აღნიშნავდა.

პირველი ჯგუფის სისხლი - ყველაზე ძველი სისხლის ჯგუფია, რომელიც ნეანდერტალელების დროიდან მოდის. იმ პერიოდში ადამიანები ძირითადად ცხოველის ხორცით იკვებებოდნენ, სწორედ ამიტომ ცილით მდიდარი ხორცის დიეტა დღესაც კარგად მოქმედებს ამ სისხლის მქონე ადამიანების ჯანმრთელობაზე. ადამიანები პირველი ჯგუფის სისხლით ძლიერი ლიდერები და ხელმძღვანელებელი გამოდიან. ისინი მარტივად პოულობენ გამოსავალს ყველაზე მძიმე სიტუაციებიდანაც კი და ასევე პრობლემების მოგვარებაში ეხმარებიან სხვა ადამიანებს. მათ ყველაფერი იდეალურად ექნებოდათ, რომ არა საკითხებისადმი ზედაპირული დამოკიდებულება და უპასუხისმგებლობა. ეს ორი პრობლემაა, რომელზეც ღირს მუშაობა თუკი პირველი სისხლის ჯგუფის ადამიანებს ცხოვრებაში წარმატებების მიღწევა სურთ. რაც უფრო აქტიური ცხოვრებით არიან დაკავებულები, მით უფრო დიდხანს ცხოვრობენ. მამაკაცები პირველი ჯგუფის სისხლით საუკეთესო საყვარლები არიან, მათ სიამოვნებთ ქალების „დაპყრობა“ და არასოდეს ჩერდებიან მიღწეულ მიზანზე, მათ უფრო და უფრო მეტი მწვერვალის დაპყრობის სურვილი უჩნდებათ. რაც შეეხება პირველი ჯგუფის სისხლის მქონე ქალბატონებს, ისინი, როგორც წესი, ძალიან აქტიურები და ძალიან ეჭვიანები არიან.

მეორე ჯგუფის სისხლი - სისხლის ეს ჯგუფი გაჩნდა იმ პერიოში, როდესაც ადამიანები სოფლის მეურნეობით დაინტერესდნენ და დაიწყეს კვებითი რაციონის გაფართოება. სწორედ ამიტომ აღნიშნული სისხლის მქონე ადამიანები თავს საუკეთესოდ გრძნობენ თუ მათი კვებითი რაციონი მრავალფეროვანია. ამ ჯგუფის „პატრონები“ მარტივად ეგუებიან ნებისმიერ ცვლილებებს, პირობებს და აბსოლუტურად უკონფლიქტოები არიან. ასეთი ადამიანები ძალიან მარტივად პოულობენ საერთოს ნებისმიერ სულიერთან, ახერხებენ ნებისმიერ თემაზე საინტერესოდ საუბარს და მარტივად ითვისებენ უცხო ენებს. როგორც წესი, მეორე ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანების სუსტი წერტილი გული და მხედველობაა. ამ ჯგუფის მამაკაცები ერთგულები და მორცხვები არიან, ისინი, როგორც წესი, პატივს სცემენ საკუთარ პარტნიორებს.

რაც შეეხება ქალბატონებს - ისინი იდეალური მეუღლეები არიან, რომლებსაც უყვართ საკუთარი შვილები და ოჯახი, ასევე ერთგული და გამგები მეგობრები არიან.

მესამე ჯგუფის სისხლი - სისხლის ეს ჯგუფი გაჩნდა მაშინ, როდესაც დედამიწაზე ცივი პერიოდები დაიწყო. მაღალი ტემპერატურიდან დაბალზე გადასვლამ სისხლის შემადგენლობაზეც იმოქმედა და მუტაცია განიცადა. ამ ჯგუფის მქონე ადამიანები მოთმინების უნარით გამოირჩევიან და ისინი განსაკუთრებულად მეწვრილმანეები არიან. შეიძლება იყვნენ საუკეთესო ქირურგები ან ოქრომჭედლები. აქვთ უნარი კარგად აკეთონ ის საქმე, რომელიც არასოდეს უსწავლიათ. ჯანმრთელობის მხრივ მათი სუსტი წერტილი კუჭი და ინფექციური დაავადებები ხდება. სისხლის მესამე ჯგუფის მქონე მამაკაცები ხშირად იცვლიან პარტნიორებს, მანამ სანამ საკუთარ რჩეულს იპოვიან. რაც შეეხება ქალბატონებს ისინი განსაკუთრებული ექსტრავაგანტურობით გამოირჩევიან და ყველაფერზე საკუთარი მოსაზრების დაფიქსირება უყვართ.

მეოთხე სისხლის ჯგუფი - ეს ყველაზე იშვიათი და ახალი ჯგუფია. ის დაახლოებით ათასი წლის წინ ჩამოყალიბდა. მეოთხე სისხლის ჯგუფის მქონე ადამიანებს საუკეთესო იმუნიტეტი აქვთ, ყველაზე ახალ და ჯერ კიდევ შეუსწავლელ დაავადებებსაც კი მძაფრ წინააღმდეგობას უწევენ. თუმცა სუსტი წერტილებიც აქვთ: სმენის უნარი, კანის, სახსრების და ძვლების პრობლემები. ყველაზე ხშირად გამომგონებლებს და მკვლევარებს აქვთ მეოთხე ჯგუფის სისხლი. ამ ჯგუფის მამაკაცებმა შესანიშნავად იციან თუ როგორ უნდა მიიქციონ ყურადღება, ქალბატონები კი ძალიან სექსუალურები და მიმზიდველები არიან.

როგორ უნდა მოვიქცეთ გულის შეტევის დროს?

გულის შეტევის შემთხვევები საკმაოდ გახშირებულია ბოლო პერიოდში. გულის შეტევისგან დაზღვეულიც არავინ არის. სწორედ ამიტომ თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა ვიცოდეთ თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ ასეთ დროს.

გულის შეტევა შეიძლება შენელებული გულისცემით გამოვიცნოთ. ასეთ დროს, როგორც წესი, გულ-მკერდის ან თავად გულის ტკივილია დამახასიათებელი. ასეთ დროს ნებისმიერ ადამიანს დაახლოებით ათი წამი აქვს თავის გადასარჩენად. სწრაფ მოქმედებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. გთავაზობთ ათ გზას, თუ როგორ უნდა მოიქცეთ გულის შეტევის დროს.

1. დაიწყეთ ხველება, ახველეთ და პარალელურად ჩაისუნთქეთ ჰაერი, რაც შეიძლება ღრმად. ხველა ყოველ ორ წამში ერთხელ უნდა განმეორდეს. ასეთ დროს გული იკუმშება, სისხლი იწყებს ცირკულირებას, ხოლო ღრმა ჩასუნთქვა კი ხელს უწყობს ჰაერის ფილტვებში მოხვედრას. ხველა დაგეხმარებათ დროის გახანგრძლივებაში, რომ მოასწროთ სასწრაფოს გამოძახება.

2. მიიღეთ 0,25 გრამი ასპირინი და 0,5 მილიგრამი ნიტროგლიცერინი. ასპირინი არტერიებს ბლოკირებისგან დაიცავს, ხოლო ნიტროგლიცერინი შეამცირებს არტერიულ წნევას. ტაბლეტები, რა თქმა უნდა, წყალთან ერთად უნდა მიიღოთ. არ არის რეკომენდებული სხვა ტიპის წამლების მიღება პირადი გადაწყვეტილებით: ისინი შეიძლება შეიცავდეს კოფეინს, რომელიც ასეთ დროს უკუჩვენებას გამოიწვევს.

3. წამლების მიღებამდე გამოიძახეთ სასწრაფო, მით უფრო თუ გრძნობთ, რომ გონება შეიძლება დაკარგოთ. მთავარია, არ ჩავარდეთ პანიკაში, რადგან ასეთ მდგომარეობაში აღელვება კიდევ უფრო დაამძიმებს მდგომარეობას.

4. ისუნთქეთ ღრმად. ეს დაგეხმარებათ სიმშვიდის შენარჩუნებაში.

5. როდესაც ექიმები მოვლენ პირველ რიგში უთხარით რომელი წამლები მიიღეთ.

6. არავითარ შემთხვევაში არ იაროთ, არ ჭამოთ, არ მოწიოთ სიგარეტი მაშინაც კი თუ იგრძნობთ რომ უკეთ ხართ.

სასურველია, რომ ნებისმიერმა ადამიანმა სახლში იქონიოს ასპირინი და ნიტროგლიცერინი.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სახის კანის მდგომარეობა პირდაპირ კავშირშია ორგანოების მუშაობასთან



დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ კანის ნებისმიერი პრობლემა პირდაპირ კავშირშია ორგანოების მუშაობასთან. კარგად რომ გამოიყურებოდეთ ამისთვის აუცილებელია საკუთარ ჯანმრთელობაზე იზრუნოთ. მედიცინის კანონებით, სახე, კანის პრობლემების მიხედვით რამდენიმე ნაწილად იყოფა.

1. თუ გამონაყარი შუბლზე გაქვთ ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ ნაღვლის ბუშტის და ღვიძლის პრობლემები გაქვთ. პრობლემებს კი, თავის მხრივ, იწვევს ნერვული სისტემის დაზიანება, ხშირი და ძლიერი სტრესები, კუჭ-ნაწლავის პრობლემები. ასეთ შემთხვევაში მაქსიმალურად უნდა გააკონტროლოთ საკუთარი კვება და სასურველი იქნება თუ რაციონიდან საერთოდ ამოიღებთ ტკბილ და ცხიმიან საკვებს.

2. წარბებს შორის ადგილი - ნერვული სისტემის გადატვირთვა ყოველთვის უარყოფით შედეგებს იწვევს, რომლებიც, როგორც კანზე, ასევე ჯანმრთელობაზეც აისახება. მედიტაცია, ვანები განტვირთვისთვის, ბალახეულის დამამშვიდებლები - ეს ყველაფერი თქვენთვის საუკეთესო არჩევანი იქნება.

3. გამონაყარი თვალების ირგვლივ - მიუთითებს ფარისებრი ჯირკვლის, სახსრების და ნაწლავების პრობლემებზე.

4. პრობლემები თვალების ქვევით - იმის ნიშანია, რომ თირკმელები არ მუშაობს ისე, როგორც უნდა მუშაობდეს. ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სწორ კვებას და საკვების კარგად დაღეჭვას.

5. გამონაყარი ლოყებზე - ნელი მეტაბოლიზმის, ფილტვების და ნაწლავების პრობლემებზე მიუთითებს. პრობლემის მოსაგვარებლად საუკეთესო გზა სპორტით დაკავება და სწორი სუნთქვაა. ასეთ შემთხვევაში კატეგორიულად იკრძალევა მოწევა და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ძილის ხანგრძლივობას.

6. გამონაყარი ცხვირზე - გულის და სისხლის მუშაობის შედეგია. გამონაყარი ცხვირზე ადამიანს, როგორც წესი, მაშინ უჩნდება თუ მას გულის პრობლემები აქვს და აწუხებს არტერიული წნევა. როგორც წესი, ექიმები ასეთ დროს ალკოჰოლის მიღებას კატეგორიულად კრძალავენ, ასევე პაციენტებს ურჩევენ შეამცირონ ყავის და მწარე საკვების მიღება. სასურველია თუ საკუთარ რაციონში დაამატებთ ზეითუნის ზეთს.

7. ტუჩები - ნაწლავების მუშაობა სწორედ სახის ამ ნაწილში აისახება. გამონაყარი ტუჩების ირგვლივ ნაწლავების პრობლემებზე მიუთითებს. თუ ტუჩები უფერულია - ეს ანემიის ნიშანია და საჭიროა ისეთი პროდუქტების მიღება, რომელიც დიდი რაოდენობით რკინას შეიცავს.

8. ენა - ტოქსინები. გამონაყარი ენაზე იმის ნიშანია, რომ სხეულში ბევრი ტოქსინები დაგროვდა. ასეთ დროს საუკეთესო გამოსავალი დიდი ოდენობით სითხისა და ნატურალური პროდუქტების მიღებაა.

9. ნიკაპი - ჰორმონალური ბალანსი. ჰორმონალური ბალანსის დარღვევისას, როგორც წესი, გამონაყარი სწორედ ნიკაპზე ხდება. ასეთი პრობლემის არსებობის შემთხვევაში სასურველია გინეკოლოგს ან ურولოგს მიმართოთ.

კანის პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელია და, როგორც წესი, ხშირ შემთხვევაში, კვების რაციონის კორექტირებაც საკმარისი ხდება პრობლემის მოსაგვარებლად.



7 ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ

დღევანდელ რეალობაში ძალიან საშიშია მაღაზიაში იყიდო ჯანმრთელობისთვის სასარგებლო პროდუქტი. აკრძალული პროდუქტების სია დღითიდღე იზრდება. შემოგთავაზებთ იმ შვიდი პროდუქტის დასახელებას, რომლებიც ერთი შეხედვით სულაც არ არის საშიში, თუმცა მათ მიღებას ექიმები კატეგორიულად კრძალავენ.

1. ჯემები - მაღაზიაში ნაყიდი ჯემები განსაკუთრებით სახიფათოა, რადგან ისინი დიდი ოდენობით ანტიოქსიდანტებს შეიცავენ. ანტიოქსიდანტები ხელს უწყობს პროდუქტს რაც შეიძლება დიდხანს იყოს ვარგისიანი და შეინარჩუნონ პირვანდელი სახე. ჯემები ასევე შეიცავენ საღებავებს, რომლებიც ჯანმრთელობისთვის არანაკლებ სახიფათოა.

2. „ფრი“ - კარტოფილი „ფრი“ დიდი ოდენობით ცხიმს და კრახმალს შეიცავს. გარდა იმისა, რომ „ფრის“ მიღება ადამიანს ასუქებს, ის შეიცავს ისეთ ნივთიერებას, რომლის ხანგრძლივად მიღებაც იწვევს ათეროსკლეროზს, შაქრიან დიაბეტს და კიბოს. გარდა ამისა, ის იწვევს ორგანიზმში გენეტიკურ ცვლილებებს. „ფრის“ მომზადებისას დიდი რაოდენობით მარილი გამოიყენება, რაც, თავის მხრივ, ზიანს აყენებს ორგანიზმს.

3. პოპკორნი - თავად პოპკორნის მიღება სახიფათო არ არის, თუმცა პოპკორნის მომზადებისას უმატებენ ზეთს, შაქარს, მარილს, კარამელს, საღებავებს, არომატიზატორებს და გემოს გამაძლიერებლებს. თითოეული მათგანი ზიანის მომტანია ორგანიზმისთვის და პოპკორნის მომზადებისას გამოყენებული მარილი ბევრად აღემატება „ჩიფსებში“ გამოყენებული მარილის ოდენობას.



4. მოხარშული ძეხვი - მოხარშულ ძეხვს გენმოდიფიცირებული სოიოსგან ამზადებენ. სოსისები, სარდელი, პაშტეტი და სხვა პროდუქტები შეიცავენ სოიოს, ვისცერულ ცხიმს, ღორის კანს და სწორედ ამ ყველაფრის დამატებით ღებულობს ძეხვი ხორცის გემოს.



5. ლორი, შაშხი - როგორც წესი, ლორი და შაშხი მხოლოდ 5% ხორცს შეიცავს, დანარჩენი შემადგენლობა გემოს და ფერის გამაძლიერებლებია.

6. შებოლილი ძეხვი - მისი შემადგენლობის გამო შებოლილი ძეხვის ხშირი მიღება იწვევს კიბოს.

7. რძის პროდუქტები, რომლებსაც ვარგისიანობის ხანგრძლივი ვადა აქვთ - არ გირჩევთ გამოიყენოთ რძის პროდუქტები, რომლებსაც ვარგისიანობის ვადა ორ კვირაზე მეტი აქვთ. ასევე უნდა ვიცოდეთ, რომ ზოგიერთი შეფუთვა ვარგისიანობის შესანარჩუნებლად შეიცავს ანტიბიოტიკებს, სტაბილიზატორებს, ანტიოქსიდანტებს და არომატიზატორებს, რაც ძალიან საზიანოა ჯანმრთელობისთვის.

აღნიშნული პროდუქტების შემცირებით თავადვე იგრძნობთ თუ როგორ შეიცვლება თქვენი ჯანმრთელობა უკეთესობისკენ.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

„კარგი იქნება, ხალხი თუ ჩვენც გაგვიცნობს, ჩვენ მათთვის ვთამაშობთ“

ნინო კოჭლამაზაშვილი:
„ასეთი აქციები სჭირდება ქართულ ფეხბურთს, რადგან თუ ფართო მასებზე არ გავიდა, არ მოხდა პოპულარიზაცია, აზრი არ აქვს არაფერს. პირველ რიგში, ეს არის მთავარი, ამას უნდა მიეხედოს. ხალხმა უნდა გაგვიცნოს“

„ჩემს პრაქტიკაში არასდროს მქონია ასეთი შეხვედრა. პირველია, თქვენი საშუალებით“

europe-bet.com

მაგდა კლდიაშვილი

გაზეთ „პრაიმტაიმისა“ და ტოტალიზატორ „ევროპაბეთის“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში, უკვე მეორედ, ტოტალიზატორმა საქართველოს ქალ ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების წევრებს უმასპინძლა. პირველად, არსებობის განმავლობაში, საქართველოს ქალ ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მიიღებს მონაწილეობას, ჯგუფის დაძლევის შემთხვევაში კი ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს. ქალ ფეხბურთელებს გული წყდებათ, რომ მამაკაცებისგან განსხვავებით მათი შედეგები გულშემატკივრისთვის ცნობილი არ არის და არც ცნობადი სახეები არიან, სწორედ ამიტომ, ერთობლივი პროექტის ფარგლებში, უკვე მეორედ „პრაიმტაიმი“ და „ევროპაბეთი“ ქალ ფეხბურთელებს აცნობენ ქართველ გულშემატკივარს.

ქალთა ეროვნული ნაკრები, შეიძლება ითქვას, რომ სიკვდილის ქვეჯგუფში მოხვდა. ჩვენი გოგონების მეტოქეები იტალიის, შვეიცარიის, ჩრდილოეთ ირლანდიისა და ჩეხეთის ეროვნული ნაკრები გუნდები იქნებიან. ყველას კარგად ესმის არსებული ვითარების სიმძიმე, თუმცა ის, რომ მერაბ კოსტავას ნაკრებმა მალტის ტურნირი მოიგო, უკვე პროგრესია. ახლა კი მთავარი მოსამზადებელი პერიოდია. მოსამზადებელ ეტაპს კი ნაკრები ორშაბათიდან დაიწყებს, სასტუმრო „გოლდენ პალასში“ შეიკრიბება და ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ ორჯერად ვარჯიშებს ჩაატარებს.

საქართველოში მზადების შემდეგ, 23 მაისიდან 29 მაისის ჩათვლით, ქართველი ფეხბურთელები ბაქოში გაგრძელებენ საწვრთნელ შეკრებას, სადაც აზერბაიჯანის ნაკრებთან ორ ამხანაგურ მატჩს გამართავენ. პირველი ოფიციალური შეხვედრა კი ქართველ გოგონებს 18 სექტემბერს ექნებათ, უმძიმესი გასვლითი მატჩი იტალიაში. სულ კი, წელს, მერაბ კოსტავას გუნდი 4 შეხვედრას გამართავს და მეტ-ნაკლებად ცნობილი გახდება, ჯგუფიდან გასვლის რა შანსები გვექნება. ჰოლანდიაში, ფინალურ ეტაპზე საასპარეზოდ 8 ჯგუფის გამარჯვებულები და მეორე ადგილზე გასული 6 საუკეთესო შედეგის მქონე გუნდი გავა, ფინალური ეტაპის კიდევ ერთ მონაწილეს, შესარჩევი ეტაპის დარჩენილი ჯგუფებიდან ორი მეორე ადგილოსნის ფლეი-ოფი გამოავლენს, მათ კი შემდეგ მასპინძელი ჰოლანდიელები შეუერთდებიან.

ქალთა ნაკრებს მხარდაჭერა სჭირდება და ამიტომ, გოგონები, მხარდაჭერის აუცილებლობაზე საუბრობენ და „პრაიმტაიმსა“ და „ევროპაბეთს“ მადლობას უხდიან, რომ გულშემატკივართან ურთიერთობისა და თავის გაცნობის საშუალება ეძლევათ.

„ევროპაბეთის“ ვარკეთილის ფილიალში ამჯერად ეროვნული ნაკრების კარის მცველი, ნინო ჭკუასელი და ნინო კოჭლამაზაშვილი იმყოფებოდნენ. ორივე მათგანმა დიდი წვლილი შეიტანა მალტის „ოთხთა ტურნირის“ გამარჯვებაში და ნაკრების ნარმატებაში.

ნინო კოჭლამაზაშვილი:

„ჩემს პრაქტიკაში არასდროს მქონია ასეთი შეხვედრა. პირველია, თქვენი საშუალებით. ასეთი აქციები სჭირდება ქართულ ფეხბურთს, რადგან თუ ფართო მასებზე არ გავიდა, არ მოხდა პოპულარიზაცია, აზრი არ აქვს არაფერს. პირველ რიგში, ეს არის მთავარი, ამას უნდა მიეხედოს. ხალხმა უნდა გაგვიცნოს. ქუჩაში დავდივართ და ვერ გვცნობენ, ცოტა საწყენია. ისე მოვიგეთ მალტის ტურნირი, არავის გაუგია, ჟურნალისტებს თუ არ ჩავთვლით. კარგი იქნება, ხალხი თუ ჩვენც გაგვიცნობს, ჩვენ მათთვის ვთამაშობთ“.

ნინო ჭკუასელი:

„დღეს, საქართველოში აუცილებელია ასეთი აქციები, ქალი ფეხბურთელების გაცნობა, დროა ამის, რადგან ჩვენც გვაქვს უკვე რაღაც მიღწევები და ყველამ უფრო კარგად უნდა გაიგოს და იცოდეს, რომ არსებობს ქალთა ფეხბურთი“.

სულ, ერთობლივი პროექტის ფარგლებში, „ევროპაბეთის“ სხვადასხვა ფილიალებს, საქართველოს მასშტაბით შემდეგი ფეხბურთელები ესტუმრნენ:

გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, დავით მუჯირი, ლევან კობიაშვილი, გიორგი დათუნაიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, გიორგი გაბედავა, გია მეგრელაძე, ზურა იონანიძე, გიორგი ილურიძე, გივი კვარაცხელია, გიორგი ფოფხაძე, ლადო ბურდული, დავით სირაძე, ლაშა ჯაკობია, ალექსანდრე ინწკირველი, ზურა ბათიაშვილი, დაჩი ფოფხაძე, დაჩი ცნობილაძე, დავით ოდიკაძე, გიორგი განუგრავა, გიორგი მიქაბერიძე, გიორგი ცხადაია, გიორგი ქავთარაძე, ანზორ სუხიაშვილი, ირაკლი კლიმიაშვილი, ნიკოლოზ საბანაძე, ნიკა ჭანტურია, გიორგი ჭანკოტაძე, დათა სიჭინავა, გიორგი მერებაშვილი, გრიგოლ ბედიაშვილი, მათე ცინცაძე, ლაშა თოთაძე, ერეკლე კილაძე, კობა შალამბერიძე, მირზა მერლანი, ალექსანდრე გოგობერიშვილი, გიორგი ივანიშვილი, დავით იმედაშვილი, ტატა მატვეევა, ნათია სხირტლაძე და სალომე ხუბულური, ნინო კოჭლამაზაშვილი და ნინო ჭკუასელი;

ჩემპიონთა ლიგაზე ორივე ფეხბურთელს ერთი ფავორიტი ჰყავს - „ბარსელონა“. კატალონიელებმა წარმატებით გადალახეს მიუნხენის „ბაიერნის“ ბარიერი და 6 ივნისს, ფინალში, იტალიური „იუვენტუსის“ წინააღმდეგ ითამაშებენ.

ნინო კოჭლამაზაშვილი:

„ვგიჟდები „ბარსელონაზე“ და მგონია, რომ „ბარსელონა“ მოიგებს. კარგად დაკომპლექტებული გუნდია, კარგ ფეხბურთს აჩვენებს და ამიტომ ვარ დარწმუნებული ამაში“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ურთიერთა ნაკრების ნევრები სტუმრად „ევროპაბეთში“

ნინო ჭკუასელი:

„დღეს, საქართველოში აუცილებელია ასეთი აქციები, ქალი ფეხბურთელების გაცნობა, დროა ამის, რადგან ჩვენც გვაქვს უკვე რაღაც მიღწევები და ყველამ უფრო კარგად უნდა გაიგოს და იცოდეს, რომ არსებობს ქალთა ფეხბურთი“

„ვგიჟდები „ბარსელონაზე“ და მგონია, რომ „ბარსელონა“ მოიგებს. კარგად დაკომპლექტებული გუნდია, კარგ ფეხბურთს აჩვენებს და ამიტომ ვარ დარწმუნებული ამაში“

„მალტაში გამარჯვება გვეკუთვნოდა, რადგან ყველაფერი ჩავდეთ, გაგვიმართლა კიდეც“

ნინო ჭკუასელი:

„კონკრეტული ფავორიტი არ მყავს, მაგრამ ვაღიარებ, რომ „ბარსელონა“ დღეს ყველაზე კარგად თამაშობს და სწორედ ამ გუნდს ვუგულშემატკივრებ ლიგის ფინალში“.

სულ კი, გამართული შეხვედრებიდან ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

მადრიდის „რეალი“ – გიორგი გაბედავა, გია მეგრელაძე, ზურაბ იონანიძე, დავით სირაძე, ლადო ბურდული, გიორგი ილურიძე, ლაშა ჯაკობია, დაჩი ცნობილაძე, გიორგი მიქაბერიძე, ლაშა თოთაძე, დავით იმედაშვილი;

კატალონიის „ბარსელონა“ – გიორგი ფოფხაძე, ზურაბ ბათიაშვილი, ალექსანდრე ინწკირველი, დაჩი ფოფხაძე, გიორგი განუგრავა, გიორგი ცხადაია, გიორგი ქავთარაძე, ანზორ სუხიაშვილი, ნიკა საბანაძე, გიორგი ჭანკოტაძე, გიორგი მერებაშვილი, კობა შალამბერიძე, ერეკლე კილაძე, გიორგი ივანიშვილი;

მიუნხენის „ბაიერნი“ – გიორგი დათუნაიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, დავით ოდიკაძე, ნიკა ჭანტურია, ტატა მატვეევა;

ტურინის „იუვენტუსი“ – ირაკლი კლიმიაშვილი, დათა სიჭინავა, გრიგოლ ბედიაშვილი, მათე ცინცაძე, სალომე ხუბულური;

კიდევ ერთი გუნდი, რომელიც ფავორიტად დასახელდა და უკვე გამოვარდა, ლონდონის „ჩელსია“. ფსონი მასზე გივი კვარაცხელიამ დადო. ფსონი დაიდო მადრიდის „ატლეტიკოზეც“, მასზე არჩევანი მირზა მერლანმა შეაჩერა, მაგრამ „ატლეტიკოც“ გამოეთიშა ელიტარულ ტურნირს.

როგორც აღვნიშნეთ, ცოტა ხნის წინ, ქალთა ეროვნულმა ნაკრებმა მალტის „ოთხთა ტურნირი“ მოიგო და ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა. ფეხბურთელები ამბობენ, რომ მათ ყველაფერი გაიღეს ამ შედეგის მისაღწევად, ახლა კი ჯერი ქალთა ფეხბურთის ფედერაციაზეა, როგორ დაგეგმავს მოსამზადებელ ეტაპს. მოსამზადებელი ეტაპის ნაწილი უკვე გარკვეულია, წინ კი საკმაოდ რთული შეხვედრებია. მიუხედავად რთული მეტოქეებისა, გოგონებს წარმატების იმედი არ დაუკარგავთ.

ნინო ჭკუასელი:

„იმ შემართებით წავედით, რომ კარგად დავასრულებდით ტურნირს. ასეც მოხდა. ბევრი პრობლემა შეგვხვდა, მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ახლა შემდეგი ეტაპი გვაქვს გადასასვლელი და იმედი მაქვს, რომ გოგონებიც ყველაფერს გააკეთებენ და ყველა დაგვეხმარება, ვინც საჭიროა“.

ნინო კოჭლამაზაშვილი:

„მალტაში გამარჯვება გვეკუთვნოდა, რადგან ყველაფერი ჩავდეთ, გაგვიმართლა კიდეც. ფარერების ნაკრები ფავორიტი იყო, მათთან მოვიგეთ, შემდეგ უფრო რთული თამაში გვქონდა მალტასთან და მეტი ენერგია დავხარჯეთ, მოვიგეთ, ყველა ბოლომდე დაიხარჯა. რაც შეეხება ქვეჯგუფს, მიხარია, რომ ისტორიაში ჩავწერეთ რაღაც, ბედნიერები ვართ ყველანი. ჯგუფში იტალია, შვეიცარია, ჩეხეთი და ჩრდილოეთ ირლანდია გვყავს. რთულია ახლა ლაპარაკი იმაზე, რომ გავალთ ქვეჯგუფიდან, მაგრამ ბურთი მრგვალია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ეკა ჩხეიძე: „დედამთილთან პრობლემის გამო მე და ჩემი ქმარი ცალ-ცალკე ვცხოვრობთ“

„ევროპულად ვცხოვრობთ, თავისუფლებას ვაფასებთ ძალიან“

exclusive

„ქმარზე წარსულში ვთქვი, სანამ ცოლი ვიყავი, არ მიღალატია-მეთქი“

my View
ნინო მჭედლიშვილი

ცოტა ხნის წინ, „პრაიმტაიმში“ მსახიობ ეკა ჩხეიძის ინტერვიუ დაიბეჭდა. ეკამ გულახდილად უპასუხა ყველა კითხვას, მათ შორის პირად თემებზე. როცა ინტერვიუ დაიბეჭდა და სტატია ჩვენსავე საიტზეც განთავსდა, ჩემმა რესპონდენტმა, რამდენიმე შეცდომის ჩასწორება მთხოვა. მათ შორის ერთ-ერთი საგულისხმო გამოდგა. აღმოჩნდა, რომ მსახიობი ქმარზე წარსულში ლაპარაკობდა.

ეკას მეუღლე არქიტექტორი, ლევან მუშკუდიანია. ნყვილს 25 წლის ინანო და 12 წლის დათა ჰყავთ.

უკეთ რომ გაერკვეთ საკითხის დეტალებში, გთავაზობთ ამონარიდს ეკას ინტერვიუდან.

– ეკა, 26 წლის წინ გათხოვდით, იმ პერიოდში ჯერ კიდევ უკვირდათ, მსახიობი ქალი როგორ უნდა მოიყვანო ცოლად. თუ ყოფილა თქვენს ოჯახში ამ თემაზე ლაპარაკი?

– ჩემ გასაგონად არა, და ისე, არ ვიცი. ერთხელ კი მკითხა ქმარმა, რომელიღაც სპექტაკლზე, მართლა კოცნიდიო (იცინის), მაგრამ ეს დიდი ხნის წინ იყო. კიდევ ერთი შემთხვევა მახსენდება, მარჯანიშვილში დავდგით „ეუხერნია ბალბო“, სადაც ვიხდი და ვრჩები ჩულქში და კორსეტში. ინანო და მამამისი იყვნენ სპექტაკლზე (მის მერე მგონი არც ყოფილა თეატრში ჩემი ქმარი), ინანო იღებდა სპექტაკლს. მერე მიყვებოდა, ამ სცენის დროს ხელი ჩამომაწევინა და მითხრა, რატომ იღებო (იცინის), თითქოს გადაღება რამეს შეცვლიდა.

– შენს „ფეისბუქზე“ ფოტოებს ვათვალიერებდი და მარჯანიშვილის თეატრის ალბომს გადავაწყდი. თითქმის ყველა სპექტაკლში საწოლში წევხარ... ხან რომელ პარტნიორთან, ხან რომელთან...

– სანამ მაქვს ლოგინში წოლის ასაკი, დავწვები (იცინის).

– ქალები ამბობენ, რომ ცალკე პროფესიაა მსახიობის ცოლობა. მსახიობის ქმრობა როგორია, რას ამბობს თქვენი მეუღლე?

– თუ მძიმე ხარ, მოღალატე და უნდობლობას იწვევ შენს მეორე ნახევარში, რა პროფესიისაც გინდა იყავი, რა მნიშვნელობა აქვს. რაც გათხოვილი ვარ, ღალატი არც მიფიქრია. არ ვიპრანჭები, დებილი ვარ, შეიძლება დღეს ეს სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ, სანამ მე და ლევანი ერთად ვართ, ასე იქნება სულ. თუ სცენაზე ვიღაცის ლოგინში ჩაწოლა ან კოცნის სცენა დამჭირდა, ეს ცხოვრებაში არ გადმომიტანია. სიმართლე რომ გითხრა, არტისტებთან რომანიც არ მომნდომებია (იცინის). რომ ყოფილიყო ჩემი პარტნიორი ხავიერ ბარდემი, შეიძლებოდა დავფიქრებულიყავი (იცინის). „კრასავჩიკები“ არ მომწონს, ხავიერი მამაკაცურია, თავისი საქციელით, ქალთან დამოკიდებულებით, სექსუალობით. საკუთარ გარეგნობაზე რომ გიჟდებიან, ასეთი მამაკაცები არ მომწონს, სარკეს რომ ეკითხებიან, მე უფრო ლამაზი ვარ თუ ჩემი პარტნიორი ქალიო. ბრეტ პიტი არ მომწონს, მგონია, დიდ დროს უთმობს სარკესთან ტრიალს. არც ალენ დელონი მომწონდა არასდროს.

ახლა კი ნახეთ მიმოწერა, რომელიც ჩემსა და ეკას შორის აღნიშნულ შეცდომასთან დაკავშირებით გაიმართა.

- ქმარზე წარსულში ვთქვი, სანამ ცოლი ვიყავი, არ მიღალატია-მეთქი.

- ამას ახლა მეუბნებით?

- ჰო, წარსულში ვთქვი.

- ანუ ცოლ-ქმარი აღარ ხართ?

- პრინციპში კი. ცალ-ცალკე ვცხოვრობთ.

- ეგ როგორ?

- ეგ თემა დახურული გვაქვს, ხელშეუხებელია.

- თუ ცოლ-ქმარი ხართ, ცალ-ცალკე რატომ ცხოვრობთ?

- გაშორებას არ ვაპირებ, გადასარევი ურთიერთობა გვაქვს. დედამთილთან პრობლემის გამო გვაქვს დისტანცია. ევროპულად ვცხოვრობთ, თავისუფლებას ვაფასებთ ძალიან. ერთმანეთს არ ვზღუდავთ არაფერში, მაგრამ სიყვარული არ გაგვნელებია ერთმანეთის მიმართ. ყოველდღიურობა ქმნის პრობლემებს, კონფლიქტს. ჩვენ უკონფლიქტოდ ვცხოვრობთ.

„ყოველდღიურობა ქმნის პრობლემებს, კონფლიქტს. ჩვენ უკონფლიქტოდ ვცხოვრობთ“

„ერთმანეთს არ ვზღუდავთ არაფერში, მაგრამ სიყვარული არ გაგვნელებია ერთმანეთის მიმართ“

როდის მიმართა

my View
ნინო მჭედლიშვილი

ახალი სეზონიდან „შუა ქალაქში“ ახალი სახე გამოჩნდა. „ფრანის“ სოლისტის, გაგა ჩიხლაძის მეუღლე, მსახიობი, ანა ჩოგოვაძე ბარმენის როლს ასახიერებს. ანა პარალელურად გორის თეატრშია დაკავებული. მიუხედავად იმისა, რომ გაგა პროფესიით მსახიობია, მან მუსიკალური გზა არჩია. ახლა გული წყდება, რომ ჯგუფმა სამსახიობო კარიერაში ხელი შეუშალა. სამაგიეროდ გამოცდილებას ცოლს უზიარებს. რატომ აკრიტიკებს მეუღლეს და როდის მთავრდება ლენვა-მტვრევით ცოლ-ქმრის კამათი, წყვილი თავად გიამბობთ.

წყვილს შინ ვესტუმრე.

- გაგა, იმდენად მოგწონს ანის ახალი ამპლუა, რომ უკვე „შუა ქალაქის“ გუნდთან ერთად ქეიფობ...

- ჩემი მიყვანილია, ჩავუწყვე (იცინის).

ანა:

- ბაჩო ქაჯაიამ უთხრა, ქასთინგია, მოვიდესო და იმის მერე იბრალებს ჩემ დაკავებას სერიალში.

გაგა:

- მსახიობი ვარ, კურსელები მყავს ამ გუნდში, ჩემი მეგობრები ყველა მანდ არიან. ერთი მე არ მიღებენ.

- რატომ?

- მე „ფრანი“ ვარ და „ფრანი“ აღარ სჭირდებათ ტელევიზიებს. ჯგუფის კუთხით თუ დამიძახებენ, თორემ, „ფრანის“ წევრი და მსახიობი... მაშინ ძალიან დიდი გარდასახვა უნდა მოახდინონ ჩემში. უნიჭოა და ამიტომ არ გვინდაო, ჯერ არავის უთქვამს, მაგრამ ეზარებათ რეჟისორებს ეს გარდასახვა. „ფრანით“ ძალიან ბევრი დაბრკოლება შევიქმენი თეატრის კუთხით.

- ხომ არ ნანობ?

- კი, სადღაც გული მწყდება, მაგრამ სინანულით არ ვნანობ. უბრალოდ, არ გვყავს ისეთი რეჟისორები, რომ „ფრანი“ დაავიწყონ მაყურებელს და სხვა გაგა დაანახონ თეატრის თუ კინოს მოყვარულთ. არის რეჟისორების კატეგორია, რომლებსაც წვერიანი ბიჭები არ სჭირდებათ. იმას კი ვერ ხვდებიან, რომ წვერის მოპარსვა ძალიან იოლია. გრძელი თმა რომ მქონდა, ამის გამო მიწუნებდნენ, მერე გავმელოტდი. ახლა, შლიაპა ახურავსო, ამბობენ. ვერც იმას ხვდებიან, რომ ქუდის მოხდაც არ არის რთული.

- ახლა მოგინდა თეატრი და კინო, როცა შენი მეუღლე გამოჩნდა ეკრანზე, ხომ არ გშურს?

- არა, რას ამბობ, პირიქით, მიხარია, მე ჩავუწყვე-მეთქი, ხომ გითხარი.

- როგორ აფასებ, მის როლს სერიალში, თუ აკრიტიკებ...

- ობიექტური ვერ ვარ. კარგს არ ვუყურებ, სულ ცუდს ვეძებ, რომ გავაკრიტიკო. ეს ბრაზდება ამაზე, მაგრამ გაიზრდება და მიხვდება. რაც მე გავმაზე, არ მინდა ანამაც გამაზოს, ამიტომ ვაკრიტიკებ. ჩვენი კრიტიკა სერიოზული კრახით მთავრდება, ბოლოს თავზე ვაფშვნით ერთმანეთს ყველაფერს.

- ასეთი კრიტიკული ხარ?

- კრიტიკული არა, უბრალოდ, დარწმუნებული ვარ, რომ ამ სფეროში მასზე მეტი ვიცი.

ანა:

- შენზე მეტი ვიცი მე.

- რა იცი, მე იმდენი მაინც ვიცი, რომ ჟურნალისტს ხალათით არ დავხვდე სახლში (იცინიან). იმიტომ არ მოგაყვანინე ფოტოგრაფი, ვიცოდი ასე რომ დაგხვდებოდა.

- გაგა, ანას ახლა უკვე მხოლოდ შენს ცოლს კი არა, როგორც სერიალის გმირს ცნობს მაყურებელი. ეს ხომ არ გაკომპლექსებს, ხომ არ ეჭვიანობ?

- არა, რას ვეჭვიანობ, ჯერ ასეც არ იცნობენ.

- არც ანა ეჭვიანობს შენს ფან გოგონებზე?

- ანა ეჭვიანობს.

ანა:

- იგონებ!

გაგა:

- ეგ შენ გგონია, რომ არ ეჭვიანობ, სინამდვილეში ეჭვიანობ. ვინმე რომ მომწერს და ვპასუხობ, არ სიამოვნებს.

- პრინციპში, უნდა გესმოდეს მისი, როგორ უნდა გაარჩიოს ანამ, რომელია შენი მუსიკის ფანი და რომელი შენი, როგორც მამაკაცის თაყვანისმცემელი?

- მე ხომ არ გავცემ პასუხს „ნაშებს“?!

- აჰა, ე.ი. უნდა გენდოს?

- რა თქმა უნდა, რატომ არ უნდა მენდოს, ანგელოზივით ბიჭი ვარ (იცინის)!

„მე „ფრანი“ ვარ და „ფრანი“ აღარ სჭირდებათ ტელევიზიებს“

- ეს ანგელოზივით ბიჭი ჯგუფთან ერთად, ბოლო დროს ისევ აღელვებს თინეიჯერ გოგონებს. სრული დასწრება და დიდი ემოციაა თქვენს კონცერტებზე.

- ეტყობა ოქროს ასაკში ვარ... მაგრამ ისეც ვეღარ ვაღელვებთ, როგორც ადრე, როცა უცოლო ვიყავი. ათი წელი გავიდა, რაც „ფრანი“ არსებობს, დავბერდით. მაგრამ რაც ადრე უნდა გამეკეთებინა სცენაზე, რაც მაკლდა, ახლა ვაკეთებ. მერე ვიდეოებს რომ ვუყურებ, ვხვდები, რომ არ მიხდება (იცინის).

- მაგალითად, რა არ გიხდება?

- უცებ წამომივლის და ხტუნვას ვიწყებ სცენაზე. მერე ტელეფონს ვიღებ და მაყურებელს ვუღებ, მომწონს რომ ცეკვავენ ჩვენს სიმღერებზე, რომ მღერიან ჩვენს სიმღერებს, მაგრად მიხარია. მერე ვხვდები რამხელა კაცი ვარ...

- რამხელა კაცი ხარ?

- 31 წლის გავხდი. ანა ბებერს მეძახის.

ანა:

- აზროვნებით ხარ ბებერი.

- ანა რამდენი წლის არის?

გაგა:

- 27-ის გახდა ახლახან ისიც.

- აჩუქე, რამე დაბადების დღეზე, თუ ისევ ლექსი დაუწერე?

- არა, გავუკეთე საჩუქარი, სუნამო ვუყიდე.

- მაგრამ ის ლექსები, ალბათ, საუკეთესო საჩუქრებად დარჩება ორივესთვის. წაგვიკითხე კიდევ ერთხელ, როგორ მიულოცეთ ერთმანეთს დაბადების დღეები ცოლ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სხვა კაცის სახელით ცოლმა გაგა ჩიხლაძეს

„რატომ არ უნდა მენდოს, ანგელოზივით ბიჭი ვარ“

„ჩვენი კრიტიკა სერიოზული კრახით მთავრდება, ბოლოს თავზე ვაფშვნით ერთმანეთს ყველაფერს“

ქმარმა...

- რამდენიმე დღის შუალედია ჩვენს დაბადების დღეებს შორის. ფული არ მქონდა და ლექსი დავუწერე, - „ჩემო ოქროს გოგო, ვერ მოგაცილე თვალი, დაბადების დღეს გილოცავს, შენი უფულო ქმარი“. რამდენიმე დღეში ჩემი დაბადების დღე დადგა და ანამ გამილექსა, - „ჩემო ოქროს ქმარუკუნა, დაბადების დღე გაქვსო, საჩუქარი ვერ გიყიდე, ფული აღარ გვაქვსო“. საერთოდ ვერ გამოვირჩევი სიურპრიზებით. თუ რამეს ვუყიდი, დანიშნულ დრომდე ვერ ვითმენ. ახლაც, საჩუქარი დაბადების დღემდე ათი დღით ადრე მივეცი.

ანი:

- მგონი სიტყვა სიურპრიზის მნიშვნელობაც არ იცის (იცინიან).

- ადრე თქვენი კამათის ძირითადი მიზეზი ალკოჰოლი იყო. ახლა რა შეიცვალა?

გაგა:

- ახლაც იგივე თემაზე ვკამათობთ, მაგრამ ახლა ანამ დაიწყო სმა (იცინიან) .

ანა:

- მართალია, არ ღადაობს.

გაგა:

- აუ, მაგარი ამბავი გამახსენდა ალკოჰოლზე. ძმაკაცის დაბადების დღეზე ვიყავი. ანუშკა არ წამომყვა. ცოტა დავლიეთ, მაგრამ ისეთი კარგი ხალხი გაიჩითა, შევყევით გვიანობამდე. ანამ მომწერა, ვიძინებო, დავემშვიდობეთ ერთმანეთს. იქ ხალხი მორჩა დალევას და ატყდნენ, ლისის ტბაზე გავიდეთ, აბანოებშიო. ანას მივწერე, მე აქა და აქ მივდივარ-მეთქი. არ დავურეკე, არ გავაღვიძო-მეთქი. დილის 7 საათზე მოვედი სახლში, ისეთი ამბავი ატეხა, რატომ არ დამირეკეო... მოკლედ, ამ ლისის ტბაზე გავცივდი, რადიკულიტი ავიკიდე და ჩავწექი. რამდენიმე დღეში ჩვენი ორივეს ძმაკაცის დაბადების დღე იყო. მე ვერ წავედი, ანა წავიდა. გახდა 12 საათი, 1, 2, 3, 4 და ვურეკავ, მოხვალ სახლში თუ მაქედან აბანოებში აპირებთ წასვლას-მეთქი... ერთხელ ისეთი მთვრალი მოვიდა...

ანა:

- კაი ახლა, მოყევი ყველაფარი...

გაგა:

- მაშინ პირველად დალია, გორის თეატრში დალიეს რეპეტიციის მერე დასმა. არ ვიცი რატომ მალავდა, აშკარად ალკოჰოლის სუნი ამოსდიოდა. შემოსასვლელში საწოლი გვედგა მაშინ, შემოვიდა თუ არა, დანვა. რა გჭირს, ნასვამი ხარ-მეთქი, ვკითხე, არა, ზაზა, შენ თავს ვფიცავარ, თუ მთვრალი ვიყოო, მეუბნება (იცინიან).

- ზაზა ვინ არის?

- ზაზას დაბადების დღე იყო, ჩემი ბიჭის, თოკას ნათლიაა, თორემ დაგვენგრეოდა ოჯახი (იცინიან).

- ე.ი. გაგა გამოსწორდა, ცოლი გალოთდა?

- მე ქუთაისში ვსვამ ხოლმე, თბილისში - აღარ. უფრო დიდ დროს ვატარებ ქუთაისში ჩემებთან. შვილებიც ძირითადად იქით გვყავს.

- ვიცი, რომ საჭმელებს გაგა აკეთებდა სახლში, შეიცვალა ამ მხრივ რამე?

ანი:

- არა, საშინლად არ მიყვარს საჭმელების კეთება. დავალაგებ, გავრეცხავ, ოღონდ საჭმელები არ გამაკეთებინო... გაგა მარტო ცხოვრობდა 15 წლიდან, სხვა გზა არ ჰქონდა, დაამუღამა. მამაც კარგია, თუ დრო აქვს, თამამად შემიძლია დავუტოვო ბავშვებიც. პატარას, ნენესაც ვანდობ, ამას წინათ ქუთაისში წაიყვანა მარტომ.

- მომთხოვნი ქმარია?

- გააჩნია როგორ ხასიათზეა. თუ ცუდ ხასიათზეა, შეიძლება იმაზე იჩხუბოს საჭმელი რატომ არ არის სახლში. ამდენი წელია ამაზე „ვჭედავ“ და რით ვერ ისწავლეო, ჩხუბობს ხოლმე.

გაგა:

- ხომ უნდა მიხვდეს, როცა ცუდ ხასიათზე ვარ მაშინ მაინც გააკეთოს საჭმელი (იცინიან).

- ანას ცუდი ხასიათი როგორია?

გაგა:

- სვანდება.

ანა:

- კაი, აღარ ვსვანდები.

- გეტყვი, ანას პრობლემა რა არის. ვერ ხვდება რატომ ვატარებ დროს ჯგუფთან, თუ საქმე მუსიკას არ ეხება. ახლა, როცა თვითონაც ჩავარდა მსგავს სიტუაციაში, ხვდება, რომ სამსახური ოჯახივითაა, იქ ცხოვრობ, საუბრობ, ზოგჯერ ერთობი. ასე რომ, ამ მხრივ დავალაგეთ ურთიერთობები.

„ახლაც იგივე თემაზე ვკამათობთ, მაგრამ ახლა ანამ დაიწყო სმა“

„ხომ უნდა მიხვდეს, როცა ცუდ ხასიათზე ვარ, მაშინ მაინც გააკეთოს საჭმელი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მარიამ ჯანჯღლავა: „X ფაქტორ

„ვნახოთ კონცერტზე რომელი რას ვიზამთ, იქ გამოჩნდება ვინ ვისზე უპირატესია“

„მელოდიები მიტრიალებს თავში. ერთხელაც, ალბათ, დავწერ სიმღერას“

my View
თამარ გონგაძე

15 წლის მარიამ ჯანჯღლავას სიმღერის ნიჭი ბაბუისგან და ბებიისგან მოდის. დედაც მღერის. მამა კარგი მსმენელი და კარგი ყურის მქონეა, როგორც „X ფაქტორის“ კონკურსანტი ამბობს. სწორედ მისი დიდი სურვილით პატარაობიდან მღერის. „X ფაქტორის“ ბავშვების კატეგორიის კონკურსანტმა ოთხი სკამის ეპიზოდში მარიამ გოგიბერიძე ჩაანაცვლა. მარიამი ამ კონკურსის ნამდვილი მარგალიტია. და საერთოდ, დამატებულმა საბავშვო კატეგორიამ საოცრად გაამართლა. უნიჭიერესი თაობა მოდის.

მარიამ ჯანჯღლავა:

- აქტიური ბავშვი ვიყავი, ეზოდან ვერ ამოვყავდი დედას, სულ ჩემს სახელს იძახდა. ძალიან მიყვარდა წრეში ბურთის და დამალობანას თამაში.

4 წლის იყო პირველად კონცერტზე რომ გამოვიდა. პატარაობიდან ვოკალში ემზადება. „კონცერტზე წითელი კაბა მეცვა, საყვარელი, პუტკუნა ბავშვი ვიყავი, მომწონს ჩემი თავი ფოტოებზე“.

ჭოხონელიძეების სტუდიაში დადიოდა. „სულ მაქებდნენ, კონცერტებზე გამოვყავდი პედაგოგებს“.

ვიდეოკლიპებს და ანიმაციურ მულტფილმებს უყურებდა და სიმღერაში ჰყვებოდა. შვიდი წლის იყო

„სამივე დივაა. მათ ვუსმენ და ვსწავლობ, როგორ დებენ ყოველ ბგერაში გრძნობას, მინდა მათ მსგავსად ტექნიკას ავუღო ალღო“

„ანა-ბანაში“ რომ მონაწილეობდა და მეორე ადგილას გავიდა.

10 წლის მარიამს მუტაცია დაეწყო. რთული ფორმით გადაიტანა. ხმაზე კვალი მაინც დაეტყო. „ისე რთულად მქონდა, ერთ სიმღერას რომ ვიმღერებდი, ხმა ჩამეხლიჩებოდა. საუბრის დროსაც მეღლებოდა ყელი. მერე სავარჯიშოების გაკეთება დავიწყე. იმის შიში მქონდა, რომ შეიძლებოდა ხმის დიდი დიაპაზონი არ მქონოდა“.

ყველაფერმა მშვიდობიანად გაიარა. და მარიამმა საბავშვო „ახალ ხმაში“ მიიღო მონაწილეობა. დათო ფორჩხიძის ჯგუფში მოხვდა და იმ დროს დაუვიწყარ პერიოდად იხსენებს. ახლა მისი პედაგოგი ხათუნა ლეჟავაა.

მარიამი „X ფაქტორის“ პირველ სეზონშიც მონაწილეობდა, ჯგუფთან ერთად იყო და ოთხი სკამის ტურიდან გავარდა. ამ პროექტში ისევ სცადა ბედი.

„მახსოვს, ძველი შეფასებები, მარიამს ტკბილი ხმა აქვსო, ამბობდა თამთა. მგონი გავახსენდი ჟიურის. მეორე სეზონის ქასთინგზე ძალიან არ მინერვიულია. მაქსიმალურად ვეცადე თავი კარგად წარმომეჩინა. სკამების ტურზე ისეთი სიმღერა შემხვდა, რომელიც ჩემი არ არის. მე მშვიდი სიმღერები უფრო მომწონს, არადა, ენერგიული სიმღერა ვიმღერე. რეპეტიციაზე მშვიდად ვმღერი და გამოცოცხლდიო, მეჩხუბებიან. სცენიდან ხალხს რომ ვხედავ, კომპლექსები მეხსნება და სულ სხვანაირად ვმღერი. სანამ სცენაზე გავალ, ვნერვიულობ. სცენაზე საერთოდ ყველანაირი ნერვიულობა და კომპლექსი მეხსნება და ვცდილობ ხალხთან ვიკონტაქტო. სიმღერას, რომელიც ოთხი სკამის ტურზე ვიმღერე, თავიდან განვითარება აქვს (ვგიჟდები ასეთ სიმღერებზე), მაგრამ მაინც არ არის ჩემთან ახლოს. ამის მიუხედავად დარბაზის აყოლიება მაინც შევძელი. ძალიან ძლიერი კონკურენტები მყავდა. ეს ფაქტორი მაღელვებდა. სკამზე ვინც იჯდა ყველა ერთმანეთზე უკეთესია. ძალიან შემეშინდა. ყველაზე მეტად ეგ არ მინდოდა, რომ მე ამეყენებინა ვინმე. დავმ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მეგობრების და გამოცდილების შესაძენად მეც მოვედი, მაგრამ წარმატების მიღწევაც მინდა. ჩემთვის სიმღერა ჰობი და გართობა არ არის, ჩემთვის სიმღერა მართლა ყველაფერია“

„მხოლოდ პოპულარობა არ მინდა, მე მინდა, რომ ხალხს ვუყვარდე“

EXCLUSIVE

ეგობრდით და გამოცხადებამდე დახუჭული თვალებით ვიდექით, არ გვინდოდა დაგვენახა, ვინ ადგა. მენტორმა რომ გამოაცხადა მარიამი მჭირდება პროექტშიო, ისე ვიკივლე უმიკროფონოდაც გაიგეს. ვერ ვაზროვნებდი. ემოციებისგან დავიცალე. ეს ნერვიულობის გამო იყო. რეპეტიციაზე ნახევარი ძალით ვმღეროდი, ამიტომ ანრი არ ელოდა ჩემგან ასე განსხვავებულად გამოსვლას. თქვა კიდეც, არ ველოდი ასეთ გამოსვლასო. ყველა ჟანრში პოულობ შენს ადგილსო, თამთამ შემაფასა.

- ანრი როგორი მენტორი აღმოჩნდა?

- ხუმარა და კარგი ადამიანია. ისეთი აღმოჩნდა, როგორიც მეგონა. ჩაკეტილად როცა ვმღერი, დეგენერატი ხარ, უნდა გცემოო, მეუბნება :)

- თქვენს ოთხეულში კონკურენციაა?

- კონკურენტები ვართ, მაგრამ ეს ჩვენს მეგობრობაზე არ აისახება. მე და სოფი დავმეგობრდით. ერთმანეთს ბევრ რამეში ვგავართ.

- შენი უპირატესობა არ არის?

- ოთხივე ერთმანეთისგან განვსხვავდებით. ალბათ, ჩემი ტემბრით, ვიზუალით ვარ განსხვავებული. არ ვიცი. ვნახოთ კონცერტზე რომელი რას ვიზამთ, იქ გამოჩნდება ვინ ვისზე უპირატესია.

დედა მარიამზე 16 წლით უფროსია. კომენტარები უმალ გაჩაღდა, დები არიან, მეგობრები თუ დედა-შვილიო?

„მაგარი მეგობრები ვართ მე და დედა. დედა ჩემთვის ყველაფერია. ორი შვილი ჰყავს, მუშაობს. ყველაფერს ასწრებს, გმირი დედაა. მამაც ახალგაზრდულია, არ ეტყობა, რომ 41 წლის არის“.

- შეყვარებული არ გყავს?

- არ მყავს, ჯერ არ მყოლია. ჩემხელა გოგონებს ჰყავთ.

- დედასაც ჰყავდა, რადგან 16 წლის ასაკში უკვე შენ გაჩნდი.

- მე ჯერ არ მყავს. ოჯახში გახსნილი ვარ და როცა ვინმე მეყოლება, ჩემს მშობლებსაც ეცოდინებათ. მათ არ დასჭირდებათ ზედმეტი ჩაკითხვა.

- ცალხმრივადაც არავინ გეტრფის?

- როგორ არ არიან, მაგრამ მე, სამწუხაროდ, არც ერთი არ მომწონს.

- როგორი ბიჭები მოგწონს?

- საყვარელი ბიჭები, იუმორით და გახსნილი. ცანცარა ბიჭები მაღიზიანებენ.

- მარიამ, რას ელოდები ამ პროექტისგან?

- რა თქმა უნდა, გამარჯვებას. ამისთვის არ მოვსულვარ, მაგრამ მოლოდინით ველოდები. ეს ლოგიკურია, ყველა ამისთვის მოდის ამ პროექტში. თუმცა ზოგი გამოცდილებისთვის მოდის. მე, ჩემი ასაკის მიუხედავად, გამარჯვება მინდა. ეს ყველა კონკურსანტს უნდა. მეგობრების, გამოცდილების შესაძენად მეც მოვედი, მაგრამ წარმატების მიღწევაც მინდა. ჩემთვის სიმღერა ჰობი და გართობა არ არის, ჩემთვის სიმღერა მართლა ყველაფერია.

- სკოლაში პოპულარული გახდი?

- ახლა ვერ ვახერხებ სკოლაში სიარულს. საერთოდ მეგობრული ვარ. იქეთ ვემეგობრები სკოლელებს. ჩემი სკოლელია რეზი ქარცივაძე, გიორგი გაბუნიას ჯგუფის წევრი.

- როგორც უკვე ცნობილ სახეს ქუჩაში რომ გაკვირდებიან, გსიამოვნებს?

- ეს მიხარია. მე მხოლოდ პოპულარობა არ მინდა, მე მინდა ხალხს ვუყვარდე.

- შენი საყვარელი შემსრულებელი ვინ არის?

- ემი უაინჰაუსი, ბიონსე და უიტნი ჰიუსტონი. სამივე დივაა. მათ ვუსმენ და ვსწავლობ, როგორ დებენ ყოველ ბგერაში გრძნობას, მინდა მათ მსგავსად ტექნიკას ავუღო ალღო. ვთვლი, რომ ინდივიდუალურობა მთავარია.

- როგორი თვისებები გაქვს?

- ადვილად მწყინს ხოლმე. მაგრამ კომუნიკაბელური ვარ.

- არაფერს წერ?

- მელოდიები მიტრიალებს თავში. ერთხელაც, ალბათ, დავწერ სიმღერას.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რატომ ემუქრებოდა დაჩი კ

my View
ნინო მჭედლიშვილი

EXCLUSIVE

„სელებრითების ისტორიებია ამ წიგნში, ბევრის შვილი სირცხვილით გარეთ ვერ გამოვა, ისეთი სკანდალური ამბებია მოთხრობილი“

„მაშინ დაჩი კოპაძე არ იყო ფორმაში და არც შემითავაზებია, საცვლების გარეშე გადაღება. რამდენადაც მახსოვს, ჩაცმული იყო“

„თავიდან მოეწონა დაჩის ეს კადრები, დამირეკა, მადლობაც გადამიხადა, მერე მთხოვა, ჩემს წრეს არ მოეწონა და იქნებ წაშალო“

დღეს ასტროლოგმა ინტერვიუ ამიკრძალა, ხვალ ჩავწეროთო, მითხრა რეჟისორმა შოთიკო კალანდაძემ. ასტროლოგის წინააღმდეგ როგორ წავიდოდი, მეორე დღისთვის გადავდეთ შეხვედრა.

- შოთიკო, ასე ზედმიწევნით იცავ ასტროლოგის რჩევებს?

- პირველ რიგში ჩემს ინტუიციას ვენდობი, ამიტომ გითხარი ასე.

- აბა, ასტროლოგმა ამიკრძალაო?

- ასტროლოგმა მითხრა, ენდე შენს ინტუიციასო.

- ვინ არის შენი პირადი ასტროლოგი?

- არ მაქვს უფლება გითხრათ.

- რატომ, ძებნაშია?

- არა, უბრალოდ არ მაქვს უფლება.

- რაო ინტუიციამ, გუშინ არ გამოვიდოდა ჩვენი ინტერვიუ?

- არ მქონდა პოზიტიური დღე. ძალიან ფაქიზი დამოკიდებულება მაქვს ასეთ თემებთან. ამასთან დაკავშირებით ერთ ამბავს გიამბობთ და მიხვდებით, რატომ ვაქცევ ყურადღებას ასტროლოგიას, ინტუიციას. არსად მომიყოლია, პირველად ვყვები. პირველად მობილური ტელეფონი შევიძინე 2005 წელს. ვერ ვიმეტებდი მობილურისთვის ფულს. კარგი ნომერი მინდოდა და ვნერვიულობდი, უკუღმართი არაფერი შემხვდესმეთქი. მივდივარ ქუჩაში და წინ ქალი შემეფეთა, ძალიან გთხოვ, ჩემზე ცუდი არ იფიქროო, მეუბნება. რატომ უნდა ვიფიქრო ქალბატონო-მეთქი, გაკვირვებული ვეკითხები და თან ცოტა მეშინია. უცნაურადაც არ აცვია, ჩვეულებრივად გამოიყურება, გიჟიც არ ჩანს, მაგრამ დაჟინებით მიყურებს. დამლოცე მე და ჩემი ახლობლები და ვინც შენ ცუდს გაგიკეთებს, ყველაფერი უკან ორმაგად დაუბრუნდება, ეს შენი ბრალი არ არის, მფარველი ანგელოზი გიცავსო, აგრძელებს. გლოცავთ ქალბატონო, გლოცავთ, ვეუბნები და თან უკანუკან ვიხევ. მე ხომ არაფერი მომივა ცუდი-მეთქი, ვეკითხები, თან ვლოცავ გამწარებული. მომაძახა, რაღაცას ფიქრობ ახლა და 69-57 იქნებაო. წამოვედი, ავიღე ნომერი და ეს ციფრები იყო შიგნით.

- მოგიტანა ბედნიერება ამ ნომერმა?

- დღემდე ეს ნომერი მაქვს. გაჩნია ვინ რას ეძახის ბედნიერებას. მე ვაპირებ ვისწავლო მადლიერება, ვიყო კმაყოფილი იმით, რაც მაქვს, რასაც ღმერთი მაძლევს.

- აპირებ ისწავლო? ე.ი. ჯერ არ იცი...

- რომ ვთქვა, ვიციმეთქი, მკრეხელობა იქნება.

- რა ეკლესიური გახდი ამ ბოლო დროს?

- სულ ასეთი ვიყავი, უბრალოდ, თქვენ, ჟურნალისტები, არ მეკითხებით ამაზე. ამიტომ გადავწყვიტე თავად ვილაპარაკო... მოკლედ, იმ ამბის მერე, ყველას საშინელება დაემართა, ვინც რამე ცუდი გამიკეთა.

- მტრები გყავს?

- მტრები? როგორ გითხრა, უფრო პრეტენზიულ ხალხს დავარქმევდი მათ. როცა ჩემთან მოდის ადამიანი გადასაღებად, მას მე არაფერს ვაძალებ, ის თავისი ნებით მოდის. კიდევ კარგი ახლა უკვე ყველას ხელწერილს ვაწერინებ. ადრე ასე არ ვაკეთებდი და ამიტომაც მოდიოდნენ მერე პრეტენზიებით. ეს წაშალე, ის ამოიღეო.

- თავად მოდიან პრეტენზიებით თუ მათი ახლობლები მოგმართავენ?

- ძირითადად ახლობლები. „ბირჟავიკს“ რომ სთხოვ ფილმი შემიფასეო, იმან რა შეფასება უნდა გააკეთოს. შეურაცხყოფას არ ვაყენებ „ბირჟავიკებს“, ყველას თავის გზაზე გაუმარჯოს, მაგრამ ეს იგივეა, ვინმემ მე რომ მთხოვოს, ჭიდაობა ან ფეხბურთის თამაში შემიფასეო. მე რომ ვთქვა, არაფრად არ ვარგა, კარგი გდება არ გაუკეთა ან ეს კარგად ვერ ფლობს ბურთსო და დაიჯერონ, სწორი იქნება?! ზუსტად იგივე სიტუაციაა. ხელოვნება ადვილი აღსაქმელი ჰგონია ამ ხალხს. ნამდვილი ხელოვნების შეფასება ბევრს არ შეუძლია.

- ამის გამო კონფლიქტები გქონია?

- რასაკვირველია, მაგათ ჩემი ფილმები საბავშვო ბაღი ჰგონიათ.

- სადამდე მისულა კონფლიქტი, ფიზიკური შეურაცხყოფა მოუყენებიათ შენთვის?

- არა, აქამდე არ მისულა საქმე. ასეთ ადამიანებს ვუხსნი, რომ გავა დრო, დაბერდებით და თქვენი ახალგაზრდა, ლამაზი სხეული დარჩება ისტორიას, მერე მადლობას მეტყვი-მეთქი. ასეც ხდება, ბევრი მართლა მიხდის მადლობას.

- წაგიშლია კადრები მოთხოვნის გამო?

- აქამდეც მისულა საქმე, მაგრამ ბოლოს გადაუფიქრებიათ. არასდროს მომიტყუებია ჩემი მსახიობები, მასალას წავშლი-მეთქი და მერე არ წამიშლია. ეს ფილმები ჩემი შვილებია. როგორ წარმოგიდგენია, მშობელმა შვილები დახოცოს?!

- მე მაქვს ინფორმაცია, რომ რაგბისტმა, დაჩი კოპაძემ ერთ-ერთი ასეთი ფილმი, მუქარით წაგაშლევინა.

- დაჩი კოპაძე ვინ არის?

- რაგბისტია, „ორ ვარსკვლავში“ მღეროდა. ფოტოებს განახებ, იქნებ გაიხსენო...

- (ფოტოების ნახვის შემდეგ) აა, გამახსენდა, ტელევიზორი გადავაგდე, იმ შოუს არ ვუყურებდი, რომელშიც მონაწილეობდა. გამახსენდა კი, იყო ასეთი შემთხვევა. გადავიღე ეს ბიჭი კინოსინჯებში 2012 წელს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ოჯაძე შოთიკო კალანდაძეს

„დაჩი რალაცით ლიკა ქავჭარაძეს ჰგავდა „ნატვრის ხეში“ რომ იღიმოდა. გული მწყდება რომ ასეთი ტიპაჟი ბოროტი ენების მსხვერპლი გახდა. მისმა ახლობლებმა დამირეკეს და მითხრეს, ასეთი ლამაზი თუ იყო ეს ბიჭი არ ვიცოდითო“

„ზესტაფონიდან არის ჩამოსული, ვერ გაიგეს ეს ხელოვნება“

„ორჯერ სცადეს ჩემი გაუპატიურება, ოღონდ ქალმა“

„ზუსტად არ მახსოვს, საცვალი ნამდვილად ეცვა, არ გამიხდია. დანარჩენი არ მახსოვს, ეს დაჩის ჰკითხეთ“

„არასდროს მომწონდა ნანკა კალატოზიშვილი, არ იყო ჩემი ტიპაჟი. ჩემი მუზები იყვნენ ლენუკა ყიფშიძე და ნათია მაქაცარია“

- შიშველი გადაიღე?

- მაშინ დაჩი კოპაძე არ იყო ფორმაში და არც შემითავაზებია, საცვლების გარეშე გადაღება. რამდენადაც მახსოვს, ჩაცმული იყო.

- მაშ რა მოხდა, რატომ გთხოვდა კადრების წაშლას?

- ძალიან ვაფასებ ამ ადამიანს, ნიჭიერი ბიჭია, უბრალოდ, გარშემო ისეთი წრე ჰყავს, ზესტაფონიდან არის ჩამოსული, ვერ გაიგეს ეს ხელოვნება. ჩამოსულებს შეურაცხყოფას არ ვაყენებ, უბრალოდ, კომლექსები მეტ-ნაკლებად მათ მეტი აქვთ. ჟურნალისტების ბრალია ის, რაც მოხდა. როცა კითხულობენ, რომ შოთა კალანდაძე ეროტიკას იღებს, კომპლექსდებიან. თავიდან მოეწონა დაჩის ეს კადრები, დამირეკა, მადლობაც გადამიხადა. მერე მთხოვა, ჩემს წრეს არ მოეწონა და იქნებ წაშალოო. მოხდა ისე, რომ ვიღაცებმა მოიპარეს ეს კადრები და როგორც ვიცი, მათაც წაშლევინა ინტერნეტიდან.

- თუ ჩაცმულია კადრებში და მხოლოდ მისი ღიმილია ამ სინჯებში გადაღებული, რატომ არ მოეწონათ მის ახლობლებს?

- იმ წრეში, რომელთანაც ამ ბიჭს ურთიერთობა აქვს, ალბათ, კომპლექსია შოთა კალანდაძის ფილმში გადაღება. ჩემს წრეში, ვაკეში, სასაცილოდაც არ ეყოფათ ეს კადრები. წაშალეო, არავინ მეტყვის, მადლობასაც გადამიხდიან, ფილმში რომ გადავიღე. თან ისეთი ლამაზი კადრები გამოვიდა... დაჩი რაღაცით ლიკა ქავჭარაძეს ჰგავდა „ნატვრის ხეში“ რომ იღიმოდა. გული მწყდება რომ ასეთი ტიპაჟი ბოროტი ენების მსხვერპლი გახდა. მისმა ახლობლებმა დამირეკეს და მითხრეს, ასეთი ლამაზი თუ იყო ეს ბიჭი არ ვიცოდითო.

- კითხვას გავიმეორებ, თუ ასეთი უწყინარი იყო კადრები, დაჩი ჩაცმული, რას აპროტესტებდა?

- ზუსტად არ მახსოვს, საცვალი ნამდვილად ეცვა, არ გამიხდია. დანარჩენი არ მახსოვს, ეს დაჩის ჰკითხეთ (იცინის)... გაიგეთ, ხალხო, არ არის ეს ეროტიკული ფილმები. ამას კინოლექსები ჰქვია. 21-ე საუკუნეში სტერილური ფილმები აღარავის აინტერესებს. შოუს რომ უყურებ, დიდი რეიტინგი აქვს სექსუალურობას. ოღონდ ვულგარულობას არა, სექსუალურობას. სექსუალურია ყველა მაღალი დონის ფილმი, ოღონდ გადატანილი ხელოვნებაში. გაიხსენეთ პაზოლინი, პიტერ გრინვეი ახლა რომ იღებს ფილმებს, მასში იმდენი სექსია, მაგრამ ის ხელოვნების ნიმუშია. რატომ უნდა ვბაძავდეთ ვიღაცას, უცხოელი რომ ჩამოვა, არ შეიძლება ჩვენი პროდუქტი შევთავაზოთ?! ჩვენ დღეს რა ფილმებსაც ვიღებთ, ეს ხომ მიმბაძველობაა. ერთადერთი გვყავს ფარაჯანოვი, რომელიც არავის არ ჰგავს, დანარჩენი რეჟისორების მსგავსი ფილმები რამდენიც გინდა იმდენია მსოფლიო კინობაზარზე, ვერავის გააკვირვებ.

- შეგახსენებ, რომ ახლახან „მანდარინები“ ოსკარზე იყო წარდგენილი.

- ესეც მიბაძვაა. ჰოლივუდი ქარხანაა, იღებს სტანდარტულ ფილმებს. სად არის ამ ფილმში დიდი ხელოვნება?

- არ მოგწონს?

- მომწონს, ხუთიანზეა გაკეთებული, მაგრამ ეს არ არის ახალი მიმდინარეობა.

- რისი თქმა გინდა, შენ შემოიტანე ახალი სიტყვა ქართულ კინემატოგრაფიაში?

- მხოლოდ მე არა, მე ჩემს დიდ მსახიობებთან ერთად შემოვიტანე ახალი მიმდინარეობა, - კინოლექსი.

- სპორტსმენებს იღებ ხშირად, კიდევ ვისთან გქონია მსგავსი პრობლემა?

- არავისთან. სხვათა შორის, რამაზ ნოზაძეს, რომელიც სულ შიშველია ჩემს ფილმში და შეიკლეს ჟურნალისტებმა, ცუდი არაფერი უთქვამს ჩემზე.

- რატომ ირჩევ სპორტსმენებს შენი ფილმებისთვის?

- ყველას გადავიღებ, ვინც ჩემი ტიპაჟი იქნება.

- ეგ რას ნიშნავს?

- გემოვნებას არ ვგულისხმობ. შეიძლება მომწონდეს გოგო ცხოვრებაში, მაგრამ ვერასდროს გადავიღო ფილმში. შეიძლება არც ისე ლამაზი იყოს ქალი და სწორედ მისი გადაღება მომინდეს. მაგალითად, არასდროს მომწონდა ნანკა კალატოზიშვილი, არ იყო ჩემი ტიპაჟი. ჩემი მუზები იყვნენ ლენუკა ყიფშიძე და ნათია მაქაცარია. ორივეს ვიღებდი ფილმებში, მერე ძალიან ცუდი რაღაცები კი გააკეთა ნათიამ, მაგრამ ეს მის სინდისზე იყოს.

- რა გააკეთა?

- არ მინდა ამაზე ლაპარაკი. ეს ყველაფერი წიგნში წერია და ოდესმე გაიგებს ყველა.

- რა წიგნზე ლაპარკობ?

- ვმუშაობ წიგნზე, „შოთა კალანდაძის დღიური“, რომელშიც წერია ბევრი ისეთი რამ, რაზეც ხმამაღლა არავინ საუბრობს. თუ ვინმეს ცუდი გაუკეთებია ჩემთვის, ყველაფერს თავი მოვუყარე. იქ მხოლოდ ჩემზე არ ვწერ. შენც შეგიძლია მიამბო შენი პრობლემა და ყველამ, ვისაც ამის სურვილი აქვს. კონტრაქტი მაქვს გაფორმებული, რომ წიგნის დაბეჭდვამდე არავის არაფერს ვეტყვი. წიგნი კი ისეთ დროს გამოვა, როცა კანონით ამ ცუდის ჩამდენებს ჩივილის საშუალება არ ექნებათ. ამას ისტორიისთვის ვაკეთებ.

- მოვესწრებით, ამ წიგნის გამოცემას?

- ჯვარი გვწერია (იცინის)... სელებრითების ისტორიებია ამ წიგნში, ბევრის შვილი სირცხვილით გარეთ ვერ გამოვა, ისეთი სკანდალური ამბებია მოთხრობილი წიგნში.

- ძალადობაც არის, გაუპატიურებაც?

- ორჯერ სცადეს ჩემი გაუპატიურება, ოღონდ ქალმა.

- რა?

- ტყუილად იცინი, ორმა ქალმა გადაწყვიტა ჩემი გაუპატიურება.

- როგორ დაიძვრინე თავი?

- ეს იყო იმ დროს, როცა ფორმაში ვიყავი. ამაზე მეტს არაფერს ვიტყვი. წიგნში წაიკითხავთ ყველაფერს.

- ნეტავ მალე არ მოვკვდე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

დავით ლომაია „ევ

მაგდა კლდიაშვილი

ტოტალიზატორ „ევროპაბეთისა“ და გაზეთ „პრაიმტაიმის“ ერთობლივი აქცია ნელ-ნელა დასასრულისკენ მიდის. ერთობლივი წამოწყების დასრულებამდე ორი შეხვედრაღა დარჩა, მორიგ შეხვედრას კი „ევროპაბეთის“ კოსტავას ფილიალმა უმასპინძლა, სადაც სტუმრად ზესტაფონის „ზესტაფონის“ ფეხბურთელი, დავით ლომაია იმყოფებოდა.

დავით ლომაია „ზესტაფონის“ რიგებში ირიცხება, თუმცა მისი გუნდი ახლა გათამაშებიდან არის მოხსნილი, რადგან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, იმერული გუნდი ფინანსური პრობლემები გამო, თამაშზე გამოუცხადებლობის გამო დასაჯა და პირველ ლიგაში დააქვეითა. ფორმალურად, ფეხბურთელი, მაისის ბოლომდე მაინც „ზესტაფონის“ რიგებში ეწერება და ვიდრე ტაიმ-აუტი აქვს, ქართველ გულშემატკივართან შეხვედრაზე მოვიწვიეთ.

„ევროპაბეთმა“ ტოტალიზატორში შეკრებილი გულშემატკივრებისთვის საჩუქრად ბურთები დააწესა, რომლებზეც ავტოგრაფი სტუმარმა ფეხბურთელმა მოაწერა და ისე აჩუქა ადგილზე შეკრებილ ქომაგს. აღსანიშნავია ისიც, რომ კოსტავას ფილიალში ხშირად მდედრობითი სქესის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ და არც ეს შეხვედრა იყო გამონაკლისი.

თავად ფეხბურთელი კი ამბობს, რომ მსგავსი წამოწყებები აუცილებელია ქართული ფეხბურთისთვის.

დავით ლომაია:

- ასეთი აქციებით სხვა არაფერი შეემატება ქართულ ფეხბურთს, თუ არა კარგი და თუ ასე გააგრძელებთ და ხშირად ჩატარდება მსგავსი სახის შეხვედრები, ყველაფერი ისე იქნება, როგორც ქართულ ფეხბურთს სჭირდება.

სულ, ერთობლივი პროექტის ფარგლებში, „ევროპაბეთის“ სხვადასხვა ფილიალებს, საქართველოს მასშტაბით შემდეგი ფეხბურთელები ესტუმრნენ:

გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, დავით მუჯირი, ლევან კობიაშვილი, გიორგი დათუნაიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, გიორგი გაბედავა, გია მეგრელაძე, ზურა იონანიძე, გიორგი ილურიძე, გივი კვარაცხელია, გიორგი ფოფხაძე, ლადო ბურდული, დავით სირაძე, ლაშა ჯაკობია, ალექსანდრე ინწკირველი, ზურა ბათიაშვილი, დაჩი ფოფხაძე, დაჩი ცნობილაძე, დავით ოდიკაძე, გიორგი განუგრავა, გიორგი მიქაბერიძე, გიორგი ცხადაია, გიორგი ქავთარაძე, ანზორ სუხიაშვილი, ირაკლი კლიმიაშვილი, ნიკოლოზ საბანაძე, ნიკა ჭანტურია, გიორგი ჭანკოტაძე, დათა სიჭინავა, გიორგი მერებაშვილი, გრიგოლ ბედიაშვილი, მათე ცინცაძე, ლაშა თოთაძე, ერეკლე კილაძე, კობა შალამბერიძე, მირზა მერლანი, ალექსანდრე გოგობერიშვილი, გიორგი ივანიშვილი, დავით იმედაშვილი, ტატა მატვეევა, ნათია სხირტლაძე და სალომე ხუბულური, ნინო კოჭლამაზაშვილი, ნინო ჭკუასელი და დავით ლომაია;

„ევროპაბეთმა“, ტრადიციულად, სიმბოლური ბილეთი დაუმზადა ფეხბურთელს, სადაც მან ჩემპიონთა ლიგაზე თავისი ფავორიტი დაასახელა. დავით ლომაიამ ფსონი მადრიდის „რეალზე“ დადო.

„ველოდები შემოთავაზებებს და ვიმედოვნებ, რომ ყველაფერი კარგად იქნება“

დავით ლომაია:

- ვგულშემატკივრობ მადრიდის „რეალს“. კონკურენტი გუნდები ძლიერები არიან, მაგრამ მე ბავშვობიდან ვგულშემატკივრობ, დიდი გამოცდილების მქონე ფეხბურთელები ჰყავს, მე პირადად, გამორჩეული მოთამაშეებიც მყავს, ახლა არ დავასახელებ, მაგრამ ყველასთვის ცნობილია. პირველ შეხვედრაში მარცხის მიუხედავად, მგონია, რომ მოახერხებს ფინალში გასვლას და მოგებას.

მიუხედავად ლომაიას ოპტიმიზმისა, ფავორიტმა გუნდმა მას იმედები გაუცრუა. „რეალმა“ საკუთარ მოედანზე ფრედ -1:1 ითამაშა და ფინალს მიღმა დარჩა. ასე რომ, ლომაიაც იმედგაცრუებული დარჩა და ყველა ის სტუმარი ფეხბურთელი, რომლებმაც აქციის განმავლობაში ამ გუნდზე დადეს ფსონი.

სულ კი, გამართული შეხვედრებიდან ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

მადრიდის „რეალი“ – გიორგი გაბედავა, გია მეგრელაძე, ზურაბ იონანიძე, დავით სირაძე, ლადო ბურდული, გიორგი ილურიძე, ლაშა ჯაკობია, დაჩი ცნობილაძე, გიორგი მიქაბერიძე, ლაშა თოთაძე, დავით იმედაშვილი;

კატალონიის „ბარსელონა“ – გიორგი ფოფხაძე, ზურაბ ბათიაშვილი, ალექსანდრე ინწკირველი, დაჩი ფოფხაძე, გიორგი განუგრავა, გიორგი ცხადაია, გიორგი ქავთარაძე, ანზორ სუხიაშვილი, ნიკა საბანაძე, გიორგი ჭანკოტაძე,

„ვგულშემატკივრობ მადრიდის „რეალს“. კონკურენტი გუნდები ძლიერები არიან, მაგრამ მე ბავშვობიდან ვგულშემატკივრობ, დიდი გამოცდილების მქონე ფეხბურთელები ჰყავს, მე პირადად, გამორჩეული მოთამაშეებიც მყავს, ახლა არ დავასახელებ, მაგრამ ყველასთვის ცნობილია. პირველ შეხვედრაში მარცხის მიუხედავად, მგონია, რომ მოახერხებს ფინალში გასვლას და მოგებას“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ევროპაბეთის“ კოსტავას ფილიალს ესტუმრა

„ასეთი აქციებით სხვა არაფერი შეემატება ქართულ ფეხბურთს, თუ არა კარგი და თუ ასე გააგრძელებთ და ხშირად ჩატარდება მსგავსი სახის შეხვედრები, ყველაფერი ისე იქნება, როგორც ქართულ ფეხბურთს სჭირდება“

„საქართველოს ასეთი აქციები სჭირდება. მართლა უხარია ხალხს. მაგალითად მე, მოვიღე ბურთი და ძალიან ბედნიერი ვარ. დიდი მადლობა „ევროპაბეთს“



გიორგი მერებაშვილი, კობა შალამბერიძე, ერეკლე კილაძე, გიორგი ივანიშვილი;

მიუნხენის „ბაიერნი“ – გიორგი დათუნაიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, დავით ოდიკაძე, ნიკა ჭანტურია, ტატა მატვეევა;

ტურინის „იუვენტუსი“ – ირაკლი კლიმიაშვილი, დათა სიჭინავა, გრიგოლ ბედიაშვილი, მათე ცინცაძე, სალომე ხუბულური;

გარდა „რეალისა“, ფსონები დაიდო „ატლეტიკოს“, „ჩელსისა“ და „ბაიერნის“ სასარგებლოდაც, მაგრამ ეს გუნდები ელიტარულ გათამაშებას გამოეთიშნენ. ყველაზე ცოტა ხმა აქციის განმავლობაში ტურინის „იუვენტუსმა“ მიიღო, თუმცა, იტალიელები ფინალში არიან და ვნახოთ, გამართლდება თუ არა იმ ოთხი ფეხბურთელის პროგნოზი, რომლებმაც ამ გუნდის სასარგებლოდ გააკეთეს არჩევანი.

რაც შეეხება პირად მიზნებს, ფეხბურთელმა „ზესტაფონის“ მომავალი ჯერჯერობით არ იცის და მაისის ბოლოს ელოდება, როდესაც საფეხბურთო სეზონი დასრულდება.

დავით ლომაია:

- მაისამდე თავისუფალი ვარ, ჯერჯერობით. რა და როგორ იქნება, ამ ეტაპზე არ ვიცი. ველოდები შემოთავაზებებს და ვიმედოვნებ, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

ანანო სახელაშვილი ერთ-ერთი მათგანია, ვინც გათამაშებაში მონაწილეობდა და ბურთიც მოიგო. ქართული ფეხბურთის გულშემატკივარი ამბობს, რომ საქართველოს ასეთი აქციები სჭირდება.

ანანო სახელაშვილი, გულშემატკივარი:

- საქართველოს ასეთი აქციები სჭირდება. მართლა უხარია ხალხს. მაგალითად მე, მოვიღე ბურთი და ძალიან ბედნიერი ვარ. დიდი მადლობა „ევროპაბეთს“.

შემდეგ შეხვედრაზე კი „ევროპაბეთის“ მომხმარებლებს სიურპრიზებს ვპირდებით. მომავალ აქციაზე სტუმრად საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრები, სხვადასხვა ქვეყანაში მოთამაშე ლეგიონერები გვეყოლება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

თათია შარანგია და სანდრ

my View
თამარ გონგაძე

პიანისტმა თათია შარანგიამ მეუღლესთან, სანდრო შელიასთან ერთად საქველმოქმედო ფონდი ჩამოაყალიბა. ერთმანეთზე ყურებამდე შეყვარებული წყვილის ცხოვრებაში საერთო საქმე გაჩნდა, რამაც ახლად შექმნილი ოჯახის ცხოვრება კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახადა. არსებობენ წყვილები, რომელთა ცხოვრებაც მუდმივად გამადიდებელი შუშის და ათასი თვალის დაკვირვების ქვეშ მიმდინარეობს. ასეა ამ წყვილის შემთხვევაშიც. იქორწინეს თუ არა, მაშინვე ჭორაობის ობიექტები გახდნენ. ერთმანეთი რომ გაიცნეს, მაშინ თათია გავლენიანი ოჯახის - შევარდნაძეების რძალი იყო. ყოფილი პრეზიდენტის შვილიშვილისა და შარანგიას ოჯახურმა თანაცხოვრებამ სამ წელს გასტანა. ქორწინებას ორი ვაჟი მოჰყვა - ედუარდი და ალექსანდრე. მაშინ ჭორაობდნენ, თათიამ ოჯახი ამერიკაში მცხოვრები ქართველი ბიჭისთვის დაანგრიაო. ამ ბიჭს კი განქორწინებიდან წელიწად-ნახევარში ცოლად გაჰყვა... ეს სანდროსთვისაც მეორე ქორწინებაა. წყვილს სამი ვაჟი ჰყავს, თუმცა ჯერ საერთო შვილი - არა.





სანდრო შელია: „დიდ იმედს გვაძლევს ის, რომ ყველა, ვისთანაც ამ პროექტზე გვისაუბრია, მხარს გვიჭერს“

სანდრო შელია: „მჯერა, რომ ადამიანი თვითონ ქმნის თავის ბედს“

„სანდრო ძალიან დამეხმარა ჩემს პროფესიაში დავბრუნებულიყავი და ახლა ძალიან სავსედ ვგრძნობ თავს“

„ჩვენს სიყვარულს იმის საშუალებას არ ვაძლევთ, რომ ის ყოველდღიურობად იქცეს. არც ერთი არ ვართ 17 წლის, რომელსაც მოზღვავებული ემოციები აქვს, თუმცა ერთმანეთი ისე გვიყვარს, როგორც პირველ დღეს, ცხელი გრძნობა გვაქვს. ცოტათი ბავშვურ განწყობასაც ვინარჩუნებთ“

სანდრო შელია:

- მე მჯერა, რომ ადამიანი თვითონ ქმნის თავის ბედს. მართალია, ბევრი რამ ჩვენზე არ არის დამოკიდებული, თუმცა შენ თუ შენი თავის და მიზნის გჯერა, შენ დასახულ მიზნებსაც უკეთ აღწევ.

თათია შარანგია:

- მჯერა, რომ ყველაფერი ღმერთის ნებაა. სანდროს ვეთანხმები, რომ ბევრი რამის შეცვლა შეგვიძლია.

- შემთხვევითობის გჯერათ?

- მე არ მჯერა, რომ რაიმე შემთხვევით ხდება. რომ ამბობენ, ერთ მატარებელშიც კი არ ხვდება შემთხვევით ხალხი ერთადო, მართლა ასეა. ჩემი და სანდროს გაცნობა თითქოს „შემთხვევით“ მოხდა კაფეში, მაგრამ მერე ყველაფერი ერთმანეთს დავუკავშირე და ყველაფერი ბედისწერა და უფლის ნებაა.



სანდრო:

- შემთხვევითობა ის არის, რისი მიზეზებიც ჩვენ არ გვესმის. ყველაფერს აქვს თავისი მიზეზი, რაც შეიძლება შენზე იყოს დამოკიდებული ან ღმერთზე. თუ ღმერთის გჯერა, ბედისწერაც პოზიტიური გექნება.

ნამდვილად არ არის შემთხვევითობა ის, რომ თათიას უმცროს ვაჟსაც სანდრო ჰქვია. თურმე პიანისტი ბავშვობაში თოჯინებს სანდროს არქმევდა.

თათია:

- ყოველთვის მომწონდა ეს სახელი და ვიპოვე კიდეც სანდრო...

ერთმანეთი 7 რიცხვში გაიცნეს. მას შემდეგ ამ რიცხვს ყოველთვის აღნიშნავენ. ხან მოგზაურობენ, ხან ღამის 12 საათზე საჩუქრებით ულოცავენ ერთმანეთს, ან გაცნობის ადგილას მიდიან. უნდათ გაცნობის თარიღი პირველად გრანდიოზულად აღნიშნონ.

- და გაცნობის თვე რომელია?

სანდრო:

- ერთ-ერთი თვე იყო... :)

თათია:

- ერთხელ გვინდა ისე აღვნიშნოთ, რომ ამას არავინ ელოდებოდეს. მერე გავაგებინებთ ყველას.

სანდრო:

- ჩვენს სიყვარულს იმის საშუალებას არ ვაძლევთ, რომ ის ყოველდღიურობად იქცეს. არც ერთი არ ვართ 17 წლის, რომელსაც მოზღვავებული ემოციები აქვს, თუმცა ერთმანეთი ისე გვიყვარს, როგორც პირველ დღეს, ცხელი გრძნობა გვაქვს. ცოტათი ბავშვურ განწყობასაც ვინარჩუნებთ. ამ ყველაფერს საინტერესოს ხდის ისიც, რომ ერთად ვმუშაობთ პროექტებზე. საერთო საქმე გავიჩინეთ მიუხედავად იმისა, რომ პროფესიულად სულ სხვადასხვა სფეროებში ვართ. თათია ხელოვნებაშია, მე - მენეჯმენტში.

საქველმოქმედო ფონდის შექმნა საერთო იდეამ უკარნახათ. სურვილი სისრულეში მალევე მოიყვანეს. ფონდს ჰქვია „ნათელი საქართველო“, რომელსაც ორი მიმართულება აქვს, ერთი წმინდა საქველმოქმედო საქმიანობაა, მეორე - პროექტები, რომელიც ბავშვებში ხელს შეუწყობს ნიჭის გამოვლენას, რაც მათში თვითრეალიზებისთვის დახმარების გაწევას მოიცავს.

პირველი საქველმოქმედო კონცერტი, სადაც თათია უკრავდა, 20 აპრილს რუსთაველის თეატრში შედგა. შემოსული თანხით დახმარება გაუწიეს ორგანიზაციას „პირველი ნაბიჯი საქართველო“. 14 მაისს სანდრომ და თათიამ პირადად გაიცნეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატარები და საჩუქრებით გაახარეს.

სანდრო:

- თათია კონცერტისთვის ემზადებოდა და სპონტანურად მოვიფიქრეთ, რომ მოდი, ეს იყოს საქველმოქმედო კონცერტი-მეთქი.

თათია:

- პაუზის შემდეგ ჩემს შემოქმედებაში ახალი გვერდი მინდოდა, რომ საქველმოქმედო საქმიანობით დამეწყო.

სანდრო:

- თვის ბოლოს რეგიონალურ კონცერტებს ვგეგმავთ. რაც შეეხება ფონდის მეორე მიმართულებას, ივნისის მეორე ნახევარში საზაფხულო ბანაკში ვაპირებთ იმ აბიტურიენტების გაშვებას, რომელთაც საგნებში მომზადების საშუალება არ აქვთ. სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან კონკურსის საფუძველზე შერჩეულ მეთორმეტე კლასელებს შავი ზღვის სანაპიროზე ბანაკში რეპეტიტორები ერონული გამოცდებისთვის მოამზადებენ. ორი კვირის მანძილზე აბიტურიენტები თან მოემზადებიან, თან დაისვენებენ. აყვანილი გვყავს პროფესიონალი რეპეტიტორები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, უნარებსა და ინგლისურ ენაში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ო შელია - ახლა უკვე საერთო საქველმოქმედო საქმიანობით

„რომ ამბობენ, ერთ მატარებელშიც კი არ ხვდება შემთხვევით ხალხი ერთადო, მართლა ასეა. ჩემი და სანდროს გაცნობა თითქოს „შემთხვევით“ მოხდა კაფეში, მაგრამ მერე ყველაფერი ერთმანეთს დავუკავშირე და ყველაფერი ბედისწერა და უფლის ნებაა“

სანდრო: „ყველას ვუსურვებ თავისი მეორე ნახევრის პოვნას. ჩვენ გაგვიმართლა“

თათია შარანგია: „სანდრომ იმდენი ძალისხმევა ჩადო საქველმოქმედო კონცერტში, არც არის გასაკვირი, რომ ასე გაფითრებამდე ნერვიულობდა“

თათია: „სიმართლე ვთქვათ? მე ძალიან ეჭვიანი ვარ, მაგრამ ამის საფუძველი არ მაქვს. ყველაფერზე ვეჭვიანობ. ერთმანეთს არაფერს ვუმალავთ. შემიძლია რაღაც უმნიშვნელო დეტალზე გავებუტო და მერე ცუდ ხასიათზე ვიყო“

თათია:

- ასევე გვეყოლებიან მოწვეული ლექტერები. ჩვენთან ერთად მოდის დათო ტურაშვილი. ახლა სხვებთანაც ვანარმოებთ მოლაპარაკებას.

სანდრო:

- წარმატებული ადამიანები თავიანთ გამოცდილებაზე მოუყვებიან ბავშვებს. განვლილ გზაზე უამბობენ. დიდ იმედს გვაძლევს ის, რომ ყველა, ვისთანაც ამ პროექტზე გვისაუბრია, მხარს უჭერს პროექტს.

თათიამ პარიზის მუსიკისა და ბალეტის უმაღლესი ნაციონალური კონსერვატორია დაამთავრა. დღემდე კარგად იხსენებს იქ გატარებულ წლებს. ბოლოს აპრილში ეწვია თავის სასწავლებელს, მასტერკლასი გაიარა. 15-წლიან შემოქმედებით პერიოდში ორწლიანი პაუზა გამოუვიდა. ამბობს, რომ ეს დრო ფსიქოლოგიურად მისთვის მძიმე იყო. ეს პერიოდი პირად ცხოვრებას ჰქონდა დათმობილი. იქორწინა, ბინა შეიძინეს... ამას გარდა ჯიპაში პიარის კუთხით მიიღო განათლება.

თათია:

- სანდრო ძალიან დამეხმარა ჩემს პროფესიაში დავბრუნებულიყავი და ახლა ძალიან სავსედ ვგრძნობ თავს. მივხვდი, რომ ამის დიდი ნაკლებობა მქონდა. სერიოზული საერთაშორისო კონკურსისთვის ვემზადები და ეს უკვე სხვა ეტაპია. კარგად მახსენდება პარიზში სწავლის პერიოდი. ძალიან საინტერესო იყო პროფესორებთან მასტერკლასები და რთული გამოცდები.

სანდრო:

- 20 აპრილის კონცერტამდე ორი კვირით ადრე პარიზში ვიყავით. თათიმ მასტერკლასი გაიარა. პირველად ვეწვიე ამ კონსერვატორიას და უნდა გითხრათ, რომ თათი პირველი ქართველია, ვინც ეს კონსერვატორია დაამთავრა.

თათია:

- ეს ის კონსერვატორიაა, სადაც ლისტი, კორტო და ბევრი ცნობილი მუსიკოსი მოღვაწეობდა. იქ სწავლამ გამორჩეული ბგერის პალიტრა მომცა, რაც გამორჩეული აქვთ ფრანგებს. შემძინა დიდი ნაცნობობა. კარგად მახსენდება შანზელიზეს თეატრი, რომელიც სტუდენტებისთვის სახლივით იყო. ხშირად დავდიოდით და არაჩვეულებრივ მუსიკოსებს ვუსმენდით.

- სანდრო, რას გრძნობთ, როდესაც თათია უკრავს?

- ორი განცდა მაქვს. როდესაც სახლში უკრავს და მეცადინეობს, სიამოვნების შეგრძნება მეუფლება. მაგრად უკრავს და ამაყი ვარ. როდესაც ის მეცადინეობს, მე მუსიკის ფონზე მუშაობა მიყვარს. ერთ კაბინეტში ვმუშაობთ ორივე. როგორც საერთაშორისო კონსულტანტი განათლების კუთხით გაეროს დაფინანსებულ პროექტს ვახორციელებ. ამ დროს ისმის სხვადასხვა ნანარმოების ფრაგმენტები.

თათია:

- ზეპირად იცის ნაწარმოებები. ჯიუტად მაყოლებს ხმამაღლა ნამღერ მელოდიას. მე რომ ვჩერდები, ის ასრულებს ფრაზას. ამ დროს ვბრაზდები, რადგან არ მიყვარს, რომ ამ პროცესიდან გამოვდივარ.

სანდრო:

- და როდესაც თათი კონცერტს უკრავს, მე საშინლად ვნერვიულობ. ამ დროს ძალიან გაწონასწორებული ტიპი ვარ. კულისებში გავდი-გამოვდივარ, ძალიან ვნერვიულობ.

თათია:

- სანდრო სტაბილური ნერვიული სისტემის მაგალითია. და მიკვირს, როდესაც ჩემს კონცერტზე საოცრად ანერვიულებულს ვხედავ. მან იმდენი ძალისხმევა ჩადო საქველმოქმედო კონცერტში, არც არის გასაკვირი, რომ ასე გაფითრებამდე ნერვიულობდა.

- რა თვისებები გხიბლავთ ერთმანეთში?

- სანდროს გვერდით მე არაფერზე ვნერვიულობ და თავს დაცულად ვგრძნობ. ამის საწინდარი მისი ეს მუდმივი სიმშვიდეა. გადაულახავი პრობლემა არ არსებობს. ბავშვები უყვარს ძალიან და ჩემთვის უმთავრესია ის, რომ ჩემი შვილები სანდროსთან თავს ასე კომფორტულად გრძნობენ. ვეჭვიანობ, როცა სადრო სახლშია და ბიჭები ყველაფერზე მას ეკონტაქტებიან.

სანდრო:

- არ შემიძლია თათის სილამაზეს ხაზი არ გავუსვა. მას ისეთი შარმი აქვს, რაც არც ერთ ადამიანში არ მინახავს. სულიც ასეთივე ლამაზი აქვს. ძალიან ჭკვიანი, კეთილია და აქვს საოცარი ინტუიცია. უთბილესი და მოსიყვარულეა. ძალიან შრომისმოყვარეა.

- და ეჭვიანობა?

თათია:

- სიმართლე ვთქვათ? მე ძალიან ეჭვიანი ვარ, მაგრამ ამის საფუძველი არ მაქვს. ყველაფერზე ვეჭვიანობ. ერთმანეთს არაფერს ვუმალავთ. შემიძლია რაღაც უმნიშვნელო დეტალზე გავებუტო და მერე ცუდ ხასიათზე ვიყო. ეს სიყვარულის თანმდევია. მთავარი ნდობაა. მაგრამ ეს ჩემი ხასიათის თანმდევია.

სანდრო:

- ეჭვიანობის შეგრძნება დამოკიდებულია იმაზე, ვინ გიყვარს და როგორ. თათი ისეთი თბილი ადამიანია, რომ პატარა უყურადღებობას უკვე ვერ ვეგუები. ერთმანეთის ყურადღებაზე ვეჭვიანობთ ხოლმე.

- სიყვარულის შედარება არ არის სწორი, მაგრამ ასე შეყვარებულები არა მგონია წინა ქორწინების დროს ყოფილიყავით.

სანდრო:

- ყოველთვის ისე არ ხდება, რომ ქორწინებაში მყოფი წყვილი ერთმანეთის შესაბამისია, ნამდვილი მეორე ნახევრები და სულის მეგობრები, არა მხოლოდ ემოციურად, ცხოვრების სტილით, ხასიათით... თათისთან ერთად კი თავს ისე ვგრძნობ, როგორც ნამდვილ მეორე ნახევართან და ეს შეგძნება მიუხედავად იმისა, რომ ეს მეორე ქორწინებაა, მე პირველად მაქვს. ყველას ვუსურვებ თავისი მეორე ნახევრის პოვნას. ჩვენ გაგვიმართლა.

- ერთმანეთის პოვნამდე, როგორ ფიქრობთ, რატომ იყო ის პირველი ნაბიჯების გავლა საჭირო?

თათია:

- ჩემ შემთხვევაში, ასე იყო, ადრეულ ასაკში ვიქორწინე. 19 წლის ვიყავი, ჩემი ყოფილი მეუღლე 23 წლის. ამის შემდეგ შეხედულებები იცვლება, საკუთარ თავს პოულობ.

სანდრო:

- მე 24 წლის ვიყავი ცოლი რომ შევირთე. ახლა 10 წლის დავითი გვყავს. მაშინ სწავლა იყო პრიორიტეტი და როგორც ჩანს, მზად არ ვიყავი, რომ ოჯახი სწორად გამეაზრებინა.

თათია:

- მადლობა ღმერთს, რომ სამი არაჩვეულებრივი ვაჟი გვყავს მე და სანდროს პირველი ქორწინებიდან. ერთმანეთი კარგად მიიღეს. მიუხედავად იმისა, რომ ერთ ენაზე ვერ საუბრობენ, ერთმანეთი შეუყვარდათ. სამივე ქერები არიან.

სანდრო:

- გაგვიმართლა ბავშვებში. უყვართ ერთმანეთი.

თათია:

- დრომ ყველაფერი დაალაგა და გვიხარია.

- რა შეცვალა ერთ ჭერქვეშ ცხოვრებამ?

თათია:

- ოცნებები აასრულა. დედას ვუთხარი, არ მჯეროდა რომ ასეთი ბედნიერი შეიძლება იყო, მას ერქვას ქმარი, მასთან ერთად ცხოვრობდე და ეს ყველაფერი ყოველდღიურობა იყოს-მეთქი. როდესაც ადამიანები ასე პოულობენ ერთმანეთს და ერთად ცხოვრებას იწყებენ, ეს ბედნიერებაა. ახლა უკვე საერთო საქმეც გვაკავშირებს და ეს ძალიან მნიშვნელოვანია წყვილისთვის.

სანდრო:

- ერთად ცხოვრება ერთმანეთის გამოცდაა. აქამდე ჩვენ სხვადასხვა ქვეყნებში ვცხოვრობდით.

თათია:

- მიუხედავად იმისა, ითვლებოდა, რომ სულ სანდრო ჩამოდიოდა საქართველოში, ერთი წლის მანძილზე მახსოვს, რვაჯერ ჩავფრინდი ამერიკაში. უნდა იცოდეთ, რა პათოლოგიური შიში მაქვს ფრენის. მაგრამ იქ სანდროს დახვედრა მამედებდა. რთული და რომანტიკული პერიოდი იყო. ბევრი ქვეყანა მოვიარეთ ერთად. რიგაში, პარიზში, ვენეციაში გვქონდა შეხვედრები.

სანდრო:

- სულ სხვა ხიბლი აქვს, როდესაც ცხოვრებას ერთად უძღვებით. ბინას ვეძებდით, ვაწყობდით.

- დილა როგორ იწყება?

სანდრო:

- მე ვიღვიძებ და თათის ვაღვიძებ. მარტო ყოფნა არ მიყვარს. დილის ერთად გატარებას თავისი ხიბლი აქვს.

თათია:

- მე დილით ვერ ვიღვიძებ და ყავა თუ არ დავლიე, ვერ ვფხიზლდები. სანდროს მოდულებული ყავა მხვდება. ღამე გვიან ვიძინებ, დიდი სიამოვნებაა ღამით მეცადინეობა ჩემთვის, ამიტომ დილის ძილი ყველაზე მეტად მიყვარს.

- მეგრული სამზარეულოდან რაიმეს მომზადება იცის?

- ყველაფერს გემრიელს ამზადებს.

თათია:

- სანდრო მეხმარება, სხვათა შორის, კარგად შეუძლია. როგორც ამერიკელი, არაჩვეულებრივ ბურგერებს აკეთებს. ბავშვებიც ჩართულები არიან ამ პროცესში. გულის ფორმის ბურგერებს აკეთებენ.

- რა ყოფილა სიყვარული?

სანდრო:

- სიყვარული ძლიერი ბედნიერების და სიმშვიდის შეგრძნებაა. ამავე დროს აღელვებისა და პოზიტიური ემოციების შერწყმაა.

თათია:

- გაღვიძება გიხარია და სულ მასზე გეფიქრება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N19 (320) ორშაბათი, 18 მაისი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

დავით ლომაია „ევროპაბეთის“ კოსტავას ფილიალს ესტუმრა

გია ბაღაშვილი: „არასდროს ისე თავაწეული და ბედნიერი არ მიგრძნია უცხოეთში თავი, როგორც ამ ლექციების შემდეგ“

ბერკლისა და სტენფორდის უნივერსიტეტებში გია ბაღაშვილის ლექციებმა ფურორი მოახდინა

თათია შარანგია და სანდრო ფელია - ახლა უკვე საერთო საქველმოქმედო საქმიანობით

exclusive

exclusive

როლის მიმართ სხვა კაცის სახელით ცოლმა გაგა ჩიხლაძეს

„რატომ არ უნდა მენდოს, ანგელოზივით ბიჭი ვარ“

exclusive

მარიამ ჯანჯღავა: „X ფაქტორში“ გამარჯვებას ველოდები“

„ვნახოთ კონცერტზე რომელი რას ვიზამთ, იქ გამოჩნდება ვინ ვისზე უპირატესია“

exclusive

ISSN 1987-7404

9 771987 740005

შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“

რატომ ემუქრებოდა დაჩი კოპაძე ზოთიკო კალანდაძეს

„საცვალი ნამდვილად ეცვა, არ გამიხდია“

ეკა ჩხეიძე: „დედამთილთან პრობლემის გამო მე და ჩემი ქმარი ცალ-ცალკე ვცხოვრობთ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება